N 5 2024

მასწავლებელი

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„რემედიაციის გაკვეთილები“

№5(102), 2024
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
მანანა ბოჭორიშვილი, ნინო ლომიძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
ნესტან მიქაძე, ლიზი ლაშქარავა,
დალი ნემსაძე, ქეთევან ოსიაშვილი,
მაია ფირჩხაძე, დიანა ანფიმიადი,
ირენა მახარაძე, მაია მენაბდე,
თემურ სუყაშვილი,
ლელა კოტორაშვილი,
ინა იმედაშვილი,
შორენა ტყეშელაშვილი,
ირმა ტაველიძე,
ქრისტინე სურგულაძე,
დათია ბადალაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:
FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

როდესაც მოსწავლეებს ღირებულებებზე ვესაუბრებით, თავისუფლებაზე საუბრისას ვუხსნით, რა არის თავისუფლება, სად იწყება და მთავრდება მისი საზღვრები და ყოველდღიურობაში, როგორ და რაში შეიძლება დაინახო ან გამოხატო თავისუფლება.

ღირსებაზე საუბრისას, ადამიანური ღირსების მაგალითები მოგვყავს, მისი მნიშვნელობის შესახებ ვესაუბრებით და ვცდილობთ, ვასწავლოთ მისი დაცვა და ყოველდღიურ ურთიერთობებში მისი აუცილებლობა დავანახოთ.

ჩვენ ვცდილობთ, დავაფიქროთ ისინი, თუ რას ნიშნავს თავისუფლება, როგორ ვლინდება ურთიერთპატივისცემა ჩვენს ყოველდღიურობაში.

მასწავლებლები ვეხმარებით მოსწავლეებს, ღირებულებებზე კრიტიკულად იფიქრონ, შეაფასონ და დაფიქრდნენ განსხვავებულ ხედვებზე. ვეხმარებით მათ იმის გააზრებაში, რომ როგორც საკუთარი მოსაზრებების დაცვაა მნიშვნელოვანი, ამავდროულად, სხვების შეხედულებების პატივისცემით მიღება და გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია.

საგაკვეთილო პროცესშიც და არაფორმალური განათლების დროსაც, ვახალისებთ მათ დასვან ღია კითხვები, გააანალიზონ და აგვიხსნან, რატომ ფიქრობენ ასე. ვაფიქრებთ და ვუბიძგებთ ძიებისკენ – კიდევ რა ალტერნატიული მიდგომები შეიძლება არსებობდეს აღნიშნული საკითხისადმი? კითხვები აჩენს საზროვნო სივრცეს მოსწავლეებისთვის, დაფიქრდნენ არა მხოლოდ პასუხზე, არამედ ლოგიკაზე, რომელიც პასუხს განაპირობებს.

დისკუსიები და დებატები ეფექტური გზაა კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის.

ხშირად, მოსწავლეები მოკლედ და მშრალად გვპასუხობენ. ამიტომ მნიშვნელოვანია, დავსვათ დამატებითი კითხვები, რომლებიც მათ იდეების, საკითხის თუ პრობლემის უფრო ღრმა გააზრებას „აიძულებს“.

მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებისთვის აუცილებელია ისეთი გარემოს შექმნა, სადაც სხვადასხვა აზრის და შეხედულების გამოხატვა თავისუფლად და უსაფრთხოდაა შესაძლებელი, სადაც ურთიერთპატივისცემა წახალისებული და მხარდაჭერილია.

შესაძლოა, მკითხველმა იფიქროს, რატომ მეორდება რედაქტორი და კიდევ ერთხელ რატომ გვესაუბრება ჩვენთვის ასე კარგად ნაცნობ საკითხზე, ეს ხომ ისედაც ვიცით.

ამ ყველაფრის შეხსენება კი იმიტომ გადავწყვიტე, რომ მთავარ სათქმელამდე მისასვლელი მჭირდებოდა.

ხშირად, მოსწავლეებისთვის მასწავლებელი მისაბაძი მაგალითია, ამიტომაა მნიშვნელოვანი, ჩვენ თავადაც, ჩვენი საქციელით დავანახოთ მათ ამ ღირებულებების მნიშვნელობა. თუ მასწავლებელი ურთიერთპატივისცემას, ღირსებასა და დამოუკიდებლობას საკუთარ ქცევაში გამოხატავს, მოსწავლეებიც უფრო ადვილად შეითვისებენ ამ ღირებულებებს.

ამის დეფიციტი რომ არ შემემჩნია, ამაოდ არ გავირჯებოდი.

რესურსი

მანანა ბოჭორიშვილი

4 | რემედიაციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

მოსწავლეთა საჭიროებაზე ორიენტირება რემედიაციის პროცესთან მიმართებაში იწყება იმით, რომ მასწავლებელი ყურადღებას აქცევს მოსწავლის რემედიაციულ სიგნალებს. რემედიაციული სიგნალი არის იმის ნიშანი, რომ მოსწავლეს გარკვეულ საკითხში ან უნარებში სირთულე აქვს და დამატებითი დახმარება სჭირდება.

თინათინ ზარდიაშვილი

14 | მე შენი ჩრდილი ვარ – რესურსი სსსმ მოსწავლეებისთვის

მასწავლებლებისთვის ძალიან დიდი გამოწვევაა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა, მით უმეტეს, თუ კლასი მრავალრიცხოვანია. მეთერთმეტე კლასში ფიზიკაში ისწავლება ოპტიკა, სინათლის კანონები. ერთ-ერთი ქვესაკითხია სინათლის გავრცელება და ჩრდილის წარმოქმნა.

ლიზი ლაშქარავა, დალი ნემსაძე

23 | გაკვეთილის ბოლოს დარჩენილი წუთები – დამატებითი შესაძლებლობა

სწრაფი, მიზანმიმართული აქტივობების ორგანიზება უზრუნველყოფს კლასში დროის ნაყოფიერად გამოყენებას. ასეთი აქტივობები არა მხოლოდ ინარჩუნებენ მოსწავლეთა ჩართულობას, არამედ ხელს უწყობენ ისეთი კრიტიკული უნარების განვითარებას, როგორიცაა კრეატიულობა, გუნდური მუშაობა და ფოკუსირება.

მაია ფირჩხაძე

32 | სასწავლო მენიუ როგორც დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტი კურუკულუმის სტრუქტურაში

საგნობრივ კურიკულუმში ნათლად უნდა იკითხებოდეს, როგორ აღწევს მასწავლებელი დიფერენცირებული სწავლების მოთხოვნის შესრულებას. ამ კუთხით კურიკულუმებში ხშირად გვხვდება სასწავლო მენიუ, როგორც დიფერენცირებული სწავლების ეფექტური ინსტრუმენტი.

ლელა კოტორაშვილი

52 | სიტყვის ბარათები – უკუკავშირი საკლასო ჩანაწერებთან

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საშინაო დავალების რვეულების მხოლოდ ერთ კომპონენტზე. კერძოდ, საკლასო სამუშაოს ერთ-ერთ ფორმაზე – ახალი სიტყვების შესწავლისას გაკეთებულ ჩანაწერებზე.

მოსაზრება

ნესტან მიქაძე

18 | რას ნიშნავს კარგი გაკვეთილი?

ოცდამეერთე საუკუნის მასწავლებელი მხოლოდ დაფითა და ცარცით მოსწავლის დაინტერესებას ვერ მოახერხებს. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში ხაზგასმით იკითხება, რომ მასწავლებლის ვალდებულებაა – თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში „ციფრული მოქალაქეობის“ უნარის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება.

მაია მენაბდე

42 | მოზარდები კოსმოსური ოკეანის ნაპირზე

შეცდომები ყველას მოსდის და არც დიდი იდეების ავტორები არიან ამისგან დაზღვეული. მთავარია, ადამიანს შეეძლოს შეცდომის დანახვა, აღიარება, უკან დახევა და ახალი, სწორი, მართებული გზების ძიება.

ინა იმედაშვილი

54 | გამარჯობა, მე მასწავლებელი ვარ. მე არ ვარ იდეალური

ჩვენ, მასწავლებლები სანამ კლასში შევალთ, პალტოსავით ვიხდით ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ყოველდღიურობას, ჩვენს პრობლემებს, ვიცვამთ ემოციურ აბჯარს და გავდივართ სცენაზე, სადაც ჩვენი ფიქრებით, აზრებით, გონებით ვძერწავთ კარგ მოქალაქეებს, პატრიოტ და უბრალოდ კარგ ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ და ესაა ჩვენი მიზანი, როგორ გამოგვდის, ამას დრო გვიჩვენებს.



განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

25 როგორ ვასწავლოთ ბავშვს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება

რაც უფრო ადრე დავრთავთ ბავშვს ნებას, დამოუკიდებლად გააკეთოს არჩევანი, მით უფრო ნაკლები პრობლემები ექნება მას მომავალში გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

27 ირმა ტაველიძე
კომუნიზმი

28 დათია ბადალაშვილი
ომის რეფლექსია თანამედროვე პოეზიაში

29 შორენა ტყეშელაშვილი
გზავნილი ბავშვებისთვის – მჯერა შენი, გენდობი და საუკეთესოს ველოდები

30 ქრისტინე სურგულაძე
პირადი მაგალითი



გამოცდილება

ნინო ლომიძე

11 სიმბოლიზმის სწავლა-სწავლების პრაქტიკა სკოლებში – მონოკულტურული ჭრილი

ქართული ლიტერატურული პროცესი მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ფეხდაფეხ მიჰყვება ევროპულ ლიტერატურულ და კულტურულ, ხელოვნებით პროცესებს, პირდაპირი ბიოგრაფიული და ბედისწერული კავშირებია ევროპასთან და ამ დიდი კულტურული მოვლენების ღირებული შემდგენელია აქ რაც ხდება.

დიანა ანფიმიადი

35 როგორ ვისაუბროთ პროფესიების შესახებ – რამდენიმე ტექსტი და იდეა დაწყებითი სკოლის მხიარული გაკვეთილებისთვის

სასკოლო განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში მოსწავლეთა დახმარებაა, რასაც საფუძველი დაწყებით კლასებში ეყრება.

ირენა მახარაძე

39 ხელოვნება კადრს მიღმა

ხელოვნების მასწავლებლისთვის ყველაზე ამაღელვებელი და საპასუხისმგებლო მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენის წარდგენაა სკოლაში. ექსპოზიციის შექმნას საკმაო დრო და კარგი დაგეგმვა სჭირდება, რომ ყველა მოსწავლის შემოქმედების შედეგი თანაბრად წარმოვაჩინოთ. ხელოვნების სწავლება მხოლოდ საბოლოო შედეგით არ განისაზღვრება. ხელოვნების შექმნის, შემოქმედების პროცესი თანაბრად მნიშვნელოვანია.

თემურ სუყაშვილი

47 როგორ შევქმნათ დავალებები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით

მსოფლიო დიდი ცვლილებების პროცესშია. ტექნოლოგიური მიღწევები ელვის სისწრაფით იკიდებს ფეხს ჩვენს ყოველდღიურობაში. ხელოვნური ინტელექტი წარმატებული განათლების სისტემის მქონე ქვეყნებში სერიოზული დისკუსიის საგანია.

მანანა ბოჭორიშვილი

რემედიაციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები

მოსწავლეთა საჭიროებაზე ორიენტირება რემედიაციის პროცესთან მიმართებაში იწყება იმით, რომ მასწავლებელი ყურადღებას აქცევს მოსწავლის რემედიაციულ სიგნალებს. რემედიაციული სიგნალი არის იმის ნიშანი, რომ მოსწავლეს გარკვეულ საკითხში ან უნარებში სირთულე აქვს და დამატებითი დახმარება სჭირდება.

რემედიაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სკოლის მოსწავლეების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის სრულყოფილი განვითარებისთვის საჭირო მხარდაჭერას. რემედიაციის საჭიროება, მისი ფორმატები, სასკოლო პოლიტიკა და ვერიფიკაცია იმ ასპექტებს წარმოადგენს, რომლებიც მასწავლებლებს და სკოლებს ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაში.

რემედიაცია საჭირო ხდება მაშინ, როდესაც მოსწავლეები არ არიან საკმარისად მომზადებულნი ან უჭირთ გარკვეული აკადემიური მიზნების მიღწევა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, როგორიცაა: სასწავლო მასალის არასაკმარისად გაგება, ინდივიდუალური სასწავლო საჭიროება, ენის ბარიერი ან სხვა პიროვნული მახასიათებლები. რემედიაციის გარეშე, მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ წარმატების მიღწევა, რაც გავლენას მოახდენს მათ საერთო აკადემიურ მიღწევებზე და მოტივაციაზე.

რემედიაციის ეფექტურობა ფართოდ არის შესწავლილი. კვლევები ადასტურებენ, რომ სწორად განხორციელებული რემედიაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ პროგრესზე. მაგალითად, კვლევებმა აჩვენა, რომ რემედიაცია ხელს უწყობს სწავლის ხარვეზების აღმოფხვრას, აუმჯობესებს მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს და ზრდის მათ მოტივაციას (Clark & Schultz, 2015; Hattie, 2009).

კლარკისა და შულცის (2015) კვლევებმა აჩვენეს, რემედიაცია განსაკუთრებით ეფექტურია, როდესაც იგი სწრაფად, მოსწავლის სირთულეების გამოვლენისთანავე ხორციელდება. ამ მიდგომის შედეგად, მოსწავლეები დროულად იღებენ საჭირო დახმარებას, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ აკადემიურ შედეგებს.

ამავე კონტექსტში, ჰეტის (2009) მიერ ჩატარებული მეტა-ანალიზი ხაზს უსვამს რემედიაციის პროცესის მნიშვნელობას, სადაც სწავლების მოდიფიკაცია ხდება თითოეული მოსწავლის საჭიროებების მიხედვით. ეს პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს რემედიაციის ეფექტიანობას.

რემედიაციის სასკოლო პოლიტიკამ თითოეული მოსწავლისთვის უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა. რემედიაციის სასკოლო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს, როგორ შეფასდეს მოსწავლეთა საჭიროებები და რემედიაციის აუცილებლობა.

რემედიაციის პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და სწავლების სტრატეგიები, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამება თითოეული მოსწავლის უნარებსა და ინტერესებს.

რემედიაციის პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს, თუ როგორ მოხდეს რესურსების (მასალები, მას-

წავლებლების დრო, ტექნოლოგიები) გამოყენება და განაწილება.

> რემედიაციის სასკოლო პოლიტიკა უნდა მოიცავდეს მასწავლებლებისთვის რემედიაციის მეთოდების, სტრატეგიების და ეფექტური პრაქტიკის სწავლებას. რემედიაციის პროცესი საჭიროებს მუდმივ ვერიფიკაციას, რათა შეფასდეს მისი ეფექტიანობა და საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს ცვლილებები. ეს შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გზებით:
>
> - მასწავლებლებმა რეგულარულად უნდა აკონტროლონ და შეაფასონ მოსწავლეთა პროგრესი რემედიაციის პროცესში, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი აღწევენ სასწავლო მიზნებს.
> - რემედიაციის დასრულების შემდეგ უნდა ჩატარდეს საბოლოო შეფასება, რომელიც აჩვენებს, თუ რამდენად გაუმჯობესდა მოსწავლეთა ცოდნა და უნარები.
> - სასურველია რემედიაციის პროცესის შეფასება მასწავლებლების და მოსწავლეების უკუკავშირის საფუძველზე, რაც საშუალებას მისცემს სკოლას, გაიგოს, რა მუშაობს და რა საჭიროებს გაუმჯობესებას.

რემედიაციის პროცესი სკოლის მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილი განათლების მიღების შესაძლებლობას და ხელს უწყობს აკადემიური წარმატების მიღწევას. რემედიაციის საჭიროების განსაზღვრა, შესაბამისი ფორმატების გამოყენება, სწორი სასკოლო პოლიტიკის შემუშავება და ვერიფიკაცია ხელს უწყობს, სკოლა მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული მოსწავლეთა საჭიროებებზე.

მოსწავლეთა საჭიროებაზე ორიენტირება რემედიაციის პროცესთან მიმართებაში იწყება იმით, რომ მასწავლებელი ყურადღებას აქცევს მოსწავლის რემედიაციულ სიგნალებს. რემედიაციული სიგნალი არის იმის ნიშანი, რომ მოსწავლეს გარკვეულ საკითხში ან უნარებში სირთულე აქვს და დამატებითი დახმარება სჭირდება. ეს სიგნალები ვლინდება: აკადემიურ მიღწევების დინამიკით, მოტივაციის და ყურადღების დეფიციტით, სოციალური ინტეგრაციის სირთულეებით და ა.შ.

მნიშვნელოვანია, სკოლის მასწავლებლებს შეეძლოთ ამ სიგნალების ამოცნობა, რადგან ეს საშუალებას აძლევს მათ, დროულად ჩაერთონ პროცესში და დაეხმარონ მოსწავლეს სწორი მიმართულებით განვითარებაში. თუ მასწავლებელი ადრეულ ეტაპზე შეამჩნევს და ამოიცნობს რემედიაციულ სიგნალებს, ის შეძლებს სათანადო ინტერვენციების დაგეგმვას, ინდივიდუალური მიდგომის გამოყენებას და მოსწავლის აკადემიურ და პიროვნულ განვითარებაში ხელის შეწყობას.

უკუკავშირი რემედიაციის პროცესის აუცილებელი კომპონენტია. სწორი უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი პროგრესის აღქმაში და ამავე დროს, მასწავლებლებს ეხმარება, განსაზღვრონ, რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს რემედიაციის პროცესი. კვლევებმა აჩვენა, რომ რეგულარული და კონსტრუქციული უკუკავშირი მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას და მათ პროგრესს (Shute, 2008).

ჯონ ჰეტის (2009) კვლევამ აჩვენა, რომ სწორი უკუკავშირი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს სწავლის პროცესზე. ჰეტი ხაზს უსვამს, რომ უკუკავშირი უნდა იყოს კონკრეტული, დროული და კონსტრუქციული, რათა მოსწავლეებს დაეხმაროს გაიგონ, რა არის მათი ძლიერი მხარე და რა სფეროებში სჭირდებათ მეტი მუშაობა. მაგალითად, როცა მასწავლებელი მოსწავლეს უკუკავშირს აძლევს არა მხოლოდ მიღწეული შედეგების შეფასების, არამედ შესრულებული დავალებების კონკრეტული დეტალების მიხედვით, მოსწავლეს უკეთესად ესმის, რა უნდა გააუმჯობესოს. ეს, თავის მხრივ, ზრდის მისი სწავლის მოტივაციას და აძლიერებს სწავლის პროცესს.

მოზარდის ემოციები რემედიაციისას – რემედიაციის პროცესში მოსწავლეთა ემოციები დიდ როლს ასრულებს. მოსწავლეები, რომლებიც სწავლაში სირთულეებს განიცდიან, ხშირად გრძნობენ დაძაბულობას, შიშს და თვითშეფასების დაქვეითებას. ამიტომ, მასწავლებლებმა უნდა შეაფასონ მოსწავლეთა ემოციური მდგომარეობა და გამოიყენონ ემპათიური და მხარდამჭერი მიდგომები, რათა შეამსუბუქონ მათი ემოციური დატვირთვა.

კვლევები აჩვენებენ, რომ პოზიტიური სასწავლო გარემო, როცა მოსწავლეები გრძნობენ თანადგომასა და მხარდაჭერას, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ ემოციურ მდგომარეობას და აკადემიურ მიღწევებს (Brophy, 1986; Wentzel, 1997). მასწავლებლების ამოცანაა,შექმნან მოსწავლეებისთვის

უსაფრთხო და კომფორტული გარემო, სადაც ისინი შეძლებენ სრულად გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი. მაგალითად, თუ მოსწავლე, რომელსაც უჭირს კითხვა, ხედავს, რომ მასწავლებელი არა მხოლოდ ეხმარება მას აკადემიურ განვითარებაში, არამედ ხელს უწყობს მისი ფსიქიკური კეთილდღეობის შენარჩუნებას, მნიშვნელოვნად ამცირებს მის სტრესს და აძლიერებს მოტივაციას

რემედიაციის პროცესის სწორად დაგეგმვა და განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისთვის. კვლევები ადასტურებს, რომ რემედიაცია არა მხოლოდ ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაუმჯობესებას, არამედ ზრდის მათ მოტივაციასაც (Clark & Shulz, 2015; Hattie, 2009).

როგორც აღვნიშნეთ, რემედიაცია საჭირო ხდება მაშინ, როცა მოსწავლე, უნარებში გაჩენილი დეფიციტის გამო, სისტემატურად ვერ ან არასწორად ასრულებს გარკვეული ტიპის დავალებებს.

რემედიაცია სკოლაში შეიძლება მიმდინარეობდეს სამი ძირითადი ფორმატით:

1. გაკვეთილში ჩაშენებით;
2. გაკვეთილისგან მოწყვეტით;
3. დამატებითი გაკვეთილის სახით

გაკვეთილისგან მოწყვეტით	გაკვეთილში ჩაშენებით	დამატებითი გაკვეთილის სახით
გაკვეთილის მსვლელობისას ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მცირე ხნით, კლასში ან კლასის გარეთ, სხვა/დამხმარე მასწავლებელი უტარებს კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებულ აქტივობებს.	მასწავლებელი გაკვეთილის მსვლელობის პროცესში ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მიზნობრივად უტარებს კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებულ აქტივობებს.	არასაგაკვეთილო დროს (ძირითად გაკვეთილებამდე/შემდეგ) ერთ ან რამდენიმე მოსწავლეს მიზნობრივად უტარდება კონკრეტული უნარის გავარჯიშებაზე ორიენტირებული აქტივობები თავისივე ან სხვა მასწავლებლის მიერ.

სხვადასხვა მეთოდის გამოყენება რემედიაციის ფარგლებში, სწორი უკუკავშირი და მოსწავლეთა ემოციური მდგომარეობის გათვალისწინება წარმოადგენს ეფექტური და შედეგიანი სასწავლო პროცესის არსებით კომპონენტებს.

რემედიაცია, როგორც პროცესი, ყურადღებას ამახვილებს თითოეული მოსწავლის უნიკალურ საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის მოსახერხებელ და მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს შექმნას. რემედიაციის პროცესის ჰოლისტური გაგაზრებისთვის მნიშვნელოვანია, დავაზუსტოთ რამდენიმე საკითხი, ცნება და ტერმინი.

რემედიაცია (Remediation) გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესს, რომლის მიზანია მოსწავლეთა ცოდნაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, იმ მასალის განმეორება და განმტკიცება, რომელიც მათთვის რთული ან ნაკლებად გასაგები იყო. რემედიაცია ხელს უწყობს მოსწავლეებს, შეძლონ ნორმალურ სასწავლო პროცესში ჩართვა და სასწავლო მიზნების მიღწევა.

სკრინინგი (Screening) არის მოკლე, სტანდარტიზებული ტესტირების პროცესი, რომელიც გამოიყენება მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შეფასებისთვის. სკრინინგის მეშვეობით ხდება იმ მოსწავლეების იდენტიფიცირება, რომლებსაც შესაძლოა, სჭირდებოდეთ დამატებითი დახმარება ან რემედიაცია.

დიაგნოსტიკური შეფასება (Diagnostic Assessment) არის პროცესის ნაწილი, რომელიც საშუალებას აძლევს, მასწავლებლებს გაარკვიონ, კონკრეტულად რომელ სფეროებში და საკითხებში აქვს მოსწავლეს სირთულეები. ამის შემდეგ მასწავლებელი განსაზღვრავს, როგორია რემედიაციის საჭიროება და როგორ უნდა განხორციელდეს ის.

მუდმივი პროგრესის მონიტორინგი (Progress Monitoring) გულისხმობს სისტემატური დაკვირვების პროცესს, რომლის მეშვეობითაც ხდება მოსწავლის პროგრესის შეფასება. ეს პროცესი საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, მუდმივად აკონტროლონ მოსწავლეების შედეგები და საჭიროების შემთხვევაში, დაარეგულირონ რემედიაციის პროცესი

პერსონალიზებული სწავლება (Personalized Learning) ინდივიდუალური სასწავლო მიდგომაა, რომელიც თითოეული მოსწავლის საჭიროებებს, ინტერესებს და უნარებს არის მორგებული. რემედიაციის პროცესში პერსონალიზებული სწავლება ხშირად გამოიყენება, რათა მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა, სწრაფად და ეფექტიანად მიაღწიონ სასწავლო მიზნებს.

დიფერენცირებული ინსტრუქცია (Differentiated Instruction) არის მასწავლებლის მიერ გამოყენებული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს სასწავლო მასალის, მეთოდების და შეფასების ადაპტირებას თითოეული მოსწავლის საჭიროებების, უნარებისა და ინტერესების შესაბამისად. ეს მეთოდი რემედიაციის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის ეხმარება მასწავლებლებს, ეფექტიანად უპასუხონ მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებს.

სოციალური და ემოციური მხარდაჭერა (Social and Emotional Support) – რემედიაციის პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სოციალური და ემოციური მხარდაჭერა. ეს ცნება მოიცავს ისეთი სტრატეგიების გამოყენებას, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს გაუმკლავდნენ სირთულეებს, აიმაღლონ თვითშეფასება და მოტივაცია, გაიუმჯობესონ აკადემიური შედეგები.

უკუკავშირი (Feedback) მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მოიცავს მასწავლებლის მიერ მოსწავლეების შედეგების ანალიზს და მათი პროგრესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. უკუკავშირი უნდა იყოს დროული, კონკრეტული და კონსტრუქციული, რათა მოსწავლეებს დაეხმაროს სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში.

ინტერვენცია (Intervention) არის აქტიური პროცესი, რომლის მეშვეობითაც მასწავლებელი აწარმოებს მიზანმიმართულ ქმედებებს, დაეხმაროს მოსწავლეებს, გადალახონ



რემედიაცია, როგორც პროცესი, ყურადღებას ამახვილებს თითოეული მოსწავლის უნიკალურ საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის მოსახერხებელ და მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

სირთულეები კონკრეტულ საგანში ან უნარებში. ინტერვენცია რემედიაციის პროცესის ნაწილად მიიჩნევა და ხშირად გამოიყენება სასწავლო პროცესში.

გამდიდრებული სწავლება (Enhanced Instruction) გულისხმობს უფრო ინტენსიურ და სპეციფიკურ სასწავლო პროცესს, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების გაღრმავებაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს დამატებითი მასალის მიწოდებას, უფრო აქტიურ უკუკავშირს ან სპეციალურ დავალებებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს მიღწევების გაუმჯობესებაში.

რემედიაციის პროცესი მოიცავს რამდენიმე ძირითად ეტაპს, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროების შესაბამის ინტერვენციას, მოსწავლის პროგრესს. ეს ეტაპებია:

1. **საჭიროების იდენტიფიკაცია** (Needs Assessment) – მასწავლებელი ან სკოლის სპეციალისტი ავლენს მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ რემედიაცია. ეს ხდება შეფასების შედეგების, მასწავლებლის დაკვირვების ან მოსწავლის თვითშეფასების საფუძველზე.
2. **მიზნების დასახვა** (Goal Setting) – იდენტიფიცირებული საჭიროების საფუძველზე განისაზღვრება რემედიაციის კონკრეტული მიზნები. მიზნები უნდა იყოს მკაფიო, გაზომვადი და დროში განსაზღვრული.
3. **პროგრამის შემუშავება** (Program Design) – შემუშავდება რემედიაციის გეგმა, რომელიც მოიცავს გამოყენებულ სტრატეგიებს, მასალებს და რესურსებს. აქ განსაზღვრულია რემედიაციის ტიპი (მაგ., საკლასო, ინდივიდუალური, ონლაინ) და სიხშირე.
4. **ინსტრუქციის განხორციელება** (Instruction Delivery) – მასწავლებელი ან სპეციალისტი იწყებს რემედიაციას მოსწავლის საჭიროებების მიხედვით. ეს შეიძლება მოიცავდეს საკლასო აქტივობებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს ან ონლაინ სწავლების სესიებს.
5. **უკუკავშირი და მონიტორინგი** (Feedback and Monitoring) – მოსწავლეს რეგულარულად ეძლევა უკუკავშირი, რათა იცოდეს, როგორია მისი პროგრესი. მასწავლებელი ასევე აწარმოებს მონიტორინგს, რომ საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს სტრატეგია ან მეთოდი.
6. **შეფასება და კორექტირება** (Assessment and Adjustment) – გარკვეული პერიოდის შემდეგ (მაგ., ყოველთვიურად ან ყოველი თემის დასრულების შემდეგ) ხდება რემედიაციის ეფექტიანობის შეფასება. თუ პროგრესი არ არის საკმარისი, სქემა გადაისინჯება შესწორებისთვის.
7. **სრულად შესრულება** (Completion) – როდესაც მოსწავლე აღწევს დასახულ მიზნებს, რემედიაცია მთავრდება. მოსწავლის მიღწევები აღინიშნება და შესაძლოა ახალი მიზნები განისაზღვროს, თუ საჭიროა სხვა სფეროებში დამატებითი მხარდაჭერა.
8. **განმეორებითი პროცესი** (Follow-Up) – სრული რემედიაციის შემდეგ ხდება რეგულარული შემოწმება, რათა მოსწავლემ შეინარჩუნოს მიღწეული პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს დამატებითი დახმარება.

ეს თანმიმდევრული სქემა უზრუნველყოფს რემედიაციის პროცედურების სტრუქტურულად და გეგმაზომიერად განხორციელებას, რაც, საბოლოოდ, მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში ეხმარება.

რემედიაციის თითოეული ეტაპი კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა პროცესი იყოს სისტემატური, მიზანმიმართული და შედეგზე ორიენტირებული. თითოეული ეტაპი თანმიმდევრულად ერთმანეთთანაა დაკავშირებული, და პროცესის წარმატებისთვის მათი თანმიმდევრობის დაცვა აუცილებელია.

1. საჭიროების იდენტიფიკაცია (NEEDS ASSESSMENT)

ეს არის საწყისი ეტაპი, რომელიც განსაზღვრავს, ვის სჭირდება რემედიაცია და რა უნარების დეფიციტია. სწორი დიაგნოსტიკა მნიშვნელოვანია, რადგან თუ საჭიროებები სწორად არ გამოვლინდა, მთელი პროგრამა არაეფექტიანი იქნება.

აუცილებლობა: სწორი იდენტიფიკაციის გარეშე, მომდევნო ნაბიჯები შეიძლება არასწორი მიმართულებით წარიმართოს.

მაგალითი: თუ მასწავლებელი ხედავს, რომ მოსწავლეს უჭირს გარკვეული მათემატიკური კონცეფციის გაგება, საჭიროა ამ პრობლემის დაზუსტება, რაც მოხდება შეფასების ან დაკვირვების საფუძველზე.

2. **მიზნების დასახვა** (GOAL SETTING)

როდესაც საჭიროებები იდენტიფიცირდება, კონკრეტული მიზნები უნდა განისაზღვროს. ეს მიზნები უნდა იყოს კონკრეტული, გაზომვადი და დროში განსაზღვრული. მიზნების გარეშე რთული იქნება პროგრესის მონიტორინგი და შედეგის შეფასება.

აუცილებლობა: მიზნების გარეშე, მასწავლებელს არ ექნება მკაფიო წარმოდგენა, რას მიაღწიოს და როგორ შეაფასოს მიღწეული პროგრესი.

მაგალითი: ქიმიაში შეიძლება იყოს მიზანი: „მოსწავლემ შეძლოს მოლეკულური სტრუქტურების მარტივად განსაზღვრა სამ თვეში“.

3. **პროგრამის შემუშავება** (PROGRAM DESIGN)

როდესაც მიზნები დასახულია, საჭიროა რემედიაციის სტრატეგიების, რესურსების და მასალების დაგეგმვა. ეს ეტაპი მოიცავს კონკრეტული მეთოდების, ფორმატების და დროში განაწილების განსაზღვრას.

აუცილებლობა: პროგრამის გეგმის გარეშე, რემედიაციის პროცესი არ იქნება სტრუქტურირებული და ეფექტიანი.

მაგალითი: თუ გეოგრაფიაში სირთულე რუკების აღქმაშია, პროგრამა შეიძლება მოიცავდეს ვარჯიშებს რუკებზე ან ინტერაქტიურ პლატფორმებთან მუშაობას.

4. **ინსტრუქციის განხორციელება** (INSTRUCTION DELIVERY)

ამ ეტაპზე მიმდინარეობს პრაქტიკული მუშაობა რემედიაციაზე. პროცესში გამოიყენება დაგეგმილი სტრატეგიები და აქტივობები მოსწავლის დეფიციტების დაძლევისთვის.

აუცილებლობა: ინსტრუქციის ეტაპზე პროგრამის დეტალური დაგეგმვა და მისი სწორად განხორციელება აუცილებელია.

მაგალითი: ქიმიის გაკვეთილზე პრაქტიკული ლაბორატორიული აქტივობების გამოყენება მოსწავლისთვის, რომელსაც სირთულეები აქვს თეორიული მასალის პრაქტიკულში გადატანაში.

5. **უკუკავშირი და მონიტორინგი** (FEEDBACK AND MONITORING)

მოსწავლეს რეგულარულად ეძლევა უკუკავშირი, რაც მნიშვნელოვანია პროგრესის შეფასებისთვის. ეს პროცესი ეხმარება როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელს რემედიაციის პროცესის ეფექტიანობის შეფასებაში.

აუცილებლობა: უკუკავშირი აუცილებელია იმისთვის, რომ მოსწავლემ იცოდეს, რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, ხოლო მასწავლებელმა შეძლოს საჭირო კორექტივების შეტანა.

მაგალითი: გეოგრაფიის რემედიაციისას, თუ მოსწავლემ წარმატებით შეასრულა დავალება და სწორად მიუთითა ყველა კონტინენტი, მასწავლებელი პოზიტიურ უკუკავშირს აძლევს, ხოლო თუ შეცდომა დაუშვა, განმარტებას აკეთებს.

6. **შეფასება და კორექტირება** (ASSESSMENT AND ADJUSTMENT)

პროცესის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ საჭიროა მიღწეული შედეგების შეფასება. თუ მიზნები არ შესრულდა, საჭიროა გეგმის ან სტრატეგიების კორექტირება.

აუცილებლობა: რეგულარული შეფასების გარეშე რთულია გაიგო, რამდენად ეფექტური იყო

პროგრამა და საჭიროა თუ არა რაიმე ცვლილება.

მაგალითი: თუ ბიოლოგიის კონკრეტული თემის სწავლებისას პროგრესი არ შეინიშნება, მოსწავლეს უჭირს თემის აღქმა, შესაძლებელია პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით ხარვეზის აღმოფხვრა. მაგალითად, მეტი ვარჯიში კვებითი ჯაჭვის შედგენაზე.

7. სრულად შესრულება (COMPLETION)

როდესაც მოსწავლე აღწევს დასახულ მიზნებს, პროგრამა მთავრდება. მოსწავლემ წარმატებით გადალახა სირთულეები და ამის აღნიშვნა მნიშვნელოვანია.

აუცილებლობა: მიზნების მიღწევა ასრულებს პროცესს, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ რემედიაცია ეფექტურად დასრულდეს და მოსწავლემ გააგრძელოს სწავლის პროცესი.

8. განმეორებითი პროცესი (FOLLOW-UP)

რემედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ საჭიროა მოსწავლის პერიოდული შემოწმება, რათა შენარჩუნდეს მიღწეული პროგრესი და თუ აუცილებელია, რემედიაციის პროცესი უნდა განმეორდეს.

აუცილებლობა: მიღწეული შედეგების რეგულარული მონიტორინგი ხელს უწყობს პროგრესის შენარჩუნებას.

მაგალითი: ქიმიის მასწავლებელმა შეიძლება გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ შეამოწმოს, შეძლებს თუ არა მოსწავლე დამოუკიდებლად ქიმიური რეაქციის განტოლებების შედგენას.

რატომ არის თანმიმდევრობის დაცვა მნიშვნელოვანი? პროცესის ყველა ეტაპი ლოგიკურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული. თუ რომელიმე ეტაპი გამოტოვებულია ან არასწორად არის შესრულებული, შეიძლება დაირღვეს მთლიანად პროგრამის ეფექტურობა.

თანმიმდევრობის დაცვა უზრუნველყოფს, რომ რემედიაციის პროცესი იყოს სტრუქტურირებული და თითოეული ნაბიჯი მოსწავლის პროგრესისთვის შესაბამისი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Clark, R., & Schultz, J. (2015). The Impact of Remedial Education on Student Achievement. Journal of Educational Research, 108(2), 85-98.
2. Hattie, J. (2009). Visible Learning: A Synthesis of Over 800 Meta-Analyses Relating to Achievement. Routledge.
3. Shute, V. J. (2008). Focus on formative feedback. Review of Educational Research, 78(1), 153-189.
4. Hattie, J. (2009). Visible Learning: A Synthesis of Over 800 Meta-Analyses Relating to Achievement. Routledge.
5. Brophy, J. (1986). On Motivating Students. Occasional Paper No.101. Institute for Research on Teaching, Michigan State University.
6. Wentzel, K. R. (1997). Student motivation in middle school: The role of perceived pedagogical caring. Journal of Educational Psychology, 89(3), 411
7. Clark, D., & Schulz, K. (2011). Remedial Education in the Community College Context: A Review of Recent Research. Journal of Higher Education, 82(1), 1-27.
8. Hattie, J. (2009). Visible Learning: A Synthesis of Over 800 Meta-Analyses Relating to Achievement. Routledge.
9. Brookhart, S. M. (2017). How to Give Effective Feedback to Your Students. ASCD.
10. Fuchs, D., & Fuchs, L. S. (2012). What Is Special About Special Education for Students with Learning Disabilities?. Journal of Special Education, 46(1), 3-16.
11. Deci, E. L., & Ryan, R. M. (2000). The "What" and "Why" of Goal Pursuits: Human Needs and the Self-Determination of Behavior. Psychological Inquiry, 11(4), 227-268.
12. Calkins, L. (2001). The Art of Teaching Reading. Longman.
13. Tomlinson, C. A. (2005). Differentiation in Practice: A Resource Guide for Differentiating Curriculum, Grades K-5. ASCD.
14. Guskey, T. R. (2003). How Classroom Assessments Improve Learning. ASCD.
15. Vaughn, S., & Bos, C. S. (2009). Strategies for Teaching Students with Learning and Behavior Problems. Pearson.
16. Tomlinson, C. A., & Imbeau, M. B. (2010). Leading and Managing a Differentiated Classroom. ASCD.
17. Gregory, G. H., & Chapman, C. (2012). Differentiated Instructional Strategies: One Size Doesn't Fit All. Corwin Press.
18. Hattie, J. (2009). Visible Learning: A Synthesis of Over 800 Meta-Analyses Relating to Achievement. Routledge.
19. Fuchs, D., Fuchs, L. S., & Vaughn, S. (2014). Response to Intervention: Past, Present, and Future. Routledge

ნინო ლომაძე

სიმბოლიზმის სწავლა-სწავლების პრაქტიკა სკოლებში – მონოკულტურული ჭრილი

XVII საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი – ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები – წელს ქუთაისში ჩატარდა. თემა გახლდათ – „პატარა ქვეყნების ლიტერატურები და თანამედროვე გლობალური სამყაროს გამოწვევები“. მონაწილეობის მიღება მოქმედ მასწავლებლებს შემოგვთავაზეს. მე და ჩემი კოლეგები სიხარულით დავთანხმდით. სასკოლო პროცესისადმი, ლიტერატურის სასკოლო კურსისადმი ინტერესი მნიშვნელოვანია. ამაზე საუბარი და გამოცდილების გაზიარება სასიკეთო ცვლილებების წინაპირობად მიგვაჩნია.

მრგვალი მაგიდის ფორმატში სასაუბრო თემად სიმბოლიზმის სწავლა-სწავლების პრაქტიკა შევარჩიეთ და შეხვედრაზე ლიტერატურის სასკოლო კურსში სიმბოლიზმის სწავლებაზე, თანმდევ პრობლემებსა და არსებულ სიტუაციაზე ვისაუბრეთ.

ამ წერილში წარმოგიდგენთ სიმპოზიუმისთვის მომზადებულ სათქმელს. ვფიქრობ, ლიტერატურის სასკოლო კურსის განხილვა ერთ კონკრეტულ მაგალითზე დაყრდნობით მნიშვნელოვანია და ეს „სიმპტომატური“ მიდგომა ზოგადი, საერთო პრობლემების აღმოჩენაშიც დაგვეხმარება.

დღეს ვსაუბრობთ სიმბოლიზმის სწავლა-სწავლების პრაქტიკაზე სკოლებში. იმ პრობლემაზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას, რომელიც ზოგადად ქართულის სასკოლო კურსს აქვს. ესაა მონოკულტურული ჭრილი – ლიტერატურა ისწავლება მსოფლიო ლიტერატურული პროცესისგან განცალკევებით, არ არის ხოლმე დრო და საშუალება, ჩავუღრმავდეთ ამ მიმართულებით საფიქრალს.

ჩემთვის მნიშვნელოვანია, სიმბოლიზმის სწავლების პრობლემატიკა ვაქციო დაკვირვების ობიექტად, გამოვიყენო ეს დრო იმისთვისაც, რომ საერთო, ზოგადი პრობლემა გამოვკვეთოთ. იქნებ ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე დავფიქრდეთ ან სამომავლოდ დავსახოთ ნაბიჯები.

როგორ ვასწავლით სიმბოლიზმს და ზოგადად, ლიტერატურულ მიმდინარეობებს სკოლებში?

ჩავიხედოთ სახელმძღვანელოებში.

აუდიტორიაში პრაქტიკოსი მასწავლებლები იქნებიან და მათთვის ცხადად წარმოსადგენი იქნება. იქნებიან ისინიც, ვისაც ბოლო ხანებში არ დასჭირვებია სასკოლო სახელმძღვანელოების გადაფურცვლა, მაგრამ გემახსოვრებათ თქვენი მოწაფეობის ხანიდან – ბევრი არაფერი შეცვლილა სწავლების პრინციპში, ბირთვ პროგრამასა და მეთოდოლოგიაში. საერთოდ, ეს ცალკე განსახილველი პრობლემაა და ამაზე ბევრს ვსაუბრობთ მე და ჩემი კოლეგები.

მაშ, წარმოსახვით გადავფურცლოთ სახელმძღვანელოები და დავაკვირდეთ, როგორ შემოდის სიმბოლიზმი:

- მოწოდებულია თეორია
- ფრჩხილებში მიწერილი უცხოელი წარმომადგენლები (ზოგჯერ ინიციალებით, ზოგჯერ ფრჩხილების გარეშე, სრულად...), მათი ტექსტები, ლექსებისა თუ გამოცემების სათაურები...
- ქართული კონტექსტი
- ბიოგრაფიები
- ლექსი/ლექსები
- ლექსის შესწავლის ტრადიციული პაკეტი – გაგება-გააზრების სავარჯიშოები

ჩემთვის მნიშვნელოვანია, სიმბოლიზმის სწავლების პრობლემატიკა ვაქციო დაკვირვების ობიექტად, გამოვიყენო ეს დრო იმისთვისაც, რომ საერთო, ზოგადი პრობლემა გამოვკვეთოთ. იქნებ ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე დავფიქრდეთ ან სამომავლოდ დავსახოთ ნაბიჯები.

ქართული ლიტერატურული პროცესი მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ფეხდაფეხ მიჰყვება ევროპულ ლიტერატურულ და კულტურულ, ხელოვნებით პროცესებს, პირდაპირი ბიოგრაფიული და ბედისწერული კავშირებია ევროპასთან და ამ დიდი კულტურული მოვლენების ღირებული შემდგენელია, აქ რაც ხდება.

რა არის ამ მეთოდოლოგიაში ისეთი, რაც შეყოვნებასა და დაფიქრებას საჭიროებს?

ჩემი სამსჯელო საკითხის ფოკუსს რომ არ ავცდე, დავასახელებ ორ ძირითად პრობლემას:

1. ევროპული და მსოფლიო ლიტერატურული კონტექსტი გაკვრით, მხოლოდ ფაქტებით, ცნობების მიწოდებით შემოიფარგლება. ეს ისაა, რასაც ივიწყებენ, ვერ ითავისებენ, რა რჩებათ გარდა მშრალი ფაქტებისა?
2. ქართული კულტურის და ქართული ლიტერატურის გააზრება არ ხერხდება მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. ის ისწავლება, როგორც რაღაც ლოკალური მნიშვნელობის ფაქტი. არადა, ქართული ლიტერატურული პროცესი მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ფეხდაფეხ მიჰყვება ევროპულ ლიტერატურულ და კულტურულ, ხელოვნებით პროცესებს, პირდაპირი ბიოგრაფიული და ბედისწერული კავშირებია ევროპასთან და ამ დიდი კულტურული მოვლენების ღირებული შემდგენელია, აქ რაც ხდება.

რატომაა ლიტერატურის ნაციონალურ ჭრილში გააზრება და ლიტერატურის ისტორიის შესწავლა იმ მეთოდოლოგიით, რომელიც აღიწერა, პრობლემური?

სამ მიზეზს დავასახელებ:

1. ვიწრო თვალსაწიერი – მხოლოდ ნაციონალურ მონოკულტურულ ჭრილში განხილვა ხელს უშლის ფართო თვალსაწიერის განვითარებას. ეს იმას ემსგავსება, გულზე მჯიღის ცემით გამოხატო პატრიოტიზმი, გიყვარდეს მხოლოდ შენი და ვერ კი აცნობიერებდე, რატომაა ღირებული.
2. ვაკლებთ ესთეტიზმითა და პოეტური ოსტატობით ტკბობის საშუალებას. ფრანგი სიმბოლისტების განსხვავებული ხმა, მათი სათქმელი, განსაკუთრებული პოეტური, ხატოვანი, სიმბოლური პოეტიკა, რეალობის გულითადი, გულწრფელი, ღია, გაბედული აღქმა, მათ დანახული სამყარო, თანადროულობა, შემჩნეული და სიტყვიერად გამოხატული სანახაობანი, გრძნობები. როგორია იქ, რა ხდება, რას გრძნობენ, რას განიცდიან. რა აქვთ საერთო ჩვენებთან. რა განასხვავებთ.
3. კრიტიკული აზროვნება, ერუდიცია, სამყაროს მიმართ ინტერესი – ამის გაღვივება და განვითარება შეუძლებელია ფართო თვალსაწიერის გარეშე, ჩარჩოებში მოქცეული პროგრამის ფარგლებში.

ამასთან, ლიტერატურული მიმდინარეობების კვლევა ბევ-

რი საინტერესო შემეცნებითი თავგადასავლის მომტანი შეიძ-ლება იყოს და შემოსაზღვრა, შემოფარგვლა ამ საფიქრალისა, ამ თავგადასავლებისა არ ღირს.

როგორ შეიძლება მიწოდება, ინტერესის გაღვივება, აღძვრა, შემოქმედებითი და კვლევითი უნარების, იმპულსების გააქტი-ურება ამ სტრუქტურული და მეთოდოლოგიური ჩარჩოების მიღმა – მნიშვნელოვანი საკითხია.

რასაკვირველია, ამ მოკლე დროში გადაწყვეტის გზებზე ვერ ვისაუბრებთ. გაგიზიარებთ ერთ მეთოდს, პირადი გამოცდილები-დან მაგალითს, ნიმუშს, როგორ ვაცნობ ლიტერატურულ მიმდი-ნარეობას მოსწავლეებს.

თავდაპირველად აღვნიშნავ, რომ საკუთარი დაკვირვების საფუძველზე დასკვნების გამო-ტანა ნაცვლად წინასწარ მოწო-დებული თეორიის დასწავლისა მეტად ღირებულად მიმაჩნია.

რას ვგულისხმობ:

მოგეხსენებათ, სიმბოლიზმმა პოეზიაში შემოიტანა განსხ-ვავებული თემატიკა, ეპატაჟი, ტემპი, სახეები. ესთეტიკა სი-მახინჯის, ყოველდღიურობის, ურბანული ცხოვრების სცენები, მექანიზაცია-ტექნიკის კულტი, ეროტიზმი, დენდიზმი... ქართვე-ლი სიმბოლისტების ლექსებში ეს ყველაფერი ნიაღვარივით მოედინება (პაოლო იაშვილის „წერილი დედას“ ამ მხრივ მე-ტად საყურადღებო ლექსია).

იმის ნაცვლად, რომ ეს ყველაფე-რი თეორიულად და წინასწარ ვაცნობოთ მოსწავლეებს ან ნაც-ვლად იმისა, რომ სახელმძღვა-ნელოს თეორიული ნაწილიდან ამონარიდები თეზისებად წარ-მოადგინონ, მივცეთ პირდაპირ, ყოველგვარი შემზადების გარე-შე, მაგალითად, პოლ ვერლენის „აი ჩემი შარაგზა“ (მთარგმნელი: ბაჩანა ჩაბრაძე).

კაბარეთა ხმაური,
გარყვნილების მორევი,
გაძარცული ჭადრები ქართა
ნაამბორევი,
ოთხთვალათა ჭრიჭინა ზორბა
რკინის ბორბლები,
ზლაზვნით მოგორავენი,
შლამით დანადორბლები.
მწკრივი დაღლილ მუშათა,
ბნელთა და უსიერთა
მხრჩოლავ ჩიბუხებითურთ
ცხვირწინ პოლიციელთა,
ოღროჩოღრო ქუჩები, სავსე
ნამწვავ-ნაღვერდლით,
ნესტი სახურავთაგან კედლებს
ჩამონაღვენთი,
წვიმის ჩამონაყონი სავსე გუბე
მრავალი,
აი, ჩემი შარაგზა – ტაძრისაკენ
მავალი.

მოსწავლეებს რომანტიზმი და რომანტიკოსების პოეზია უკვე შესწავლილი აქვთ. რომანტიზ-მისთვის დამახასიათებელი პესიმიზმი, ბუნების კულტი, წარსულის განდიდება, რომან-ტიზებული, სევდიანი ხედვა, ზოგადსაკაცობრიო, ღრმა საფიქრალი – ამ ყველაფერზე ნაფიქრი და ნამსჯელია. და უცებ იჭრება ლექსიდან კაბარეთა ხმაური, ჭრიჭინა ზორბა რკინის ბორბლები, მუშათა მწკრივი, ოღროჩოღრო ქუჩები ქალაქისა. ვთხოვოთ დაკვირვება და იმ თე-მების, იმ მოტივების, განწყობის, აღქმისა და ხედვის ამოცნობა, რაც აქ ხვდებათ. ვთხოვოთ, ჩაუკვირდნენ ლექსის თარგ-მანს. ამოთქვან ყველაფერი, რაც აზრად დაებადებათ.

ამის შემდეგ დაუსვან კითხვები (წარმოსახვით) პოეტს – რა აინტე-რესებთ? რაზე მიიღებდნენ მისგან პასუხებს? რა სურთ, იცოდნენ მისი ცხოვრების ან ამ კადრის შესახებ?

ხშირად ვთხოვ ხოლმე მოსწავ-ლეებს ილუსტრირებას – ესეც წარმოსახვით. ვისაც შეუძლია, მართლა დახატოს, ვისაც არა – აღწეროს, რას დახატავდა.

ამგვარად გაცნობილი პოეტი და მისი ერთი ლექსი გარკვეული იმპულსების გამაღვივებელი გახდება. მოსწავლეები სამომავლო კვლევა-ძიების ბილიკებსა და ნა-ბიჯებს თავად მოინიშნავენ. ვიღაც ბიოგრაფიას მოიძიებს, ვიღაც ხელოვნებაში სიმბოლისტების შემოჭრას, მათ სახასიათო ნიშან-თვისებებს ამოიკითხავს წყაროებ-ში და გაუზიარებს სხვებს.

ბოლოს და ბოლოს, ევროპუ-ლი კონტექსტის გარეშე იმ შემოქმედის შესწავლა, ვინც ასე ხმამაღლა განაცხადა – „ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბო-როტ ყვავილებს“ – ვერ იქნება სამართლიანი მიდგომა.

პაოლო იაშვილიც მოდერნიზ-მისთვის სახასიათო სიხისტით, პირდაპირობით, თვითირო-ნიით, ალალად და ხმამაღლა ამბობს: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. ადიდე, ხალხო, ეს ჩვენი მრისხანე ქალაქი, სადაც გატაცებით ჯამბაზობდნენ ჩვე-ნი ლოთი ძმები – ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი“.

ჰოდა, ამ ძმობისა და ერთო-ბის, ამ „ქართულ-ევროპული ჯამბაზობის“ განცალკევებით სწავლება ვერ ივარგებს.

თინათინ ზარდიაშვილი

მე შენი ჩრდილი ვარ – რესურსი სსსმ მოსწავლეებისთვის

მასწავლებლებისთვის ძალიან დიდი გამოწვევაა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა, მით უმეტეს, თუ კლასი მრავალრიცხოვანია. მეთერთმეტე კლასში ფიზიკაში ისწავლება ოპტიკა, სინათლის კანონები. ერთ-ერთი ქვესაკითხია სინათლის გავრცელება და ჩრდილის წარმოქმნა.

მასწავლებლებისთვის ძალიან დიდი გამოწვევაა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა, მით უმეტეს, თუ კლასი მრავალრიცხოვანია. მეთერთმეტე კლასში ფიზიკაში ისწავლება ოპტიკა, სინათლის კანონები. ერთ-ერთი ქვესაკითხია სინათლის გავრცელება და ჩრდილის წარმოქმნა. გთავაზობთ ადაპტირებულ ტექსტს და ფოტომასალას იმ სსსმ მოსწავლისთვის, რომელსაც გონებრივი განვითარების შეფერხება აქვს.

„მე ყოველთვის შენთან ერთად ვარ, იქ დავდივარ, სადაც შენ.

თუ სკოლაში მიდიხარ, მეც სკოლაში მივდივარ. ზოგჯერ შენ წინ ვარ, ზოგჯერ – შენ უკან.

არსებობს ისეთი დრო, როცა შენთან არ ვარ? თუ ღრუბლებია ცაში, მე არ ვარ შენთან,

თუ ბნელ ოთახში ხარ, არც იქ ვარ, მიხვდი, რა ვარ? ზოგჯერ ძალიან მაღალი ვარ,

ზოგჯერ – ძალიან დაბალი. რაზეა ეს დამოკიდებული?

თუ დილაა და გარეთ ხარ, მე მაღალი ვარ; შუადღისას ძალიან მაღალი ვარ,

საღამოს მოახლოებისას კი ვპატარავდები.

მე იქ დავდივარ, სადაც შენ. შენ მოძრაობ, მეც ვმოძრაობ.

მე ვჩნდები მიწაზე, მე ვჩნდები კედელზე. იცი, რა ვარ? მე შენი ჩრდილი ვარ“.

ეს ტექსტი მშობლის და სპეციალური მასწავლებლის ჩართულობით განვიხილეთ. მოსწავლემ აღწერა, რას ხედავს ფოტოზე.

ჩრდილი მაშინ ჩნდება, როცა სხეული სინათლეს წინ ეღობება.

ზოგიერთ საგანს შეუძლია სინათლე გაატაროს, მაგალითად, ფანჯრის მინას. მას არ აქვს ჩრდილი.

სინათლეს შეუძლია გავიდეს ზოგიერთ სხეულში. სინათლე გადის მინაში.

ჩრდილი კი მაშინ წარმოიქმნება, როცა ვერ გადის სხეულში *(ხელებს დაიკავებს, როგორც ფოტოზეა წარმოდგენილი და მიხვდება, რომ ჩრდილი ზუსტად ხელის ფორმისაა).*

შენ მოძრაობ და ჩრდილიც – შენთან ერთად, როგორ ახერხებს ჩრდილი მოძრაობას?

სად ჩნდება ჩრდილი, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ საიდან მოდის სინათლე.

თუ სინათლე მარცხნიდან მოდის, ჩრდილი შენგან მარჯვნივაა, თუ სინათლე უკანიდან მოდის, ჩრდილი შენ წინაა.

სინათლე სწორ ხაზზე მოგზაურობს. ასე რომ არ იყოს, შემოგვივლიდა. მისი სწორ ხაზზე მოძრაობის გამო ჩვენი სხეულის ფორმის ჩრდილი მიიღება.

სინათლის წყაროს მოძრაობის გამო მოძრაობს ჩრდილიც. მზე სინათლის წყაროა, მზის ჩასვლისას მისი ჩრდილი მოკლეა, ამოსვლისას – გრძელი.

სადაა ჩრდილი, თუ მზე თავზე დაგნათის? ის შენ ქვეშაა. ჩრდილი ყოველთვის სინათლის წყაროს საპირისპიროდაა.

სინათლე მჭირდება, სამყარო რომ დავინახო.

საიდან მოდის სინათლე?

სინათლის მრავალი წყარო არსებობს. შემიძლია ისეთი სხეულების დანახვა, რომლებიც ანათებენ. მანათობელი ცხოველებიც არსებობენ. დედამიწაზე სინათლე მზიდან მოდის. თუ ოთახში მიმოიხედავ, ისეთ სხეულებს აღმოაჩენ, რომლებიც ანათებენ *(აქ მოსწავლე დაასახელებს იმ მანათობელ სხეულებს, რომლებიც აქვს სახლში, მაგალითად, ნათურა, ტელევიზორი, კომპიუტერის ეკრანი და სხვა).*

როგორ ვხედავთ იმ სხეულებს, რომლებიც თვითონ არ ანათებენ? სინათლე სხეულიდან უკან ბრუნდება. სინათლის უკან დაბრუნებას არეკვლა ჰქვია.

რატომ არის სხეულები სხვადასხვა ფერის? სინათლე თეთრია, მაგრამ სხვადასხვა ფერებისგან შედგება. სხეულს იმ ფერად ვხედავთ, რომელი ფერის სინათლესაც ის აირეკლავს.

რა მოსდის იმ ფერის სინათლეს, რომელსაც არ აირეკლავს? ის შთაინთქმება.

ზოგ სხეულში სინათლე გადის. მაგალითად, მინაში.

დასკვნა: ვხედავ სხეულებს, რომლებიც ანათებენ.

ვხედავ სხეულებს, რომლებიც ირეკლავენ სინათლეს. არეკლილი სხივები თვალში შედის.

სინათლის გარეშე ვერ დავინახავ სამყაროს.

მძღოლი ჩერდება შუქნიშანზე, რადგან წითელია და მწვანე სინათლის ანთებას ელოდება. ხან მარცხნივ იყურება, ხან – მარჯვნივ, სხვა მძღოლი კი უსიგნალებს.

ბგერა სიგნალია, მანქანის მძღოლს მოძრაობა უნდა და წინა მანქანა რომ არ იძვრის, ამიტომ უგზავნის ბგერით სიგნალებს. შუქნიშანზე მწვანეა, აჭერს ფეხს სატერფულს და მანქანაც მიქრის.

მძღოლმა მარცხნივ მოხვევა გადაწყვიტა, ამიტომ მარცხენა ციმციმა ჩართო, გადავიდა მეორე ზოლში და გათიშა ციმციმა. ამით სხვა მძღოლს აცნობს საკუთარი გეგმის შესახებ.



როგორ იგებს მძღოლი, რომ შუქნიშანთან გაჩერდეს? ამას სინათლის ფერით ხვდება. წითელი „ეუბნება“, გაჩერდიო, მწვანე კი „ეუბნება“, წადიო. ყვითელი აფრთხილებს.

შუქნიშნის ფერი იძლევა ინფორმაციას, ის გვესაუბრება სიტყვების გარეშე.

მძღოლები ხმოვანი სიგნალით ეკონტაქტებიან ერთმანეთს. ამ გზით მძღოლებიც ელაპარაკებიან ერთმანეთს.

ავტომობილიც ესაუბრება მძღოლსა და მგზავრებს.

- ღვედი შეიკარი;
- საბურავი დაშვებულია;
- შეამოწმე ზეთი.

ყველა ეს ნიშანი გამაფრთხილებელია.

წყარო: Ck12.org

ნესტან მიქაძე

რას ნიშნავს კარგი გაკვეთილი?

„სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა აქვს არა იმ პროდუქტს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას“.

დიმიტრი უზნაძე

სასწავლო პროცესი მოიცავს მოკლევადიანი, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელი საზღვრავს კონკრეტულ მიზანს – რა ცოდნის მიღება უნდა მოხერხდეს ამ გაკვეთილზე.

რას ნიშნავს კარგი გაკვეთილი? ამ კითხვაზე ნებისმიერი ადამიანი, ვისაც განათლების სისტემასთან შეხება არ აქვს, მოკლედ გიპასუხებთ: მასწავლებელს გაკვეთილზე უნდა ჰქონდეს დისციპლინა და ასწავლოს კარგად.

რა კომპეტენციების ფლობა სჭირდება პედაგოგს იმისათვის, რომ მართოს კლასი და საგანი სიღრმისეულად ასწავლოს?

ახალი ესგ-ს თანახმად, სწავლა-სწავლების ძირითადი აქცენტები გულისხმობს შემდეგს:

- საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- წიგნიერების, რაოდენობრივი წიგნიერების, ეკოლოგიური წიგნიერების, მედიაწიგნიერების, ციფრული წიგნიერების, მრავალენობრივი კომპეტენციის, სემიოტიკური კომპეტენციის, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის, სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარების (სწავლის სწავლა) განვითარების ხელშეწყობა;
- საგანთა სწავლა-სწავლების საფუძველზე მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირება, მოსწავლის ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენა;
- საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;
- მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება.

ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებია, მოსწავლეს განუვითაროს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პრობლემების გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ეთიკური ნორმების დაცვა, მეწარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა, კვლევა, სწავლის სწავლა და დამოუკიდებლად საქმიანობა, დროში და სივრცეში ორიენტირება, სწავლის პროცესის მონიტორინგი, პასუხისმგებლობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, წიგნიერება, ციფრული მოქალაქეობა.

ფორმალური განათლების ფარგლებში მუშაობა ძირითადად მოიცავს საგაკვეთილო პროცესს. მნიშვნელოვანწილად, სწორედ საგაკვეთილო პროცესში ხერხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების მიღწევა.

ცნება **ცოდნა** იყოფა სამ კატეგორიად – **დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული.** საგნის სწავლება მოიცავს სამივეს.

წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესი გულისხმობს შემ-

დეგს – მოსწავლეებმა შეძლონ უპასუხონ კითხვებს:

რა ვიცი? როგორ შევასრულო? როდის, რატომ, რა შემთხვევაში გამოვიყენო?

- **დეკლარაციული ცოდნა** – სტატიკური ხასიათისაა და გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების, კანონებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნას. პასუხობს შეკითხვას: **რა ვიცი?**
- **პროცედურული ცოდნა** – დინამიკური ხასიათისაა, აღიწერება, როგორც უნარი და გულისხმობს ქმედებათა თანამიმდევრობის ცოდნას და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას ოპერაციების, პროცედურების დონეზე. პასუხობს შეკითხვას: **როგორ გავაკეთო? როგორ შევასრულო?**
- **პირობისეული ცოდნა** – დინამიკური ხასიათისაა და გულისხმობს დეკლარაციული და პროცედურული ცოდნის გამოყენების პირობების გააზრებას. საგანთა, მოვლენათა, სიტუაციათა არსებითი ასპექტების გააზრების, კატეგორიზაციის უნარს, რომელიც ცოდნის სხვადასხვა კონტექსტში გადატანის (ტრანსფერის) შესაძლებლობას იძლევა. პასუხობს შეკითხვებს: **როდის, რა შემთხვევაში? რატომ?**

სასწავლო პროცესი მოიცავს მოკლევადიანი, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელი საზღვრავს კონკრეტულ მიზანს – რა ცოდნის მიღება უნდა მოხერხდეს ამ გაკვეთილზე. გამოყენებული მეთოდები და სტრატეგიები გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, კრიტიკულ, ანალიტიკურ აზროვნებას. თემატიკის გათვალისწინებით შესაძლებელია, მიზანი მოიცავდეს ცოდნის ერთ, ორ ან სამივე კატეგორიას.

კარგად დაგეგმილი გაკვეთილი გულისხმობს კონკრეტული თემის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. მთლიანობაში თვითრეფლექსიისას მასწავლებელს უნდა შეეძლოს პასუხის გაცემა შემდეგ კითხვებზე:

- რამდენად შეესაბამება გაკვეთილის თემა და მიზანი ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და საგნობრივ სტანდარტს?
- რა სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებზე გადის განხილული საკითხი?
- რამდენად მიზანმიმართულად აყალიბებს გაკვეთილის მოკლევადიან, შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს?
- რა მეთოდებსა და სტრატეგიებს იყენებს სხვადასხვა აქტივობების დასაგეგმად?
- რა ხარისხით ახერხებს დიფერენცირებულ მიდგომებს მოსწავლეთა ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისად?
- როგორ ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებს?
- რა რესურსებს იყენებს და რა ინტენსივობით ასაბუთებს შინაარსობრივი რესურსების მიზანშეწონილობას სასწავლო მიზანთან მიმართებით?
- შეფასების რა კრიტერიუმებს იყენებს?
- რა საშუალებით ახდენს თვითშეფასებას და როგორ ზრუნავს სამომავლოდ მუშაობის გასაუმჯობესებლად?
- გახადა თუ არა ეფექტური სწავლა-სწავლების პროცესი?
- მოზარდებისთვის რა უნარების განვითარების ხელშეწყობა მოხდა გრძელვადიან პერსპექტივაში და სხვა.

სწავლა-სწავლების პროცესისთვის აუცილებელია ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი **გარემო.** კარგი მასწავლებელი ხასიათდება პატივისცემით გამსჭვალული საუბრით, არის აქტიური მსმენელი, შეუძლია განსხვავებული აზრის მიღება და პატივისცემა. ყველა მოსწავლეს აღიქვამს, როგორც ინდივიდს. კარგად იცნობს ყოველი აღსაზრდელის პიროვნებას, მათ შესაძლებლობებს. მოზარდებთან ურთიერთობას აგებს თითოეულის ინდივიდუალობის, კულტურის, სქესის თუ საჭიროებების გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესში უპირველესია **კლასის მართვა.** მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს ქცევის წესებს და მომავალში აკონტროლებს მათ შესრულებას. სწორედ პედაგოგის ვალდებულებაა წესების დაცვის პასუხისმგებლობის დელეგირება. ქცევის წესების გათავისების შემდეგ მასწავლებელი და მოსწავლეები საგაკვეთილო აქტივობების ცვლილებისას

ოცდამეერთე საუკუნის მასწავლებელი მხოლოდ დაფითა და ცარცით მოსწავლის დაინტერესებას ვერ მოახერხებს. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში მკაფიოდ ჩანს, რომ მასწავლებლის ვალდებულებაა თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში „ციფრული მოქალაქეობის“ უნარის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება.

დროს აღარ დაკარგავენ და მას ეფექტურად გამოიყენებენ.

წარმატებული გაკვეთილის ჩატარება გულისხმობს მრავალფეროვანი **სასწავლო რესურსების** ეფექტიან, მიზნობრივ გამოყენებას. ასეთ გაკვეთილზე რესურსი ყველა მოზარდისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია, ხოლო მისი გამოყენება – უსაფრთხო. სასწავლო რესურსის მომზადება ხდება ყველა მოსწავლის, მათ შორის, სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. სასწავლო რესურსის შერჩევისას მასწავლებელი განსაზღვრავს, როგორ აამაღლებს გამოყენებული რესურსი მოზარდის მოტივაციას, იქნება თუ არა ეფექტური მისი გამოყენება და რამდენად დაეხმარება ის გაკვეთილის მიზნის მიღწევაში. ზოგადად, სასურველია, ფიზიკური გარემოს მოწყობასა და რესურსის შექმნაში მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეებმაც.

უმნიშვნელოვანესია **მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციის დონე.** რაც შეეხება თავად გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესს, უნდა იყოს შინაარსობრივად გამართული, მიზანი კი – ცხადი და ადეკვატური. კარგი მასწავლებელი კონცეფციებს, ცნებებს, წესებსა და ა.შ. განმარტავს მკაფიოდ, ზუსტად და ოპერირებს დარგობრივი ენით. საგნობრივ შინაარსს გადასცემს უშეცდომოდ. მოსწავლეებს ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით აცნობს თემატიკის შესაბამის უახლეს და დადასტურებულ ინფორმაციას; გათავისებული აქვს შიდასაგნობრივი და საგანთაშორისი კავშირების დამყარება.

ნაყოფიერი გაკვეთილი გულისხმობს **მიმართებით კავშირებს საგაკვეთილო მიზანსა და გრძელვადიან მიზნებს შორის.** ხარისხიანი სასწავლო პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმძღვანელოში არსებული მასალით, შედეგის მომცემი გაკვეთილის მასალა გამდიდრებულია საინტერესო ინფორმაციით. მოსწავლეებს აქვთ საშუალება, თავიანთი წვლილი შეიტანონ შინაარსის განმარტებასა და დაზუსტებაში; გაკვეთილი მიმდინარეობს კითხვა-პასუხისა და დისკუსიის რეჟიმში; მოზარდი არის აქტიური მსმენელი. პედაგოგის მიერ გადაცემული ინფორმაცია კი კარგადაა ორგანიზებული და ადვილად აღსაქმელია. მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე როგორც საგნის ფარგლებში, ასევე ტერმინთა და სიტყვათა ზოგადი გამოყენების თვალსაზრისით.

გაკვეთილის ჩატარებისას მეტად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი პედაგოგის **საუბრის ტემპი, ინტონაცია, კომუნიკაციის არავერბალური საშუალებების** ეფექტური და ასევე, **სამეტყველო ენის კორექტული** გამოყენება.

წარმატებული მასწავლებლის აღსაზრდელებისთვის საკმარისია მოკლე მითითებაც კი. სამუშაო ინსტრუქციები არის მკაფიო და მოიცავს მოსწავლეთა სავარაუდო შეცდომების პრევენციას. სასწავლო აქტივობების ინსტრუქციების შემუშავების დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული საჭიროებები. პედაგოგი მიმიკასა და ჟესტიკულაციას იყენებს სიტუაციის შესაბამისად. მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის დამყარებულია ეფექტური კომუნიკაცია. მოზარდისთვის გასაგებია მასწავლებლის მზერა, გახანგრძლივებული პაუზა და მინიშნებები.

მასწავლებელი განსხვავებული საზროვნო დონეების აქტივაციის მიზნით უნდა იყენებდეს სწავლების შესაბამის სტრატეგიებს, სხვადასხვა ფორმის ღია და დახურული ტიპის შეკითხვებს (დამაზუსტებელს, მიმანიშნებელს, შემაჯამებელს და ა. შ.). კითხვის ტიპისა და სირთულის მიხედვით, პასუხის მოსაფიქრებლად დროს განსაზღვრავს სწორად. გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიები მიზნის შესაბამისია – წინასწარ არის მომზადებული და კარგად დაგეგმილი.

მასწავლებლის მიერ გაკვეთილის მსვლელობისას გამოყენებული და თანმიმდევრულად დასმული მრავალფეროვანი კითხვები (იწყებს მარტივით და თანდათან ართულებს) უნდა იწვევდეს მოსწავლეების დაფიქრებას, საკითხის გააზრებასა და მსჯელობას. მაღალი საზროვნო დონის შეკითხვების გამოყენებით პედაგოგი ხელს უწყობს მოზარდის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. ხშირად კითხვის ავტორები თავად მოზარდები არიან. ისინი მსჯელობენ არგუმენტირებულად, აჯამებენ, გამოაქვთ დასკვნები. მასწავლებელი ფასილიტატორის როლშია და მთელ კლასს წარმატებით

რთავს სწავლა-სწავლების პროცესში.



შედეგზე ორიენტირებული პედაგოგი ზრუნავს **მოზარდთა მოტივაციასა და ჩართულობაზე,** გაკვეთილი ხალისიანია, გამოყენებულია მრავალფეროვანი მამოტივირებელი აქტივობები. მოსწავლეები (მათ შორის სსსმ მოსწავლეები) აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროცესში, მაშინაც, როდესაც დავალებები შეესაბამება მაღალ სააზროვნო დონეს. გაკვეთილის მიმდინარეობა დინამიკურია, ტემპი ოპტიმალური – არც ნელი და არც სწრაფი. მოსწავლეები ამჟღავნებენ ინტერესს. მასწავლებელი ისე წარმართავს პროცესს, რომ გაკვეთილი თავიდან ბოლომდე ხალისიანად და ინტერაქციულად მიმდინარეობს; პედაგოგის განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე თანაბრად ჩართულია, ფაქტობრივად, ყველა მოსწავლე. სწავლების დაწყებით საფეხურზე უმაღლეს მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ამგვარი შედეგების გამოვლენა.

გაკვეთილზე **მოსწავლეთა მიღწევების შემოწმება** ეფექტურია სხვადასხვა მეთოდით: ზეპირი ან წერითი გამოკითხვა, პრეზენტაცია, კითხვების დასმა და ა.შ. მასწავლებელი მონიტორინგის საფუძველზე მოსწავლეებს რეგულარულად აწვდის უკუკავშირს, ეფექტურად იყენებს შექებასა და წახალისებას; ქმნის სხვადასხვა სახის შეფასების რუბრიკებს, მათ შორის ჰოლისტურს, ანალიტიკურს; მოსწავლეები პედაგოგის მიერ გაცნობილ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით მონაწილეობენ შეფასების პროცესში (თვითშეფასება, ერთმანეთის შეფასება); სწავლის პროცესის მონიტორინგის საფუძველზე მოზარდები იღებენ სხვადასხვა სახის უკუკავშირს, როგორც მასწავლებლისაგან, ასევე თანაკლასელებისაგან. მიღებული უკუკავშირი კი ემსახურება დასწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი მუდმივად იყოს სიახლის ძიებაში, კარგად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, ერთგვარი მიმოხილვა გაუკეთოს მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, გამოყენებულ მეთოდებსა და მიდგომებს, გააანალიზოს პროფესიული გამოცდილება და ობიექტურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა, შესაძლებლობები და უნარები.

პერიოდულად საჭიროა და სასურველი **სამოდელო გაკვეთილების ჩატარება. სამოდელო გაკვეთილის ტიპებია – ინოვაციური, ინტეგრირებული, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილები.**

საგანთაშორის ინტეგრირების შემთხვევაში გასათვალისწინებელია ინტეგრირებული საგნების ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნები. ასეთი გაკვეთილი ორიენტირებულია ამ მიზნებისა და შესაბამისი შედეგების სრულად მიღწევაზე.

თუ გაკვეთილი პრობლემაზე ორიენტირებულია, დასმული პრობლემა აქტუალური უნდა იყოს მოსწავლეებისთვის, მათი ასაკობრივი თავისებურებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით, რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას. ამ შემთხვევაში მოსწავლეები გამოავლენენ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიების უნარს; გაკვეთილი სრულად შეუწყობს ხელს შედეგის მიღწევას.

ინოვაციურ გაკვეთილზე გასათვალისწინებელია, რამდენად შემოქმედებითად და საინტერესოდ არის შემოტანილი თემატური და მეთოდური სიახლეები, მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის მასალის თანმიმდევრულად და საინტერესოდ მიწოდების ხარისხი, რაც შედეგის სრულად მიღწევის საშუალებას იძლევა.

გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილისთვის დაგეგმილი აქტივობები მრავალფეროვანია და ხელს უწყობს განზრახული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში; ასეთი გაკვეთილი სრულყოფილად განაპირობებს წარმატებას და დასახული მიზნების მიღწევას.

პედაგოგმა თემატური ან მეთოდური სიახლე გაკვეთილზე შემოქმედებითად და საინტერესოდ უნდა შეიტანოს, რაც შედეგის სრულად მიღწევის საშუალებას იძლევა.

სამოდელო ტიპის გაკვეთილზე სასურველია კოლეგების დასწრება. გაკვეთილი ეხმარება კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში, ბადებს საკუთარ პრაქტიკაზე მორგების, გამოყენების დიდ სურვილს, უბიძგებს მასწავლებლებს ახალი იდეების პრაქტიკაში დანერგვისაკენ. ხელს უწყობს კოლეგებს შორის თანამშრომლობითი კულტურის ამაღლებას.

მასწავლებელი ჩატარებული გაკვეთილის გაანალიზებისას პასუხობს შემდეგ შეკითხვებს:

- იქნა თუ არა მიღწეული მიზანი?
- რამდენად შეესაბამება გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობების ეფექტურობა დასახული მიზნის მიღწევას?
- გაკვეთილის გეგმის მოდიფიცირების შემთხვევაში, აანალიზებს განხორციელებული ცვლილებების აუცილებლობას; გამოვლენილ ხარვეზებს, დაშვებულ შეცდომებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები;
- სახავს საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების გზებს;
- სასწავლო პროცესის კონკრეტულად რა მხარეების განვითარებას და პრობლემების დაძლევას შეუწყობს ხელს ჩატარებული გაკვეთილი?
- რომელი აქტივობები წარიმართა გეგმის შესაბამისად, რომელი ვერ განხორციელდა და რატომ?
- რომელ კომპონენტში იყო გაკვეთილი ყველაზე წარმატებული და რატომ?
- რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ?
- რა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა მსგავსი ტიპის გაკვეთილის მომზადებისას?

ოცდამეერთე საუკუნის მასწავლებელი მხოლოდ დაფითა და ცარცით მოსწავლის დაინტერესებას ვერ მოახერხებს. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში მკაფიოდ ჩანს, რომ მასწავლებლის ვალდებულებაა თანამედროვე ტექნოლოგიურ სამყაროში „ციფრული მოქალაქეობის“ უნარის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელიც ყოველდღიურად შეძლებს ტექნოლოგიური და ციფრული მიღწევების ეფექტიან გამოყენებას საკუთარ ინტელექტუალურ, ეკონომიკურ და შემოქმედებით საქმიანობაში. „ციფრული მოქალაქეობის“ უნარის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას სჭირდება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკლასო ოთახი და პედაგოგი, რომელიც ფლობს ამ ტექნოლოგიების გამოყენების უნარებს. ამას კი სჭირდება მასწავლებლის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების მიმართულებით თვითგანვითარებაზე მუდმივი ზრუნვა.

ამ სტატიაში, მოკლედ, თეზისების სახით ჩამოვაყალიბე ის ძირითადი აქცენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მასწავლებელს, სწორად დაგეგმოს, განახორციელოს და შეაფასოს მის მიერ ჩატარებული გაკვეთილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
3. შეფასების ინსტრუმენტები, 2018 წ.

გაკვეთილის ბოლოს დარჩენილი წუთები – დამატებითი შესაძლებლობა

დალი ნემსაძე

ლიზი ლაშქარავა

7 სწრაფი საკლასო აქტივობა

სწრაფი, მიზანმიმართული აქტივობები უზრუნველყოფს კლასში დროის ნაყოფიერად გამოყენებას. ასეთი აქტივობები არა მხოლოდ გვინარჩუნებს მოსწავლეთა ჩართულობას, არამედ ხელს უწყობს ისეთი კრიტიკული უნარების განვითარებას, როგორიცაა კრეატიულობა, გუნდური მუშაობა და ფოკუსირება.

გაკვეთილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, მოსწავლეებს გამოვკითხეთ გაკვეთილი და ახალი მასალაც ავუხსენით, დისკუსიაც გავმართეთ, საათს დავხედეთ – კიდევ გვაქვს დრო. მასწავლებლები მსგავს სიტუაციებში, უმეტესწილად, იმპროვიზაციის იმედად არიან, თუმცა კარგი იქნება, გარკვეული წარმოდგენა გვქონდეს დამატებით, სწრაფ და სახალისო აქტივობებზე. ყველა მასწავლებელი აღმოჩენილა მსგავს სიტუაციაში, ამ დროს უმჯობესია, მოსწავლეებს მისცეთ განტვირთვის რამდენიმე წუთი. ამისთვის აუცილებელია, გვქონდეს სახალისო, საინტერესო, სწრაფი აქტივობების ნაკრები, რომელიც ირიბად მაინც შეუწყობს ხელს ნასწავლი მასალის განმტკიცებას. წარმოგიდგენთ ადვილად განსახორციელებელ შვიდ აქტივობას, რომელსაც შეუძლია დარჩენილი წუთები მოსწავლეების განვითარებისთვის ღირებულ შესაძლებლობად აქციოს.

1. კრეატიულობის ხელშეწყობა ამბის თხრობით

სთხოვეთ მოსწავლეებს, შექმნან მოთხრობა, რომელიც იწყება სიტყვით „ერთხელ“ და მოიცავს იმ ცნებების ან სიტყვების ჩამონათვალს, რომლებიც შეარჩიეთ საკლასო სასწავლო მასალიდან. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ,,სიუჟეტური კამათლები''. მოსწავლეებმა კამათელზე წარმოდგენილი გამოსახულებები უნდა დაასახელონ, დააკავშირონ ერთმანეთთან და შექმნან ისტორია. უმცროს მოსწავლეებთან ეს აქტივობა შეგიძლიათ ვერბალური კომუნიკაციის საშუალებით განახორციელოთ, უფროს მოსწავლეებთან კი წერის აქტივობად აქციოთ. მასწავლებელს შეუძლია მსგავსი აქტივობები განმავითარებელი შეფასებისთვის გამოიყენოს.

2. ჯგუფური მუშაობა

ჯგუფური, სწრაფი აქტივობები, როგორიცაა თანამშრომლობითი თამაში ან თანატოლთა დისკუსიები, მასწავლებელს საშუალებას აძლევს, დამატებითი დრო სოციალური სწავლის შესაძლებლობად აქციოს. აქტივობა „იფიქრე-დაწყვილდი-გააზიარე“ საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, შეამოწმონ წინარე ცოდნა, გაცვალონ იდეები და განივითარონ თანაგრძნობის, მოსმენისა და კომუნიკაციის უნარები.

3. იმოძრავეთ!

ზოგჯერ, გაკვეთილზე არსებული ხარვეზის შესავსებად, საუკეთესო გზაა, მოსწავლეებს სწრაფი, შემეცნებითი ფიზიკური აქტივობა შესთავაზოთ. ასეთი აქტივობაა ,,საიმონი ამბობს'', რომელიც მოსწავლეებს განტვირთვასა და ენერგიის აღდგენაში ეხმარება. მსგავსი აქტივობა მოსწავლეებს სწავლის მოტივაციას უმაღლებს.

4. შექმენით დროის კაფსულა (სემესტრის დასაწყისში)

სთხოვეთ მოსწავლეებს, ერთად იმუშაონ დროის კაფსულის შესაქმნელად, რომელიც მათ ამჟამინდელ ინტერესებს, მიზნებსა და მოგონებებს შეინახავს. მათ შეუძლიათ გამოიყენონ პატარა ნივთები ან დაწერონ წერილები მე-ს კაფსულში შესატანად. დალუქეთ კაფსულა და დანიშნეთ მისი გახსნის თარიღი, მაგალითად, სასწავლო წლის დასრულების

საგაკვეთილო პროცესი საშუალებას გვაძლევს, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა უფრო კარგად გაიცნონ ერთმანეთი და დარჩენილი წუთები პროდუქტიულად გამოიყენონ.

ან რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ისინი უფრო მაღალ კლასში გადავლენ. ეს არის მნიშვნელოვანი გზა მოსწავლეებისთვის, დაფიქრდნენ თავიანთ გამოცდილებასა და მომავალზე.

5. გავიცნოთ ერთმანეთი

საგაკვეთილო პროცესი საშუალებას იძლევა, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა უფრო კარგად გაიცნონ ერთმანეთი და დარჩენილი წუთები პროდუქტიულად გამოიყენონ. ასეთია ერთი ძალიან სახალისო და „სულელური თამაში". თქვენ უბრალოდ სვამთ კითხვებს, როგორიცაა: გირჩევნიათ გიგანტურ კურდღლად გადაიქცეთ თუ მინიატიურულ ჟირაფად? ან გირჩევნიათ დღეში 75-ჯერ აცემინოთ, თუ სადაც კი წახვალთ, ყველგან მოგიწიოთ საზაფხულო ფლოსტების ტარება?

6. პრაქტიკული აქტივობები

საკლასო კულინარიული წიგნი

მოსწავლეებისთვის ძალიან საინტერესოა აქტივობა, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულები და შესაძლებლობა აქვთ, თვითონ შექმნან რაიმე ხელშესახები. საინტერესო აქტივობაა „საკლასო კულინარიული წიგნი". აქტივობა

წერის უნარების გასაუმჯობესებლად გამოგადგებათ. სთხოვეთ მოსწავლეებს, საყვარელი კერძის რეცეპტი დაწერონ. მათ შეუძლიათ კერძების ილუსტრაციებიც შექმნან და „დეგუსტაციისთვის" მოიტანონ საკლასო ოთახში. საბოლოოდ, შესაძლებელია რეცეპტების გაერთიანება და ერთ წიგნად აკინძვა.

იდეები სასკოლო გაზეთის შესაქმნელად

მოსწავლეები ქმნიან საკლასო გაზეთს. ისინი ინაწილებენ როლებს, არიან რედაქტორები, ილუსტრატორები, რეპორტიორები და სხვა. თემატურად გაზეთი შეიძლება მრავალფეროვანი იყოს, ეხებოდეს აქტუალურ საკითხებს, მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვან თემებს. მოსწავლეებს შეუძლიათ, შექმნან კომიქსებიც. აქტივობის დასასრულს ისინი სხვა კლასის მოსწავლეებს დაურიგებენ გაზეთის ასლებს ან გამოფენენ მათ განცხადებების დაფაზე.

სწრაფი, მიზანმიმართული აქტივობები უზრუნველყოფს კლასში დროის ნაყოფიერად გამოყენებას. ასეთი აქტივობები არა მხოლოდ გვინარჩუნებს მოსწავლეთა ჩართულობას, არამედ ხელს უწყობს ისეთი კრიტიკული უნარების განვითარებას, როგორიცაა კრეატიულობა, გუნდური მუშაობა და ფოკუსირება. ასეთი სწრაფი დამხმარე საშუალებები შესაძლებლობაა, მასწავლებელმა მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენოს საგაკვეთილო დრო.

წყაროები:

1. https://www.storycubes.com/en/
2. https://www.readingrockets.org/classroom/classroom-strategies/think-pair-share
3. https://youtu.be/QRVTPFfOwcM?feature=shared
4. https://www.wikihow.com/Create-a-Time-Capsule
5. https://conversationstarters world. com/would-you-rather-questions/would-you-rather-questions-for-kid/

ქეთევან ოსიაშვილი

როგორ ვასწავლოთ ბავშვს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება

ვფიქრობ, ნებისმიერი ჩვენგანი ერთხელ მაინც გამხდარა მოწმე, როგორ წუხს მშობელი იმის გამო, რომ მის საკმაოდ წამოზრდილ შვილს უჭირს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, დამოუკიდებლად მოქმედება. რა გასაკვირია – გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი ხომ წარმატებული და რეალიზებული პიროვნების აუცილებელ თვისებად მოიაზრება.

როგორ ვასწავლოთ ბავშვს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და რა ასაკიდან დავიწყოთ ამაზე მუშაობა?

გთავაზობთ რეკომენდაციებს:

- უპირველეს ყოვლისა, გავითვალისწინოთ, რომ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებისა და დამოუკიდებლად მოქმედების უნარი თავისთავად არ აღმოცენდება. მას ისევე სჭირდება სწავლება, როგორც სიარულს, ლაპარაკს, კითხვას... უმჯობესია, ადრეული ასაკიდანვე ვასწავლოთ ბავშვს დამოუკიდებლად მოქმედება, რადგან დროთა განმავლობაში სწავლება უფრო და უფრო გართულდება.

გარკვეულ საზღვრებში დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება პატარას სამი წლიდან უნდა მივცეთ. სწორედ ამ ასაკში იწყებს ბავშვი მეტყველების დროს ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორიცაა: „მე თვითონ!“, „არ მინდა!“ – და ამით ერთგვარად საკუთარი პიროვნების დემონსტრირებას ცდილობს. ეს ნუ შეგვაშინებს. აღვიჭურვოთ მოთმინებით. ნუ გაგვაღიზიანებს გამოცდილების ნაკლებობის გამო ბავშვის ნელი მოქმედება, ამის გამო ნუ ვეჩხუბებით და მის დაწყებულ საქმეს ჩვენ ნუ დავასრულებთ, თორემ ბავშვი დროთა განმავლობაში საერთოდ დაკარგავს გადაწყვეტილების მიღებისა და დამოუკიდებლად მოქმედების სურვილს.

- მივცეთ ბავშვს არჩევანის თავისუფლება, თუმცა გარკვეული შეზღუდვები დავუწესოთ. ნუ ვეტყვით: „აკეთე, რაც გინდა!“ – ამ სიტყვებს ბავშვი უფროსის გულგრილობის გამოხატვად აღიქვამს, თუმცა არც ის იქნება მართებული, ვეჩხუბოთ და ძალით ჩავაცვათ ის, რაც ჩვენ შევურჩიეთ, თუ თავად წინააღმდეგია. ნაცვლად ამისა, შეიძლება შევთავაზოთ სამი-ოთხი ჩასაცმელი და ვკითხოთ, მათგან რომელი ურჩევნია. აღზრდის დემოკრატიული სტილი მრავალ პრობლემას აგვაცილებს თავიდან. ნაცვლად იმისა, რომ ავტორიტარულად ვმართოთ ბავშვის ცხოვრება, მკაცრად მოვთხოვოთ, აკეთოს მხოლოდ ის, რაც ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ, – ვესაუბროთ და გავითვალისწინოთ

მივცეთ ბავშვს შეცდომის დაშვების „უფლება“. ნუ გვექნება მოლოდინი, რომ მოზარდი ყოველთვის სწორ არჩევანს გააკეთებს. გავითვალისწინოთ, რომ ის ჯერ კიდევ პატარაა იმისათვის, რომ შეცდომა არ დაუშვას, შეცდომებისგან ხომ არც ჩვენ, უფროსები ვართ დაზღვეული.

რაც უფრო ადრე დავრთავთ ბავშვს ნებას, დამოუკიდებლად გააკეთოს არჩევანი, მით უფრო ნაკლები პრობლემები ექნება მას მომავალში გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით.

მისი სურვილებიც. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს დამოუკიდებლად მოქმედების, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარის განვითარებას.

ნუ გავაკეთებთ ბავშვის მაგივრად იმას, რის გაკეთებაც მას თავადაც შეუძლია. უფროსები ხშირად მივისწრაფვით, თავიდან ავაცილოთ ბავშვს ზედმეტი დატვირთვა, ზედმეტი შრომა, მის ნაცვლად ვაკეთებთ იმას, რასაც ბავშვი ასე თუ ისე დამოუკიდებლადაც გაართმევდა თავს (ტანსაცმლის ჩაცმა-გახდა, სათამაშოებისა თუ სასწავლო ნივთების დალაგება, მოწესრიგება). ჩარევას იმით ვხსნით, რომ ჩვენ ყველაფერს უფრო სწრაფად ვაკეთებთ და ამით დროს ვიგებთ. ბუნებრივია ბავშვის მოძრაობები არ არის ისეთი დახვეწილი, როგორიც ზრდასრული ადამიანისა, ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად მას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, მაგრამ თუ დამოუკიდებლად მოქმედების პირობები არ შევუქმენით, ცალკეული უნარ-ჩვევების გამომუშავება დიდი ხნით გადაიწევს.

ნუ დაგვავიწყდება ბავშვის შექება, როცა ის დამოუკიდებლად გააკეთებს რამეს. საქებარი სიტყვები დაანახებს ბავშვს, რომ ჩვენ ვაფასებთ მის ძალისხმევას, ეს კი, თავის მხრივ, სტიმულს მისცემს და სურვილს გაუჩენს, მეტი გააკეთოს, მეტი იშრომოს. ბავშვისთვის ქება საუკეთესო ნიშანია იმისა, რომ სწორ გზაზე

ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge
სამასწავლებლო | კედლის გაზეთი | გალერეა | პედსაბჭო | ზარია! | კონტაქტი
www.mastsavlebeli.ge
განათლება – თავისუფლებაა!
www.mastsavlebeli.ge

ირმა ტაველიძე

კომუნიზმი

ათწლეულების წინ, საბჭოთა გამონაგონით თავბრუდახვეული, ჯერ კიდევ მეორე თუ მესამე კლასში, ჯიუტად ვცდილობდი იმის წარმოდგენას, რასაც გარდაუვალ მომავლად გვისახავდნენ. საეჭვო ის იყო, რომ მიახლოებითაც ვერ ამბობდნენ, რამდენი ხნის შემდეგ დავინახავდით პირველ ნიშნებს. ერთი მასწავლებელი ვარაუდობდა, თქვენი თაობა მოესწრებაო, მეორე კი თავს უიმედოდ გააქნევდა ხოლმე. თუ სურათის აღწერას ვთხოვდით, ისეთ დამაბნეველ პასუხებს ვიღებდით, გონებაში აშენებული ყველა კოშკი გვენგრეოდა. კოშკიც და პაწაწინა ფარდულიც, ფანჯრებში გამწკრივებული სათამაშოებით, მოწყენილობის წუთებში თავშესაფრად რომ აგვეგო.

ნიკიტა ხრუშჩოვის ვაჟს, სერგეისაც უცდია მსგავსი კვლევის ჩატარება, მაგრამ უშედეგოდ. „ვცდილობდი და არ გამომდიოდა, გამეგო, ზუსტად რა იყო კომუნიზმი... – იხსენებს ის, – ვცადე მამაჩემის იძულება, შუქი მოეფინა კომუნიზმის ბუნებისთვის, მაგრამ მაშინაც ვერანაირი აზრიანი პასუხი ვერ მივიღე. მივხვდი, რომ მანაც არ იცოდა ეს კარგად“. ვიღაცის მოტყუებას ალბათ მაინც ახერხებდნენ – მმართველობის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული ხარისხით, საზოგადოების დიდი ნაწილი კი თავს ისე აჩვენებდა, ვითომ სწამდა, ვითომ თაყვანისცემის რიტუალს გულწრფელად ასრულებდა.

წიგნში, რომელშიც სერგეი ხრუშჩოვის ეს სიტყვები ამოვიკითხე, სხვაც ბევრია საყურადღებო და დასამახსოვრებელი. რიჩარდ პაიპსის „კომუნიზმი“ მასწავლებლის მაგიდაზეც უნდა იდოს-მეთქი, ვფიქრობდი, როცა ამერიკელი ისტორიკოსის ამ შესანიშნავ ნაშრომს ვკითხულობდი. მეტი უნდა შევიტყოთ გაუგონარ ექსპერიმენტზე, რომელმაც მილიონობით ადამიანი შეიწირა და გადარჩენილები, მრავალგვარ სატანჯველში გამოტარებულები, ჯოჯოხეთურ პირობებში აცხოვრა; ტერორზე, რომელიც ლენინის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთანავე დაიწყო და სტალინის ეპოქაში უფრო და უფრო თავზარდამცემი ფორმებით გამოვლინდა; ადამიანის ბუნების გარდაქმნის საშიშ იდეაზე, აზროვნების მახინჯ წესზე.

საბჭოთა გენერალმა, დიმიტრი ვოლკოგონოვმა „არქივში ოცდაათი სია აღმოაჩინა, რომელიც ერთ დღეს, 1938 წლის 12 დეკემბერს იყო შედგენილი. ამ სიებში დაახლოებით 5000 ადამიანის სახელი ეწერა, რომელთა სიკვდილის განაჩენს სტალინმა მათ ფორმალურ დაკითხვამდე მოაწერა ხელი, რის შემდეგაც ის კრემლის კინოთეატრში ორი ფილმის სანახავად წავიდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო კომედია, სახელად „მხიარული ბიჭები“. ეს მაგალითიც კი საკმარისი უნდა იყოს იმის მისახვედრად, რამდენად სასტიკი და საზარელი ექსპერიმენტის მონაწილეებად იქცნენ ისინი, ვისაც თანასწორობაზე, უკლასო სამყაროზე, ზეადამიანთა იდეალებზე საუბრით უხვევდნენ თვალებს.

„საბჭოთა კულტურა ფანტასტიკურმა ერთფეროვნებამ მოიცვა, – ვკითხულობთ რიჩარდ პაიპსის წიგნში, – 1932 წელს „სოციალისტური რეალიზმი“ ოფიციალური ესთეტიკური დოქტრინა გახდა. ის მწერლებისა და მხატვრებისგან მოითხოვდა, რომ აწმყოს ისე მოჰქცეოდნენ, „თითქოს ის არ არსებობდა“ და მომავალს – ისე, „თითქოს ის უკვე დამდგარიყო“. შედეგად, იმას, რასაც ბეჭდავდნენ, დგამდნენ, იღებდნენ ან რადიოთი გადმოსცემდნენ, არაფერი ჰქონდა საერთო რეალობასთან: ის სიურრეალისტური იყო. ხალხი ამას გონებისა და პიროვნების გახლეჩის შედეგად შეეჩვია, რამაც ერთგვარი შიზოფრენიული მდგომარეობა შექმნა“.

ამ სინამდვილეში თაობები დაიბადნენ და გაიზარდნენ, აზროვნება დაიწყეს, ზნეობის შესახებ წარმოდგენა ჩამოუყალიბდათ, სამყაროში საკუთარი ადგილის განსაზღვრა და მთავარ კითხვებზე პასუხების პოვნა მოუნდათ. ვიღაცამ სწორადაც დაინახა დასანახი, უმრავლესობამ კი საბჭოთა ადამიანის მეტ-ნაკლებად გამართლებულ მიზნად კეთილმოწყობილ საცხოვრებელზე ზრუნვა მიიჩნია. სახელმწიფოს ხარჯზე მოგზაურობა და დასვენება. სახელმწიფოს ზომიერად ჯიჯგნა.

ბოლოს კი ცხადი გახდა, რომ ექსპერიმენტი მარცხისთვის იყო განწირული. „კომუნიზმის მარცხი „ადამიანური შეცდომის ბრალი იყო თუ უშუალოდ მის ბუნებაში არსებული წუნისა?“ – კითხვას სვამს რიჩარდ პაიპსი და ერთმნიშვნელოვან პასუხსაც გვაძლევს: „ისტორიული მტკიცებულებები გვაიძულებენ დავასკვნათ, რომ საქმე ამ უკანასკნელთან გვაქვს. კომუნიზმი არ იყო კარგი იდეა, რომელიც არასწორად განვითარდა. ის ცუდი იდეა იყო“.

იმთავითვე სახიფათო. გადასახზა.

დათია ბადალაშვილი

ომის რეფლექსია თანამედროვე პოეზიაში

საბჭოთა იმპერიის დაშლა, რომელიც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ქართველ ხალხს, ვერ იქცა ერთმნიშვნელოვან გარანტად, რომ ქვეყანაში პოლიტიკურ თავისუფლებასთან ერთად სრული ჰარმონია, სულიერი სიმშვიდე და მატერიალური კეთილდღეობა დაისადგურებდა. ერი უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ამას დაემატა ძმათამკვლელი ომი და ტრაგიკული დამარცხება აფხაზეთის ომში, რამაც ქართველ კაცს გარკვეულწილად დაუკარგა საკუთარი თავის რწმენა, დააეჭვა საკუთარ სიძლიერესა და შესაძლებლობებში. ქვეყანაში შიშმა და იმედგაცრუებამ დაისადგურა. ამ სპეციფიკური პრობლემების ფონზე განსაკუთრებით გამძაფრდა ყველა მცირერიცხოვანი ერისათვის დამახასიათებელი გლობალიზაციის შიში. ასეთმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და ფსიქოლოგიურმა წინაპირობებმა განსაზღვრეს ქართული პოსტმოდერნიზმის წარმოშობა.

ჯეფრი ალექსანდერის მიხედვით, ტრავმა ბუნებრივად განვითარებული მოვლენის შედეგია, რომელიც ამსხვრევს კოლექტიური თუ ინდივიდუალური აქტორების კეთილდღეობის განცდას. ხოლო ტრავმის განცდა თავს იჩენს მაშინ, როდესაც დამანგრეველი მოვლენები ურთიერთქმედებენ ადამიანის ბუნებასთან.

სწორედ ასეთი, დამანგრეველი , მოვლენაა ომი. ჩვენ მიერ განსახილველი ავტორი, რობერტ მესხი, კი თავად არის აფხაზეთის ომის განმცდელი და შესაბამისად მის პოეზიაში ამ მოვლენის რეფლექსია მკვეთრია. განვიხილოთ რამდენიმე ლექსი:

ომით გამოწვეულ ადამიანურ ტრაგედიას გადმოსცემს რობერტ მესხი, ლექსში „ძმა“:

„ჩემი ძმა მოკლეს,
ოთხმოცდათოთხმეტის
ოქტომბერში
მოკლეს გაგრასთან.
მისი ქვეყანა – აფხაზეთი –
გამოხრულ ხეზე ჩამოკიდეს
ვაზის ლერწმებით,
ცხენს ჯერ კიდევ არბენინებენ...“
[მესხი რ.2013. 12]

ლექსი აფხაზეთის ომის რეფლექსიაა, ადამიანურ ტრაგედიას თან ახლავს უფრო მასშტაბური, თუ კი საერთოდ შეიძლება ტრაგედიის მასშტაბის გაზომვა. გაგრასთან მოკლულ ძმასთან ერთად გამოხრულ ხეზე „მისი ქვეყანა – აფხაზეთიც“ ჰკიდია.

პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი დემითოლოგიზაციის პროცესი ცხადად იჩენს თავს ამ სტროფში.

მოკლული ძმის სახის არქეტიპის ძიებას მითოლოგიამდე მივყავართ, „დიოსკურების იფიცებდა მზეს და იმიტო“ – წერს პოეტი და იქვე ახსენებს კასტორსა და პოლიდევკეს, მითურ ტყუპებს. ხოლო ქართლის დედა მითური ლედას გლოვის განმცდელია.

„ცხენს ჯერ კიდევ არბენინებენ“ – მოკლული მებრძოლის ცხენი მითოსურ „ბახტურის ნაწილიან ცხენს“ და ტროას ცხენს, შიგ ჩაბუდებული მტრით, ერთდროულად მოგვაგონებს.

უკანასკნელი წლების ტრავმული გამოცდილება, ომი უკრაინაში, საინტერესოდ რეფლექსირდება, თანამედროვე ქართველი ავტორის ნატო ინგოროყვას პოეზიაში. განსახილველად შევარჩიეთ მისი ბოლო კრებული „ისმის ჩემი ხმა?!“

პურის რიგი

„ბოლო ვიყავი რიგში და
პირველი ტყვია მომხვდა,
თითქოს მეპურემ ცხელი პური
გამომიწოდა და უბეში ჩავმალე.
უფროს ქალიშვილს პურის ყუა
უყვარს.
უმცროს ბიჭს- პურის გული,
გაიყოფენ.
კიბეზე ავრბივარ, საფეხურებს
ვტოვებ-ვჩქარობ, თან ვშიშობ-
სულმა არ წამძლიოს და... დახოცილებს გულისჯიბით ხორბალი
გავატანე-ვიცი გაღივდება.
[ინგოროყვა ნ. 2022]

ამ ლექსში ნატო ინგოროყვა ომის უსასტიკეს სახეს პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი, განსაკუთრებული უბრალოებით აღწერს და ეს სისასტიკე ამ უბრალოებაში იმდენად შიშველი და ბასრია, რომ სურათს კინოკადრის სიცხადით აღიქვამ. ომის თანმდევი გარდაუვალი საცეცი – შიმშილი, პურის რიგი (იმ ავბედითი ჟამის სახე – სიმბოლოდ ქცეული მოვლენა). „თან ვშიშობ – სულმა არ წამძლიოსო“ – (ორმაგი კოდირება) ამბობს ლირიკული გმირი და ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის გმირს („ტრაგედია უგმიროდ“) თითქოს ტრაგიზმში ეჯიბრება და იმარჯვებს. „იმარჯვებს“ იმიტომ, რომ პურის მომლოდინე, დახოცილ შვილებს გულისჯიბით ხორბალს ატანს, გასაღივებლად. ომში შვილმკვდარი დედების სახეხატი კარგად ნაცნობია ლიტერატურისთვის, ნატო ინგოროყვას ძალიან საინტერესოდ შემოჰყავს ეს სახე, ლექსში „ნატირალიდან“, რომელსაც თუშური და ფშაური ხმითნატირლების მისტიკა ახლავს. „მეტი რა მექნაო“ – ეობდიშება ომშიშვილდაღუპული დედა მტერს და მოყვარეს, მტერთან მომბოდიშებელი დედის პარადიგმა ხალხური ბალადის („ლექსი ვეფხისა და მოყმისა“) მისტიკას ირეკლავს.

„არ იყო ჩემი შვილი კაცთმოძულეო – ეობდიშებოდა მოკლულ მტერს და ცოცხალ მოყვარეს“
[ინგოროყვა ნ.2022 გვ.44].

ომის ჯოჯოხეთურ სახეს და რეალური ტრავმების უსასტიკეს სიცხადეს ვეჩეხებით ლექსში „წითელი პარასკევი“.

„წითელი ვაშლი გაგორდა,
თქვა ბიჭმა
და ხელში მამის თავი შერჩა.
ჩემო თვალისჩინო, თქვა დედამ
და შვილის თვალები შეჭამა.
ქარმა კაბა ჩამოხსნა თოკიდან,
გაიფიქრა გოგომ, როცა დედის
სხეული
ოკუპანტმა ფანჯრიდან
გადმოფინა.
ნატვრის ხეა, იფიქრა მგზავრმა,
რომელმაც შორიდან მოჰკრა
თვალი –
სინამდვილეში ხეზე დახოცილები
ჩამოეკიდათ.
სიზმარია, ფიქრობდა ბიჭი,
როცა სხეულშემოფლეთილი
მისი შეყვარებული
თავდაკარგული გვამზე ცეკვავდა
და იღიმოდა“.
[ინგოროყვა 2022.45]

განსაკუთრებით ბასრი და მტკივნეულია ეს სტრიქონები, იმიტომ რომ კადრები ნამდვილია, რადგან ეს ტრავმა ჯერ კიდევ ახალია, ჭრილობა ჯერ ისევ პირღია, ხოლო უსისხლო სისასტიკით ჩადენილი აქტები ნამდვილი. რადგან ნამდვილად არსებობს ნარა კალანდია, ქალი, რომელსაც აფხაზეთის ომში ოკუპანტებმა შვილის თვალები გადააყლაპეს.

შემდეგ ლექსში „ სიის ამოკითხვა. მარიუპოლი.“ ნატო ინგოროყვა უკრაინის ომს ეხმიანება და ომის მსხვერპლი ბავშვების ტრაგიკულ სახეს გვთავაზობს.

„არ გამოტოვოთ ჩემი გვარი. ნანგრევებიდან ამოგძახებთ – აქ ვარ!

დავიმახსოვროთ პირველი გაკვეთილი. საზეპიროა დახოცილების ბოლო ფიქრი. ქვაფენილებს შენახული აქვთ.“[ინგოროყვა 2022.48]

სერჰი ჟადანი ერთ- ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე უკრაინელი ავტორია, მისი რომანები „ მესოპოტამია“, „ინტერნატი“ „ვოროშილოვგრადი“. თარგმნილია ქართულ ენაზე.

ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი პოეზიაში,კიდევ უფრო ხშირად პოსტმოდერნისტულში, რადგან პოსტმოდერნიზმი სულის მდგომარეობა უფროა, ომების დამანგრეველი ძალა, ადამიანურ ტრაგედიებში ირეკლება. სწორედ ამგვარად ხატავს ომს სერჰი ჟადანი, ლექსში „მარტორქა“. ჩვეულებრივი ადამიანის ტრაგედია, ძმის სიკვდილით გამოწვეული ყრუ ტკივილის გაზიარების დაუოკებელი სურვილი. ომის მთელი სისასტიკე, აღწერილი მშვიდად, „ზედმეტი სიმშვიდით“, აქ მშვიდი ტონი კიდევ უფრო ამძაფრებს განცდას. ტანჯვას, ტკივილს, უფრო ხელშესახებს ხდის ადამიანურ ტრაგედიას. ყველაზე მძაფრი კი ის სცენაა, სა-

დაც ომში მოკლულ ჯარისკაცთა დაფლეთილ გვამებს ვეჩეხებით, უფრო კი იმას, რაც გვამთაგან დარჩა. როგორ აწყობდნენ გვამებს ფაზლივით, როგორ შეხვდათ მეტ-ნაკლებად თანაბარი სიგრძის კიდურები. მეტისმეტად სასტიკია იმის ეს ჯოჯოხეთური სცენა, მეტისმეტად რეალურია ამიტომ.

ომი ყველაზე დიდი ბოროტებაა სამყაროს წინაშე ჩადენილი. ომგამოვლილი სამყარო ველარასდროს იქნება ძველებური. სიკვდილის შიშის ჩადგომა ომის კანონია.

„საშიშია, ჩაისუნთქო სისხლიანი
მთვარის სიმყრალე.
საშიშია, დაინახო, როგორ ხდება
ისტორია.“ [ჟანადი 2015]

ომის დაწყებამდე ყველაფერი სხვაგვარად იყო, ყველანი სხვები ვიყავით, ამბობს პოეტი. სხვაგვარები იმიტომ, რომ ჯერ არ იყო ჩამდგარი შიში, ის შიში, რომელიც ომს მოაქვს.

„მაშინ არავის აშინებდა
ვარსკვლავები,
რომლებიც ტბებში
ირეკლებოდნენ,
მაშინ არავის აფრთხობდა კვამლი,
რომელიც მოხნულ მიწას სდიოდა.“
[ჟადანი 2015]

ომმა შეცვალა სიყვარულის ლირიკული სახეც, უფრო სწორად მას წინ სიკვდილი დაუყენა. ლექსში შეყვარებული ქალის ორიგინალური სახე იკვეთება. „სიკვდილით და სიყვარულით გარემოცული ქალი“. შემდეგ კინოკადრივით გრძელდება:

„ქალი რგავს სახეს კაცის მკერდში
და ზურგზე მუშტებს უბაგუნებს,
ქვითინებს, კივის სიბნელეში...“

ქალი კაცობრიობის სათქმელს აყღერებს, ქვითინით: „რა უნდა ვუყო ამდენ სიკვდილს, სად უნდა წავიღო?“.

ჩვენ მიერ განხილულ ყველა ავტორთან ვხვდებით ომის გამოცდილების მერე გარდამტეხ ცვლილებას, ადამიანის გონებაზე, მისი ფსიქიკაზე ომი წარუშლელ კვალს ტოვებს. ასეთი რეფლექსია გვხვდება უკრაინელ პოეტ ირინა შუვალოვასთან, იგი ხატავს ცხოვრებას ომამდე, როცა ყველაფერი სხვაგვარად იყო, ადამიანები ცხოვრობდნენ ჩვეულებრივი ცხოვრებით, ბავშვებს უხსნიდნენ, რა არის ომი, უხსნიდნენ ისე, როგორც მაგალითად, რა არის ჩრდილოეთ პოლუსი. ხოლო შემდეგ, ყველამ საკუთარი თვალით ნახა, რა იყო ეს, საკუთარი სხეულით იგრძნო. ომის ტრავმა ასეთი სახით იკვეთება :

„..იმ წინა ცხოვრებაში
არც კი ვიცოდით,
ფოლადის რამდენი სანტიმეტრი
ტკივილის
დაუბრკოლებლად ჩარჭობა
შეიძლებოდა
ჩვენს ვარდისფერ და რბილ
სხეულებში...“ [შუვალოვა. ი. 2022]

დანიელ პენაკი „სკოლის სევდის“ ეპილოგში წერს, თუ როგორ უყურებს მისი თითქმის ასი წლის დედა ფილმს კაცზე, რომელსაც მშვენივრად იცნობს. ეს კაცი თავად დანიელ პენაკია, მწერალი, პარიზში, საკუთარ სახლში, ბიბლიოთეკაში, უამრავი წიგნით გარშემორტყმული. დედა თითქმის მთელი დღის განმავლობაში უყურებს ფილმს საკუთარ შვილზე და ბოლოს ავტორის ძმას, ბერნარს ეკითხება: „შენ ფიქრობ, რომ ამ კაცს როდისმე რამე ეშველება?“

პენაკი აგრძელებს: „საქმე ისაა, რომ სკოლაში ცუდად ვსწავლობდი და ეს ამბავი დედაჩემს დღემდე აქვს გამოყოლილი. ახლა, როცა მისი გადაბერებული გონება სულ უფრო და უფრო ხშირად ტოვებს აწმყოს ნაპირებს და შორეული არქიპელაგებისკენ გადაადგილდება, გზად შემხვედრი პირველივე რიფები იმ ტკივილსა და სადარდებელს ახსენებს, სკოლაში ჩემი სიარულის პერიოდში ასე რომ გაუშრო სისხლი“. დედას შვილის მომავალი იმდენად ბუნდოვანი და უიმედო ეჩვენებოდა, რომ მის აწმყოშიც ვერ არის ბოლომდე დარწმუნებული.

„ბოლომდე დედაჩემის დაწყნარება-დაშოშმინება არაფერს შეეძლო: არც ჩემი პროფესიული ცხოვრების სტაბილურობას და არც ლიტერატურული მოღვაწეობის საქვეყნოდ აღიარებას. ვერც სხვების მონაყოლი ჰგვრიდა შვებას და ვერც ის, რასაც თავად კითხულობდა პრესაში. ცხადია, ჩემი წარმატებები ახარებდა, მსჯელობდა მათზე მეგობრებთან და საკუთარ აზრებსაც უხვად აფრქვევდა. იმასაც აღიარებდა, საწყალი მამამისი ამ ყველაფერს რომ მოსწრებოდა, მასზე ბედნიერი კაცი ამქვეყნად არ იქნებოდაო. მაგრამ... მაგრამ მის გულში, სადაც იშვა და სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი იმ უქნარამ და დოყლაპიამ, მოკლედ, იმ ოროსანმა, რომელიც მე ოდესღაც ვიყავი, მაინც ღრმად გაედგა ფესვები შფოთვას. ეს თავისებურად მისი სიყვარულის გამოხატულება იყო“.

ბავშვებს უფროსებისგან (მშობლებისგან, მასწავლებლებისგან) სჭირდებათ დასტური და აღიარება იმისა, რომ მათ შესაძლებლობებს ვხედავთ და გვწამს, რომ ცხოვრებაში ყველაფერს შეძლებენ; რომ ისინი საკმარისად კარგები არიან და წინ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს და მცდელობას ვუფასებთ. ეს ძლიერი საყრდენია, რომელზეც თავად დააშენებენ საკუთარ ცხოვრებას, გაბედულად და საკუთარი თავის რწმენით. მაგრამ, რა მოხდება, თუ ჩვენ არ ვირწმუნებთ მათ ძალებს, ეჭვი შეგვეპარება მათ სიძლიერეში და მცდელობებსაც არ დავუფასებთ? თუ ჩვენ განუწყვეტლივ ვიშფოთებთ მათ შესაძლებლობებზე და ეჭვის თვალით დავუწყებთ ყურებას? თუ ისინი ვერასდროს გახდებიან საკმარისად კარგები ჩვენთვის?

წარმოიდგინეთ, სულ პატარა, თვეების ბავშვი, ჩვენგან დაიმედებული, შექებული, როგორ ცდილობს, ისწავლოს ხოხვა და მისწვდეს სასურველ სათამაშოს. თანდათან მიხვდება, რომ სურვილის ასასრულებლად ფეხები უნდა დაიხმაროს, ხელებს მყარად დაეყრდნოს, მუცელი ასწიოს, გაცოცდეს და სათამაშოსაც მისწვდეს. პატარას წარმატების გამოცდილება უკვე აქვს, იცის, რომ ახლა შეუძლია წამოდგეს, უფროსები ცოტას ისევ შევაქებთ, ისევ მივცემთ იმის საშუალებას, რომ საკუთარ ძალას და კუნთებს დაეყრდნოს და ნელ-ნელა წამოდგომა შეძლოს. გავამხნევებთ და ისიც წამოდგება. შემდეგ ნელ-ნელა სიარულს შეეცდება. „ყოჩაღ, ყოჩაღ!“ – ისევ ვამხნევებთ, ისევ მოგვწონს, როცა ვხედავთ, როგორ გულწრფელად და თან საფუძვლიანადაც სჯერა ჩვენი, როგორ იწყებს ძალის მოსინჯვას, ახალი გამოცდილების მიღებას და ვხედავთ, უკვე გამართულად დადის.

განვითარების ყველა ეს ეტაპი, ყველა ეს წინსვლა და მცდელობები საკუთარი თავისა და შესაძლებლობების გამოკვლევის, იმის შედეგია, რომ უფროსებმა ბავშვს შეუქმნეს ისეთი გარემო, რომელიც შემწყნარებლური იყო შეცდომების დაშვების, წაქცევის, წამოდგომის, ახალი გამოცდილების მიმართ. ამასთან ერთად გავუჩინეთ იმის განცდაც, რომ ყველაფერი გამოუვა და არ აქვს მნიშვნელობა, ჰქონდა თუ არა უიღბლო პერიოდები. ახლა უკვე მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდილებით შეიარაღებული, უფრო მეტად თავდაჯერებული და დაიმედებული, მეტად გაბედულია, იკვლიოს გარემო და საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატოს საკუთარი თავი, ჰქონდეს მცდელობები, რადგან იცის, რომ თვითგამოხატვისთვის უსაფრთხო სივრცე არსებობს.

კარგად უნდა გვესმოდეს, რომ მშობლის საუკეთესო მოლოდინი განაპირობებს ბავშვის აკადემიურ წინსვლასაც. არსებობს კვლევები, სადაც ნაჩვენებია, როგორ დადებით გავლენას ახდენს მშობლის მაღალი მოლოდინი შვილის აკადემიურ მიღწევებზე და როგორ აზიანებს საპირისპირო დამოკიდებულება შვილის ცხოვრებას. მჯერა, ჩვენს საუკეთესო მოლოდინს, საუკეთესო წარმოდგენებს და იმედებს შეუძლია შეცვალოს ჩვენი შვილების ქცევა, წაახალისოს ისინი და მოტივაცია დაუბრუნოს. ამიტომ სჯობს, ხშირად ვუთხრათ: „მჯერა შენი, გენდობი და საუკეთესოს ველოდები“.

ქრისტინე სურგულაძე

პირადი მაგალითი

როდესაც მასწავლებელი ხარ, ხშირად გიწევს ახალ ბავშვებთან შეხვედრა. როდესაც მასწავლებელი ხარ, ხშირად ახალ მასწავლებლებთან შეხვედრაც გიწევს. ზოგჯერ ეს სამსახურის შეცვლის დროს ხდება, ზოგჯერ სხვები იცვლიან სამსახურს და იქ მოდიან, სადაც შენ ასწავლი. პირველი საუბარი ყოველთვის მოსწავლეებს ეხება, მით უმეტეს, თუ მოსწავლეები მათ უნდა გადააბარო, ან თუ შენ უნდა გადმოიბარო, ან თუ უბრალოდ მათ გაკვეთილს უნდა დაესწრო, ან დაგესწრონ.

მსგავსი საუბრები მიყვარს, ვფიქრობ, სასარგებლოა. ბევრ საინტერესო ამბავს გავცემთ და ვიღებთ, ვაზიარებთ და ვიზიარებთ თავგადასავლებს, გამოცდილებას, თეორიას თუ პრაქტიკას. თუმცა ხშირად მწყვეტს გულს ერთი სიტყვა, ერთი ჩვეულებრივი ზედსართავი სახელი, რომელიც ურჩხულივით გამოიყურება, თუ მას რომელიმე ბავშვთან მიმართებით ვიტყვით: „სუსტია“. თითქოს სუსტი უნდა იყოს, მაგრამ იმხელა ძალას იძენს... და მეც ყოველ ჯერზე დაუღალავად ვყვები ჩემს საყვარელ ამბავს, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ გადამხდა თავს.

ერთხელ პირველი კლასის მასწავლებელი ვიყავი. ამ ამბავს ასე იმიტომაც ვიწყებ, რომ ისინიც პირველი პირველკლასელები იყვნენ ჩემთვის. ეს ამბავიც ამიტომაა ამდენად ძვირფასი. როცა პირველკლასელებს პირველად ასწავლი, ყველა დეტალის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენ, ყველაფერი ასმაგად მიგაქვს გულთან, როცა ფიქრობ, რომ მხოლოდ მათ ცოდნას კი არა, შენს მომავალსაც უყრი საფუძველს, თითქოს საკუთარი თავიდან გადიხარ და გვერდიდან ხედავ სიტუაციას, აცნობიერებ, რამდენად მნიშვნელოვანი ხარ და რამდენად საფრთხილო და სათუთია თითოეული ნაბიჯი, რომელსაც მათთან ურთიერთობისას გადადგამ.

ასე და ამგვარად, ყველაფერი მშვენივრად იყო, გარდა ერთისა – კლასში ერთ პატარას ანბანზე გადასვლისას თავგზა აებნა. რა აღარ ვცადე, რა აღარ მოვიმოქმედე, მაგრამ შედეგზე ვერ გავედი. როდესაც შევამჩნიე, რომ პატარა ბიჭს უკვე შფოთვა იპყრობდა და შესაძლოა, ანბანის ვერდამახსოვრებასა და წერა-კითხვის არცოდნაზე უარესი ამბავი მომხდარიყო, დედას ვესაუბრე და შევთანხმდით, რომ მეტად აღარ დავტვირთავდი, აღარ ვთხოვდი, მაგალითად, დაფაზე რამის დაწერას, რადგან როცა ვერ ახერხებდა, განიცდიდა და ა.შ. ჩავთვალეთ, რომ დრო იყო საჭიროა, მოთმინება მოგვეკრიბა და გვედროვებინა.

ამასობაში ზაფხულის არდადაგები მოვიდა, მერე გავიდა და მეორე სასწავლო წელიც დაიწყო. მეორეკლასელებად ქცეული პირვეკლასელები ოდნავ უფრო სქელი წიგნებით მიუსხდნენ მერხებს და სულ რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ პატარა ბიჭმა ხელი აიწია. სწორედ აქედან იწყება ჩემი საყვარელი მონაკვეთი იმ საყვარელი ამბისა, რომელსაც სახელად „პირადი მაგალითი“ ვუწოდე. ხშირად ვფიქრობ ხოლმე, რამ იმოქმედა – დასვენებამ? ერთი წლით გაზრდამ? ალბათ, ჰო. ამ ასაკში ერთი და ორი წელი, თუნდაც რამდენიმე თვე ძალიან ბევრია. პატარა ბიჭის თანაკლასელების გონება ოდნავ უფრო ადრე იყო მზად იმისთვის, რომ მეორე ენის ანბანი აეთვისებინა – პრობლემებით, ხარვეზებით, მაგრამ მაინც. მას კი მეტი დრო დასჭირდა, რადგან მისი გონება ჯერ მზად არ იყო, კიდევ რამდენიმე თვე სჭირდებოდა, რომ ყველაფერი თავისით დალაგებულიყო. სწორედ ამიტომ ვბრაზობ, როცა სიტყვა „სუსტია“ მესმის, განსაკუთრებით – მცირეწლოვან ბავშვებთან მიმართებით.

ხშირად ვფიქრობ, რა მოხდებოდა, მეორე წელს სხვა მასწავლებელი რომ ჰყოლოდა, მე კი კლასზე საუბრისას ახალი მასწავლებლისთვის მეთქვა: ჰო, იცი, ეს პატარა ბიჭი სუსტია, აი, ასე, უბრალოდ ინგლისურს ვერ სწავლობს და მორჩა. მერე ეს ახალი მასწავლებელი კლასში შესულიყო და მისთვის ზედმეტი და არასაჭირო ან სულაც არასათანადო ყურადღება დაეთმო.

მაგრამ მეორე წელს კლასი არავისთვის გადამიბარებია და საკუთარი თვალით ვნახე, როგორ გახდა პატარა ბიჭი კლასში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე.

სწორედ ამ ამბავმა დამარწმუნა, რომ „სუსტი“ არ არსებობს. არსებობს მხოლოდ გარემოებები, რომელთა დანახვა და გათვალისწინება ზოგჯერ რთულია და ჩვენც გვირჩევნია, მოკლე გზით მოვუაროთ. სხვა შემთხვევაში პასუხისმგებლობაც უფრო დიდია და არაცნობიერად ალბათ ესეც გვაფრთხობს.

როდესაც კლასს ვიბარებ და მსგავსი დახასიათება მესმის, ამ ამბავს ვყვები. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, როდესაც პატარებზე ვსაუბრობთ, რადგან ასაკში ოთხი და ხუთი თვის სხვაობაც კი კონკრეტული საკითხებისთვის განსხვავებულ მზაობას გვაძლევს.

ამ ამბის მოყოლის მთავარი მიზანიც ეს იყო: დავფიქრდეთ. ან იქნებ თქვენც გჭირდებათ ამბის ცოდნა პატარა ბიჭზე, რომელიც ამასობაში უკვე საკმაოდ დიდი გახდა; ბიჭზე, რომელმაც შეფასება „სუსტია“ მანამდე დაამარცხა, ვიდრე მას ვინმე ხმამაღლა მიაწებებდა; ბიჭზე, რომლის ამბავიც დღემდე ციცინათელასავით დამყვება და მინათებს სიბნელეს, სადაც ვისიმე შესახებ ამბობენ, რომ „სუსტია“.

ჩემი პირადი მაგალითი ხომ თქვენთვისაც შეიძლება იყოს მაგალითი? ყველაფერს თავისი დრო აქვს, ჩვენ კი, როგორც ყოველთვის, ყველაზე მომთმენები უნდა ვიყოთ და გვჯეროდეს მათი, ვინც ყოველდღე წინ გვიზის და თავის მომავალს გვანდობს.

დგას. ბავშვი, რომელსაც აქებენ, დიდი ალბათობით, შეეცდება, ისევ და ისევ ასიამოვნოს მშობლებს.

- მივცეთ ბავშვს შეცდომის დაშვების უფლება. ნუ გვექნება მოლოდინი, რომ ის ყოველთვის სწორ არჩევანს გააკეთებს. გავითვალისწინოთ: ბავშვი ჯერ მეტის-მეტად პატარაა იმისთვის, რომ შეცდომა არ დაუშვას, მით უმეტეს, შეცდომებისგან არც ჩვენ, უფროსები ვართ დაზღვეული. უკეთესია, ავუხსნათ, რომ შეცდომა არ არის კატასტროფა, ის ყველას მოსდის. ერთად ვიმსჯელოთ, რატომ მოუვიდა ეს, ვაპოვნინოთ პრობლემის გადაჭრის სხვა გზა, ვკითხოთ, რამ უბიძგა ასეთი არჩევანისკენ და რის გაკეთება შეუძლია შეცდომის გამოსასწორებლად. განსაკუთრებით ხშირად უნდა ველოდეთ შეცდომებს მოზარდებისგან – ისინი ჯერ მხოლოდ სწავლობენ დამოუკიდებლობას, მაგრამ უკვე გადაჭრით უარყოფენ უფროსების ავტორიტეტს. მიუხედავად ამისა, ვეცადოთ, თავს არ მოვახვიოთ ჩვენი გადაწყვეტილებები. შეცდომები დაეხმარება, საკუთარ გამოცდილებაზე ისწავლოს.

- გავითვალისწინოთ ბავშვის ასაკი. სხვადასხვა ასაკი მოითხოვს პასუხისმგებლობის სხვადასხვა ხარისხს. მაგალითად, თუ ბავშვი ჯერ მხოლოდ ექვსი წლისაა, ის შეიძლება დაგვეხმაროს მტვრის გადაწმენდაში, ნივთების დალაგებაში. უფრო მოზრდილ ბავშვს შეიძლება დავავალოთ, მაგალითად, ახლომდებარე მაღაზიიდან პურის მოტანა, მოზარდს – უმცროსი და-ძმის საბავშვო ბაღიდან გამოყვანა.

ნუ ვიქნებით ზედმეტად მკაცრი. გადაჭარბებული კონტროლი ბავშვს საკუთარი თავის რწმენას დააკარგვინებს. დაუფიქრებელი, გაუაზრებელი აკრძალვები კლავს ინიციატივას და ავითარებს ინფანტილურობას. მივცეთ ბავშვს შეცდომებზე სწავლის საშუალება, ავუკრძალოთ მხოლოდ ის, რაც საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. მივცეთ მიმართულება, მაგრამ მის ნაცვლად არ ვაკეთოთ ის, რის კეთების უნარიც მას თავად შესწევს.

- ნუ შეგვეშინდება იმის, რომ ჩვენი ავტორიტეტი ბავშვის თვალში დაიწევს, თუ მან ჩვენს დაუხმარებლად გააკეთა რამე. თუ ბავშვი თავად აირჩევს ტანსაცმლის ფერს, ჩვენს ავტორიტეტზე ეს გავლენას არ მოახდენს. პირიქით, თუ ერთად განვიხილავთ მასთან დაკავშირებულ გეგმებს, ჩვენ შორის დამყარდება ნდობით სავსე ურთიერთობა, ეს კი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ის, რომ ბავშვს ეშინოდეს მშობლების, რადგან მათ შეუძლიათ, ნებისმიერი რამისთვის დასაჯონ.

- დავეხმაროთ ბავშვს საკუთარი არჩევანის გაზრებაში. ამისთვის ერთად განვიხილოთ მიღებული გადაწყვეტილებები. მივაპყროთ მისი ყურადღება შედეგს, რომელიც მის გადაწყვეტილებას მოჰყვა. მაგალითად, თუ ბავშვი გვთხოვს, ძაღლი მოვუყვანოთ, შევახსენოთ, რომ მას თავად მოუწევს ძაღლის გამოკვება და გასეირნება.

- მუდმივად ვესაუბროთ, ვკითხოთ აზრი და რჩევა, დავუსვათ კითხვები, მივცეთ საშუალება, ისწავლოს ფიქრი და საკუთარი აზრის გამოხატვა. მაგალითად: „გარეთ ცხელა, როგორ ფიქრობ, რის ჩაცმა ჯობია?“ ან: „შენი რჩევა მჭირდება – რომელი ხილის ყიდვა ჯობია?“ ასეთი კითხვები ბავშვს უღვივებს საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობას და ასწავლის პასუხისმგებლობას. მოზარდები, რომელთა მოსაზრებებს ადრეული ბავშვობიდანვე ითვალისწინებდნენ, მეტი სიამოვნებით ასრულებენ უფროსების თხოვნას, დავალებებს და მითითებებს.

ამრიგად, თუ ჩვენი მიზანია მოაზროვნე პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს სწორი არჩევანის გაკეთებას, მივცეთ ბავშვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება. რაც უფრო ადრე დავრთავთ ნებას, დამოუკიდებლად გააკეთოს არჩევანი, მით უფრო ნაკლებად გაუჭირდება მომავალში გადაწყვეტილებების მიღება.

მაია ფირჩხაძე

სასწავლო მენიუ, როგორც დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტი კურიკულუმის სტრუქტურაში

საგნობრივ კურიკულუმში ნათლად უნდა იკითხებოდეს, როგორ აღწევს მასწავლებელი დიფერენცირებული სწავლების მოთხოვნის შესრულებას. ამ კუთხით კურიკულუმებში ხშირად გვხვდება სასწავლო მენიუ როგორც დიფერენცირებული სწავლების ეფექტური ინსტრუმენტი.

დიფერენცირებული სწავლება და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალურად გათვალისწინება ეროვნული სასწავლო გეგმის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. მოთხოვნის შესაბამისად, დიფერენცირებული სწავლების მრავალფეროვანი ინსტრუმენტებიდან მასწავლებელი ჯერ შეარჩევს შედარებით მოქნილ ინსტრუმენტს, რომელიც დაეხმარება ეფექტიანი შედეგების მიღწევაში, მერე კი გამოყენების ინსტრუქციას და კონკრეტულ მაგალითებს ჩართავს კურიკულუმში (შესაბამის თემატურ ბლოკში) როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის ავთენტურ საშუალებაში.

ეს ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას, რაც გააძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას, დამოუკიდებლობას და კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

საგნობრივ კურიკულუმში ნათლად უნდა იკითხებოდეს, როგორ აღწევს მასწავლებელი დიფერენცირებული სწავლების მოთხოვნის შესრულებას. ამ კუთხით კურიკულუმებში ხშირად გვხვდება **სასწავლო მენიუ როგორც დიფერენცირებული სწავლების ეფექტური ინსტრუმენტი**. მის ეფექტურობას ხელს უწყობს **არჩევანის თავისუფლება, მრავალფეროვანი აქტივობები, დავალებების შემოქმედებითობა, პროექტული სწავლების ელემენტების გამოყენება** და **მოხერხებული შეფასების სისტემაც, რადგან ამ დროს** შეფასების კრიტერიუმები თითოეული დავალების ტიპზეა მორგებული, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობისა და პროგრესის სიღრმისეულ შეფასებას. ყურადსაღებია **დროის მენეჯმენტიც**. თითოეული აქტივობა შეიძლება სხვადასხვა სირთულის იყოს და შესასრულებელი დროის ინტენსივობაც განსხვავებული, ამიტომ კურიკულუმი უნდა შეიცავდეს დავალებების გრაფიკს და დამოუკიდებელი მუშაობის პერიოდს, რაც ეხმარება მოსწავლეებს დავალებების დროულად შესრულებაში.

სასწავლო მენიუ სხვადასხვა ტიპისაა. ძირითადად გამოიყოფა:

1. **სავარჯიშო მენიუ;**
2. **კვლევითი მენიუ;**
3. **შემოქმედებითი მენიუ.**

მოსწავლეებს შეუძლიათ, დავალებები, სავარჯიშოები, კვლევითი და შემოქმედებითი აქტივობები თავიანთი ინტერესების, უნარებისა და ცოდნის დონის მიხედვით შეარჩიონ (მაგალითად, შემოქმედებითი დავალებების დროს აირჩიონ პრეზენტაცია, ვიდეოს შექმნა ან სხვა). შედეგად იზრდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები, მათი ჩართულობის ხარისხი, თვითორგანიზებისა და დამოუკიდებელი სწავლების უნარები, მოტივაცია და პასუხისმგებლობის გრძნობა.

> მნიშვნელოვანია, კერძოდ სად ჩავსვათ კურიკულუმში სასწავლო მენიუ, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის დავალებებს: ზოგად სავარჯიშოებს, კვლევით პროექტებს და შემოქმედებით აქტივობებს.

ვინაიდან საგნობრივი კურიკულუმი ძალიან აღქმადი დოკუმენტია, ის შეგვიძლია ჩავსვათ თითოეულ თემაში ან ქვეთავების შემდეგ, რაც ნათლად დაგვანახებს, როგორ მიდის მოსწავლე წინ.

გთავაზობთ ნიმუშს ისტორიის საგნობრივი დისციპლინიდან:

საფეხური – საბაზო
კლასი – VIII
საგანი – ისტორია
თემა – ადრეული შუა საუკუნეები

აღნიშნული თემა დაყოფილია ქვეთემებად, რომლებშიც გაერთიანებულია თემასთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად, ქვეთემებია: „ქრისტიანულ სამყაროში მიმდინარე პროცესები“, „არაბთა სახალიფოს ჩამოყალიბება და საქართველო“, „როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები შუა საუკუნეებში. როგორი იყო შუა საუკუნეების საზოგადოება“ და სხვ.

სასწავლო მენიუს ნიმუშები მოცემულ თემასა და ქვეთემებთან დაკავშირებით:

ნიმუში 1

თემა: ადრეული შუა საუკუნეები

1. **სავარჯიშო მენიუ (მიზანია ზოგადი ცოდნის გაღრმავება):**

- **არჩევანი 1:** მოამზადეთ მოკლე, მინიმუმ 300-სიტყვიანი რეფერატი, რომელიც აღწერს ადრეული შუა საუკუნეების პოლიტიკურ და სოციალურ სისტემას, განსაკუთრებით ფეოდალურ ურთიერთობებს;
- **არჩევანი 2:** შეადგინეთ ცხრილი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება ადრეული შუა საუკუნეების მთავარი მმართველები და იმპერიები;
- **არჩევანი 3:** შეადგინეთ გრაფიკი ადრეული შუა საუკუნეების (500-1000 წ.წ.) მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

2. **კვლევითი მენიუ (მიზანია დამოუკიდებელი კვლევის უნარების განვითარება):**

- **არჩევანი 1:** შეისწავლეთ ფრანკთა სახელმწიფოს ისტორია და დაწერეთ კვლევითი ანგარიში კარლოს დიდისა და მისი როლის შესახებ დასავლეთ ევროპის გაერთიანებაში;
- **არჩევანი 2:** შეისწავლეთ ქრისტიანობის გავრცელების ისტორია და დაწერეთ ანალიზი, რა როლი შეასრულა ქრისტიანულმა ეკლესიამ ადრეული შუა საუკუნეების პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში;
- **არჩევანი 3:** შეისწავლეთ, როგორ მოხდა ევროპული მონარქიების ფორმირება რომის იმპერიის დაშლის შემდეგ და მოამზადეთ პრეზენტაცია რომელიმე ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე.

3. **შემოქმედებითი მენიუ (მიზანია კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების გაძლიერება):**

- **არჩევანი 1:** შექმენით ინტერაქციული რუკა, სადაც ნაჩვენებია ადრეული შუა საუკუნეების მიგრაციები და დაპყრობები (მაგ., ჰუნები, ფრანკები, გერმანული ტომები).
- **არჩევანი 2:** დაწერეთ დღიური, რომლის წარმოსახვითი ავტორია რომელიმე მეფე ან მეომარი და აღწერეთ მათი ყოველდღიური ცხოვრება და გამოწვევები;
- **არჩევანი 3:** შექმენით ვიდეო, პოსტერი, გაზეთი ან ნებისმიერი გრაფიკული ნამუშევარი, რომელიც ასახავს ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურას.

სასწავლო მენიუს ნიმუში 2

ქვეთემა: „არაბთა სახალიფო“

1. **სავარჯიშო მენიუ (მიზანია ზოგადი ცოდნის გაღრმავება):**

ვინაიდან საგნობრივი კურიკულუმი ძალიან აღქმადი დოკუმენტია, ის შეგვიძლია ჩავსვათ თითოეულ თემაში ან ქვეთავების შემდეგ, რაც ნათლად დაგვანახებს, როგორ მიდის მოსწავლე წინ.

- **არჩევანი 1:** მოამზადეთ მოკლე, მინიმუმ 300-სიტყვიანი რეფერატი, რომელიც აღწერს არაბთა სახალიფოს წარმოშობასა და პოლიტიკურ გაძლიერებას.
- **არჩევანი 2:** შეადგინეთ იმ ფაქტების სია, რომლებიც აღწერს არაბთა სახალიფოს მთავარ პოლიტიკურ და კულტურულ მიღწევებს.
- **არჩევანი 3:** შეადგინეთ ქრონოლოგიური ცხრილი, რომელშიც ასახულია არაბთა სახალიფოს ძირითადი მოვლენები VII-X საუკუნეებში.

2. **კვლევითი მენიუ (მიზანია დამოუკიდებელი კვლევის უნარების განვითარება):**

- **არჩევანი 1:** შეისწავლეთ და დაწერეთ ანგარიში არაბთა სახალიფოში მეცნიერების, ფილოსოფიის, მედიცინის, მათემატიკის განვითარების შესახებ.
- **არჩევანი 2:** შეისწავლეთ და დაწერეთ ანალიზი, როგორ ვითარდებოდა სავაჭრო ურთიერთობები არაბთა სახალიფოში.
- **არჩევანი 3:** შეისწავლეთ არაბული სახალიფოს მართვის პრინციპები და შეადარეთ, სულ ცოტა, ორი ხალიფას (მაგალითად, ჰარუნ ალ-რაშიდის და ომარ იბნ ალ-ხატაბის) საშინაო და საგარეო პოლიტიკა. გააკეთეთ პრეზენტაცია.

3. **შემოქმედებითი მენიუ (მიზანია კრიტიკული აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების გაძლიერება):**

- **არჩევანი 1:** შექმენით ვიდეო ან ანიმაცია, რომელშიც აღწერთ არაბთა სახალიფოს ქალაქებს, ცხოვრების წესს და, საზოგადოდ, კულტურულ მემკვიდრეობას.
- **არჩევანი 2:** მოამზადეთ ინტერვიუ ხალიფასთან ან სახალიფოს რიგით მცხოვრებთან (ან დაწერეთ მოკლე ისტორიული მონოლოგი ხალიფას ან სახალიფოს რიგითი მცხოვრების პერსპექტივიდან), რომელშიც აღწერთ არსებულ გამოწვევებს ან საზოგადოების მიღწევებს.
- **არჩევანი 3:** შექმენით ინტერაქციული რუკა, რომელშიც ნაჩვენებია არაბთა სახალიფოს ექსპანსია და ტერიტორიული ცვლილებები.

ნიმუში 3

თემა: ადრეული შუა საუკუნეები

სასწავლო მენიუ: მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ სამი დავალება სხვადასხვა სვეტიდან. თითოეული სვეტი შეესაბამება განსხვავებულ უნარებს: ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, შემოქმედებითი აზროვნება და პრეზენტაციის უნარები.

ყოველი დავალების შესრულება შეფასდება არა მხოლოდ სწორი ინფორმაციის მიწოდებით, არამედ მოსწავლის პროგრესის გათვალისწინებითაც.

მასწავლებელი შეაფასებს არა მხოლოდ სწორი და საფუძვლიანი ინფორმაციის ცოდნას, არამედ მოსწავლის პროგრესის დონეს. მაგალითად,

- მოსწავლეებს, რომელთაც მანამდე უჭირდათ ინფორმაციის ანალიზი, წარმატებად ჩაეთვლებათ, თუ შეძლეს რთული ინფორმაციის მოძიება და ორგანიზება;
- შემოქმედებით დავალებებში მოსწავლეებს, რომლებსაც უძნელდებოდათ კრიტიკული აზროვნების უნარების წარმოჩენა, წარმატებად ჩაეთვლებათ პროგრესი იდეების გენერირებაში;
- მოსწავლეებს, რომლებსაც კარგად გამოსდით პრეზენტაციების მომზადება, შეუფასდებათ კიდევ უფრო ეფექტური პრეზენტაციის მომზადება.

სასწავლო მენიუ მასწავლებლის მხრივ **აქტიურ მონიტორინგს და უკუკავშირს გულისხმობს. ბევრ დროს მოითხოვს თავად სასწავლო მენიუს შედგენაც,** თუმცა შესაძლებელია, **მასწავლებელმა სახელმძღვანელოს თითოეულ პარაგრაფში შემოთავაზებული დავალებებიც გადააქციოს სასწავლო მენიუდ** და **ინტერესი და მრავალფეროვნება შესძინოს თითოეულ გაკვეთილს.** ამით კიდევ უფრო დაძლევადი გახდება სასწავლო მასალა და კიდევ უფრო მოქნილი აკადემიური მიღწევის თვალსაზრისით, ამაღლდება მოსწავლეთა მოტივაციაც და შემოქმედებითი უნარებიც.

აღნიშნულის გამო სასურველია მოცემული ინსტრუმენტის ჩართვა საგნობრივ კურიკულუმებში და სასწავლო პროცესში მისი პერიოდულად გამოყენება.

დიანა ანფიმიადი

როგორ ვისაუბროთ პროფესიების შესახებ – რამდენიმე ტექსტი და იდეა დაწყებითი სკოლის მხიარული გაკვეთილებისთვის

სასკოლო განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში მოსწავლეთა დახმარებაა, რასაც საფუძველი დაწყებით კლასებში ეყრება.

სასკოლო განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში მოსწავლეთა დახმარებაა, რასაც საფუძველი დაწყებით კლასებში ეყრება. გთავაზობთ რამდენიმე ტექსტსა და იდეას პროფესიებზე სასაუბროდ და მხიარული გაკვეთილების ჩასატარებლად.

1. სიტყვობანა

დოლურაში ჩაყარეთ ფერად ფურცლებზე დაწერილი პროფესიების სახელები, მოსწავლეებთან ერთად ამოიღეთ თითო-თითო ფურცელი და იმსჯელეთ, რა ევალება თითოეულს:

- მაშველი
- არქეოლოგი
- მასწავლებელი
- ექიმი
- მებაღე
- ვეტერინარი
- კონდიტერი
- გამყიდველი
- მეეზოვე
- კონდუქტორი
- მემანქანე
- მშენებელი
- მხატვარი
- ფარმაცევტი
- პროგრამისტი
- მხატვარი
- მომღერალი
- მწერალი

ტექსტი N1

მაკა მიქელაძე – „ვინ უნდა გამოვიდეს?“

– მარიტა, შენ ვინ უნდა გამოხვიდე? – ჰკითხა ერთმა სტუმარმა პაწია გოგოცუნას.

მარიტა დაიბნა.

– ექიმი! – თქვა ბაბუმ, – სიბერეში მომხედავს, წამლებს დამინიშნავს, რეცეპტს გამომიწერს.

– მარიტა მსახიობი გამოვა!
– გადაჭრით თქვა დედამ, – კინოში გადაიღებენ, ჟურნალებში სურათებს დაბეჭდავენ…

– მარიტა ჩემი შვილია და გამოვა ის, რაც მე ვარ!
– მტკიცედ თქვა მამამ, – მარიტა, ხომ გინდა, იურისტი გახდე? დამნაშავეებს დასჯი და უდანაშაულოებს გაამართლებ.

კამათი დიდხანს გაგრძელდა.

მარიტას მოსწყინდა და დასაძინებლად გაეშურა.

ძილის წინ წაიოცნება, დიდი რომ გავხდები, აუცილებლად მღებავი გამოვალ, ხის ლიფტით ვისეირნებ და სახლებს გარედან ნაირფრად შევღებავო.

მერე გაახსენდა, რომ მატარებლის მემანქანეობაც არ არის ცუდი, არც მეზღვაურობა და ალპინისტობა. ბოლოს, კოსმონავტობაზე რომ დაიწყო ოცნება, ჩაეძინა.

მთავარია, კარგი გოგო გაიზარდოს.

კითხვები ტექსტის გასააზრებლად:

- რას ურჩევენ უფროსები მარიტას?
- დააკვირდი, როგორ იქცევიან უფროსები?
- რა პროფესიებია ჩამოთვლილი ტექსტში?
- არის რომელიმე პროფესია, რომლის დანიშნულება არ იცი?
- რას ნიშნავს „მთავარია, კარგი გოგო გაიზარდოს“?

რამდენიმე საუკუნის წინ ინგლისსა და ირლანდიაში გამღვიძებლის პროფესია არსებობდა. სამსახურსა და სკოლაში მაშინაც აგვიანებდა ხალხი, მაღვიძარა კი იშვიათი ფუფუნება იყო, ამიტომ მათ, ვისაც დილით გაღვიძება უჭირდა, გამღვიძებლები აღვიძებდნენ.

აქტივობა 1:

დააკვირდი,

რომელი პროფესიები არ არის ტექსტში ნახსენები?

- ალპინისტი
- მემანქანე
- მეზღვაური
- კოსმონავტი
- მფრინავი
- ჟურნალისტი

აქტივობა 2:

წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, რომ:

მეზღვაურმა ცურვა არ იცოდეს,

მემანქანე მანქანებში ვერ ერკვეოდეს,

ალპინისტს სიმაღლის ეშინოდეს.

ტექსტი N2

გიორგი – მომავალი არქეოლოგი

„აბა, ორი წუთით თვალები დახუჭეთ და წარმოიდგინეთ, 20 წლის მერე სად იქნებითო“, – ჰკითხა მასწავლებელმა მოსწავლეებს.

ჰოდა, ატყდა და რა ატყდა! ზოგმა – ჰოლივუდის ვარსკვლავი ვიქნებიო, ზოგმა – მომღერალიო, ზოგმა – ფილმს გადავიღებო, ზოგმა – მარსზე გადავცხოვრდებიო. ზოგმა საქართველოს პრეზიდენტობაც კი დააპირა. დიდი მხიარულება იყო კლასში, ხან რას წამოიძახებდნენ, ხან რას.

გიორგი ჯერ დაფიქრდა, მერე 20 წელი გადათვალა, მერე თვალები დახუჭა და ისე წავიდა ოცნებებში, რომ კლასიც გაქრა, სკოლაც და მთელი ქალაქიც.

გიოს სიძველეების აღმოჩენა უყვარს და არქეოლოგობა უნდა. გორის ციხე და უფლისციხის ნაქალაქარი არაერთხელ დაულაშქრავს.

თვე არ გავა, გორის მუზეუმს არ ესტუმროს მამასთან ერთად. ბევრი რამე აინტერესებს, მაგრამ როცა ნუმიზმატიკის განყოფილებაში შეივლის, ყველაფერი ავიწყდება.

უძველესი მონეტები ყველაზე კარგად გვიამბობენ ისტორიულ ამბებს. აი, დავით მეფის და თამარის მონეტები, ესეც ძველი ბერძნული, ირანული, რომაული, ქართული… ნეტავ რამდენი ადამიანის ხელში გაუვლია ამ საგანძურს?

ნუმიზმატიკა მონეტებსა და მედლებს შეისწავლის, გორის მუზეუმში კი ისტორიული მონეტების მდიდარი კოლექცია აქვთ.

და აი, გიორგი ოცნებებში თავის მომავალს ხედავს: ეს თვითონაა, ცნობილი და წარმატებული არქეოლოგი, ესეც – სენსაციური აღმოჩენა, უძველესი განძი, რომლის თითოეული მონეტა საქართველოს წარსულის საიდუმლოს ამხელს

კითხვები ტექსტის გასააზრებლად

- რა იკითხა მასწავლებელმა?
- რა უპასუხეს ბავშვებმა?
- გიორგის რომელი პროფესია მოსწონს?
- რა არის არქეოლოგია?
- რა ინახება ნუმიზმატიკის განყოფილებაში?
- რაზე ოცნებობს გიორგი?

ინფორმაცია ინტერნეტიდან

სენსაციური აღმოჩენა

ქართველი არქეოლოგების ჯგუფმა დიდძალი განძი აღმოაჩინა. ექსპედიციას ცნობილი არქეოლოგი გიორგი ბერიშვილი ხელმძღვანელობს.

საგანძურში ოქროსა და ვერცხლის უძველესი მონეტებია!

დააკვირდი!

რა ამოიკითხე ისეთი, რაც მთავარ ტექსტში არ იყო მოცემული?

ტექსტი N3

მაშველი გმირია!

წინასწარი კითხვები

- იცი, რა მოვალეობა აქვს მაშველს?
- რა ნომერზე უნდა დარეკო, როცა რაიმე სახიფათო ხდება ან ვინმეს დახმარება სჭირდება?
- მაშველი გმირია, მას ადამიანებისა და ცხოველების გადარჩენა ევალება!

გადარჩენილი კნუტი

მათემ ზუსტად იცის: რომ გაიზრდება, მაშველი გამოვა. არასდროს დაავიწყდება ერთი წვიმიანი დღე, კეთილი მაშველები და გადარჩენილი კნუტი.

იმ დღეს ძალიან წვიმდა, მათეს სურდო ჰქონდა და დედამ გა-

დაწყვიტა, სკოლაში არ გაეშვა. ბიჭი მოწყენილი იჯდა თავის ოთახში და ფიქრობდა, დრო როგორ გაეყვანა.

უცებ კნავილი გაიგონა. ფანჯარა გამოაღო. ისეთი თავსხმა იყო, წვიმამ პირდაპირ ოთახში შემოასხა. მათემ წვიმის ხმას ყური დაუგდო. კნავილი აღარ გაუგონია და ამიტომ ფანჯარა მიხურა.

ცოტა ხანში ხმა გამეორდა. კნავილი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ნამდვილად კნუტი იყო, რაღაც უჭირდა და შველას ითხოვდა.

მათემ კიდევ გამოაღო ფანჯარა და ისევ ვერაფერი დაინახა, თუმცა განწირული კნავილი არ წყდებოდა.

მათეს გაახსენდა, რომ ასეთ დროს ტელეფონზე უნდა აეკრიფა სამი ციფრი: ერთი, ერთი და ორი – 112.

მაშინვე დარეკა, ოპერატორს კატის ამბავი უამბო და თავისი მისამართიც ჩააწერინა.

ცოტა ხანში მაშველებიც მოვიდნენ. მათეს სახლს უზარმაზარი კიბე მიადგეს. ერთი მაშველი კიბეზე ავიდა და, როგორც იქნა, საწყალი კნუტი საწვიმარი მილიდან გამოიყვანა.

– კარგი ბიჭი ხარ, რომ დაგვირეკე, – უთხრა მაშველმა მათეს, – შენ გადაარჩინე ეს კნუტი.

„მე როგორ გადავარჩინე, როცა ამხელა კიბეზე მაშველი ავიდაო?“ – ფიქრობდა მათე, მაგრამ ქება მაინც შეიფერა.

კითხვები ტექსტის გასააზრებლად:

- რატომ არ წავიდა მათე სკოლაში?
- რამ მიიქცია მისი ყურადღება?
- სად დარეკა მათემ?
- ვინ მოვიდა საშველად?
- როგორ გადაარჩინეს კნუტი?
- რას ნიშნავს „ქება მაინც შეიფერა“?

საინფორმაციო ჩანართი:

გადაუდებელი დახმარების სამსახური

112 სპეციალური სახელმწიფო დაწესებულებაა, რომლის თანამშრომლებსაც ადამიანების დახმარება ევალებათ.

თუ:

- ხანძარია,
- ვინმეს შველა სჭირდება,
- ვინმე ავადაა და სასწრაფო დახმარება სჭირდება,
- ვინმეს პოლიციასთან დაკავშირება სჭირდება.

ტელეფონზე უნდა აკრიფო სულ რაღაც სამი ციფრი – 112, ოპერატორს მოუყვე, რა მოხდა და ჩააწერინო შენი მისამართი. „როცა წამები გადამწყვეტია“ – ასეთია 112-ის დევიზი.

- **რას ნიშნავს „როცა წამები გადამწყვეტია“?**

ტექსტი N4

გამღვიძებელი

- დილით გაღვიძება გიჭირს? ვინ გაღვიძებს? მშობლები? იქნებ და ან ძმა? იქნებ შენი ძაღლი ან კატა?
- რამდენიმე საუკუნის წინ ინგლისში თურმე სპეციალური პროფესიაც არსებობდა – გამღვიძებლის.
- მოდი, ერთად წავიკითხოთ ტექსტი:

პროფესია – გამღვიძებელი

რამდენიმე საუკუნის წინ ინგლისსა და ირლანდიაში გამღვიძებლის პროფესია არსებობდა. სამსახურსა და სკოლაში მაშინაც აგვიანებდა ხალხი, მაღვიძარა კი იშვიათი ფუფუნება იყო, ამიტომ მათ, ვისაც დილით გაღვიძება უჭირდა, გამღვიძებლები აღვიძებდნენ.

ქალაქის გამღვიძებლებს სამუშაო იარაღებიც ჰქონდათ: ზოგიერთი მათგანი ბამბუკის გრძელ მილს იყენებდა, რომლითაც ბარდის მარცვლებს ისროდა, ზოგიც რკინის გრძელი ჯოხით აკაკუნებდა ფანჯრებზე.

გამღვიძებელი თავის პროფესიას გარკვეული ხნის განმავლობაში სწავლობდა. ხომ უნდა გაერკვია, როდის სჭირდებოდათ ადამიანებს გაღვიძება, როგორ შეიძლებოდა მათი გაღვიძება ყველაზე ადვილად და სწრაფად.

გადამზადების მერე კი გამღვიძებელი თავისი მოვალეობის შესრულებას იწყებდა და ამაში ხელფასსაც იღებდა.

რას იტყვი, კარგი პროფესიაა?

აქტივობა ტექსტის გასააზრებლად:

წავიკითხოთ საინფორმაციო ტექსტი

- როგორც ხედავ, ტექსტში სულ ოთხი აბზაცია. დააკვირდი, ზოგიერთი წინადადება შეწეულად წერია, გამოყოფილია. ეს არის აბზაცი.
- დათვალე, რამდენი შეწეული მონაკვეთია ტექსტში.
- მართალია, სწორად დაგითვლია, 4 ასეთი მონაკვეთია.
- ახლა მოძებნე, რომელ აბზაცში წერია, რომელ ქვეყნებში არსებობდა გამღვიძებლის პროფესია.
- რომელ აბზაცშია აღწერილი სამუშაო იარაღები?
- რომელ აბზაცში წერია, როგორ სწავლობდა გამღვიძებელი თავის პროფესიას?
- რომელ აბზაცში წერია, რომ მას ამ საქმისთვის ხელფასსაც უხდიდნენ?
- ნახე, ყველა აბზაცში სხვადასხვა რამე გიამბე, თუმცა საბოლოოდ მაინც ერთ საკითხზე ვლაპარაკობდით.

მოვიფიქროთ:

- სხვა რა შეიძლებოდა ესწავლა გამღვიძებელს?
- სიმღერა? – სიმღერით რომ გაეღვიძებინა?
- ლექსი? – ლექსი რომ ეთქვა ახალგაღვიძებული ადამიანისთვის?
- ამინდის ცნობა? იქნებ ისიც შეეხსენებინა, როგორი ამინდია, თუ წვიმდა, ქოლგა არ უნდა დარჩენოდა შინ, თუ თოვდა – თბილი ქუდი.
- მათემატიკა რაში დასჭირდებოდა?
- ქართული?
- ცეკვა?

კიდევ რა იდეები გაქვს?

ხელოვნება კადრს მიღმა

ირენა მახარაძე

ახალი სასწავლო წლისთვის მზადებაში ხელოვნების გაკვეთილებზე გადაღებულ ფოტომასალას გადავხედე და მონატრებული მოსწავლეების სახეებმა შემახსენეს, რომ წელსაც ყურადღებით უნდა დავაფიქსირო კადრებში მათი შემოქმედების პროცესი.

მე და ჩემს მოსწავლეებს, ასევე ჩვენი გამოფენების დამთვალიერებლებს, ეს კადრები ძალიან კარგად გვადგება ხელოვნებაზე, როგორც ცოცხალ შემოქმედებით პროცესზე, დაკვირვებისთვის და ანალიზისთვის.

ხელოვნების მასწავლებლისთვის ყველაზე ამაღელვებელი და საპასუხისმგებლო მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენაა სკოლაში. წარმტაცი და ყოვლისმომცველი ექსპოზიციის შექმნას საკმაო დრო, კარგი დაგეგმვა სჭირდება, რომ ყველა მოსწავლის შემოქმედების შედეგი თანაბრად და ეფექტურად წარმოვაჩინოთ. მაგრამ ხელოვნების

ხელოვნების მასწავლებლისთვის ყველაზე ამაღელვებელი და საპასუხისმგებლო მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენაა სკოლაში. ექსპოზიციის შექმნას საკმაო დრო და კარგი დაგეგმვა სჭირდება, რომ ყველა მოსწავლის შემოქმედების შედეგი თანაბრად წარმოვაჩინოთ. ხელოვნების სწავლება მხოლოდ საბოლოო შედეგით არ განისაზღვრება. ხელოვნების შექმნის, შემოქმედების პროცესი თანაბრად მნიშვნელოვანია.

მოსწავლეებს განსაკუთრებით უყვართ „კადრს მიღმა სცენები“, სადაც აღბეჭდილია, როგორ ფუსფუსებენ, მეგობარს ეხმარებიან... აკვირდებიან ამ ფოტოებს და იცინიან, დეტალურად იხსენებენ განვლილ აქტივობებს.

სწავლება მხოლოდ საბოლოო შედეგით არ განისაზღვრება. ხელოვნების **შექმნის, შემოქმედების პროცესი თანაბრად მნიშვნელოვანია.**

მოსწავლეები უმეტესად სიხარულითა და ღირსების განცდით ათვალიერებენ სკოლაში გამოფენილ თუ ჩვენი ხელოვნების გაკვეთილების ფეისბუკგვერდზე გამოქვეყნებულ საკუთარ ნამუშევრებს. მაგრამ არიან საკუთარ შესაძლებლობებზე მერყევი წარმოდგენის მქონე ბავშვებიც, ცოტა მორცხვებიც, რომლებსაც წლის დასაწყისში არ სჯერათ, რომ კარგად გამოსდით ხელოვნებასთან შეხება, ან ჯერ კიდევ ჰგონიათ, რომ მაინცდამაინც აკადემიურ ჩარჩოებს უნდა ესადაგებოდეს მათი ნამუშევრები. მერე, როცა ნელ-ნელა ვუახლოვდებით ერთმანეთს, ხვდებიან, რომ ხატვის თუ ძერწვის დროს არ უნდა იფიქრონ საბოლოო შედეგზე, პროცესით უნდა ისიამოვნონ. წლის ბოლოს კი, გამოფენაზე როცა ხედავენ საკუთარ ქმნილებებს, სიამაყით გადმოგვხედავენ ხოლმე დამთვალიერებლებს.

ხელოვნების გაკვეთილების ფეისბუკგვერდი პანდემიის პერიოდში შევქმენით და მას შემდეგ აქტიურად ვიყენებთ სკოლის აუდიტორიისთვის როგორც დასრულებული ნამუშევრების, ისე შემოქმედებითი პროცესის ამსახველი კადრების გასაზიარებლად. მოსწავლეებს განსაკუთრებით უყვართ „კადრს მიღმა სცენები“, სადაც აღბეჭდილია, როგორ ფუსფუსებენ, მეგობარს ეხმარებიან... აკვირდებიან ამ ფოტოებს და იცინიან, დეტალურად იხსენებენ განვლილ აქტივობებს.

მოკლე ვიდეოებზე მეხუთე კლასის ერთ-ერთ პროექტზე მუშაობის მთელი ისტორია გვაქვს შემონახული. ბავშვებმა თავიდან 5 ჯგუფად განაწილებულებმა გადაწყვიტეს მუყაოსა და მეორადი ქაღალდებისგან შენობების მაკეტების გაკეთება და მუშაობის პროცესში ისე შეხმატკბილდნენ, ბოლოს შეერთდნენ და ეს პატარ-პატარა ქაღალდის ნაგებობები გრანდიოზულ ერთიან კომპლექსად გადააქციეს. სწორედ შემოქმედებითი პროცესით ასეთი გატაცება და ერთმანეთის მხარდაჭერა და გაერთიანებაა მთავარი, რის მიღწევასაც ვცდილობ ხელოვნების გაკვეთილებზე.

ვირტუალურ გალერეაში საკმაოდ ვრცელი ფოტო-ვიდეომასალა მოგვიგროვდა – რა თემებზე მუშაობდნენ ბავშვები, ჩანიშნული გვაქვს სასწავლო მიზნები, შთამაგონებელი ხელოვანები და ა.შ. წლის ბოლოს კი ერთად ვქმნით სკოლაში დიდ ექსპოზიციას ან ჩვენი ონლაინ გამოფენისთვის შემაჯამებელ ვიდეოკოლაჟებს.

ჩემმა მოსწავლეებმა იციან, რომ ხატვის თუ ძერწვის პროცესში, მათი ნებართვით, მუშაობის ამსახველ ფოტო-ვიდეომასალას ვიღებ. მაშინაც კი, როცა ბავშვები დისტანციურად მეცადინეობდნენ, ვთხოვდი, შემოქმედების მომენტები ახლო ხედის კადრებით და მოკლე ვიდეოჩანაწერებით თავადვე, როგორც შეძლებდნენ, ისე დაეფიქსირებინათ.

სკოლაში, გაკვეთილზე დატვირთვა ცოტა კი მემატება, გადაღებისას სათანადოდ უნდა ვადევნო თვალყური მოსწავლეების მუშაობის პროცესს, რომ მნიშვნელოვანი დეტალები არ გამომრჩეს და ყველას თანაბრად გავუნაწილო ყურადღება. დღის ბოლოს გადაღებული მასალის დალაგებასაც საკმაო დრო მიაქვს. ჩემმა მერვეკლასელმა მოსწავლეებმა ტელეფონში ფოტოს და ვიდეოს სწრაფად დასამუშავებლად კარგ აპლიკაციებს მიმაგნებინეს. რამდენიმეს დღემდე აქტიურად ვიყენებ. წამებში შემიძლია ფოტოების სასურველ ზომაზე მოჭრა, გამონათება, ფაქტობრივად, ფოტოშოპის მსგავსი ინსტრუმენტები მაქვს ტელეფონში Snapseed-ის აპლიკაციის სახით. ვიდეოს მონტაჟს კი, ისევ და ისევ ჩემი მოსწავლეების რჩევით, Capcut-ის დახმარებით უსწრაფესად ვახერხებ.

ბავშვებიც ნელ-ნელა ითვისებენ შემოქმედებითი პროცესის ხარისხიანად გადაღებას. თავიდან რამდენიმე რჩევა მივეცი, რა უნდა გაითვალისწინონ, რომ საინტერესო მასალა გამოუვიდეთ. გაიგეს, რა მნიშვნელოვანია რაკურსი გადაღებისას, რომ ფოტოზე ჩრდილი არ უნდა ფარავდეს გამოსახულებას, მოჭრილი კადრის ხიბლიც გაიაზრეს და ა.შ. გადაღებული ფოტოების სერიიდან თავად შეუძლიათ შეარჩიონ ერთი ან ორი ფოტო, ყველაზე გასაგებად რაც გადმოსცემს პროცესს, რომ მერე ხელოვნების ვირტუალურ გალერეაში გავაზიაროთ.

ასე შეთანხმებულად ვმუშაობთ, ერთმანეთისგან ვსწავლობთ ხელოვნების გაკვეთილებზე. შემოქმედების პროცესის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა კი ამ ჩვენს გამოცდილებას გვახსენებს,

გვახარებს, გვაფიქრებს, რა გამოუვიდათ კარგად, რა ისწავლეს ახალი, რა შეიძლებოდა უკეთესად გაეკეთებინათ. მეც ყურადღებით ვაკვირდები ამ პროცესებს და მომავალი პროექტებისთვის ვითვალისწინებ კარგსაც და ნაკლსაც.

ახლა, როცა ახალი სასწავლო წლის გამოფენებზე ვფიქრობ, საგულდაგულოდ ვინიშნავ, რომ საეტაპო ნამუშევრებთან ერთად, მოსწავლეების მუშაობის პროცესის ამსახველი კადრები არ გამოგვრჩეს. შემოქმედებითი პროცესის ამსახველი რამდენიმე ფოტოს დამატება ჩვენს ექსპოზიციას უფრო ცოცხალს, დინამიკურს გახდის.

მგონია, რომ ეს კადრები უმალ მიიპყრობს მნახველის თვალს და გულს. ყველამ არ იცის, რა ხდება ხოლმე ხელოვნების ოთახში, როგორ მიმდინარეობს ჩვენი გაკვეთილები. სკოლის გამოფენაზე დამთვალიერებლები ხედავენ დასრულებულ ნახატებს და სკულპტურებს, მეორადი ნივთებით შექმნილ ობიექტებს და ა.შ. და უმეტესწილად მაინც საბოლოო შედეგზე არიან ფოკუსირებულები. ამ შედეგს კი წინ უძღოდა მოზარდების შრომა, მონდომება, ძალისხმევა, კითხვების დასმა, ანალიზი, კვლევა, ექსპერიმენტები, საკმაოდ ვრცელი და აღმოჩენებით სავსე გზა ნამუშევრების დასრულებამდე. ამიტომ მე და ჩემი მოსწავლეები ვცდილობთ, მნახველი ვირტუალურად შემოვახედოთ ხელოვნების ოთახში, ვაჩვენოთ ჩვენი მუშაობის ეთიკა და ხელოვნების შექმნის პროცესი, რომ გამოფენის დამთვალიერებლებმა თავი შემოქმედების **თანამონაწილეებად** იგრძნონ.

https://youtu.be/3AkfQ40clM0

სკოლაში გამართულ ექსპოზიციაზე არაერთხელ მომისმენია ასეთი კომენტარი: „დავიჯერო, ეს მეექვსეკლასელმა თავად დახატა? ნუთუ ეს შესაძლებელია?“ ჩემი პასუხია: დიახ, შესაძლებელია... ვფიქრობ, პროცესის ამსახველი კადრების გაცნობა არის ყველაზე გასაგები და სასარგებლო გზა, ვაჩვენოთ აუდიტორიას, თუ როგორ იქმნება ხელოვნება.

წელს ასეთი კადრები ხელოვნების ოთახშიც უნდა გამოვფინოთ, ერთ კუთხეს მივუჩენთ კედელზე და ხშირად განვაახლებთ, რომ მოსწავლეები დადებითად დაიმუხტონ, გაახსენდეთ, პროექტებზე როგორი ხალისით მუშაობდნენ, ახლები კი შთაგონებით აღივსონ.

მაია მენაბდე

მოზარდები კოსმოსური ოკეანის ნაპირზე

„რა არის ვარსკვლავები? – ეს და სხვა მსგავსი შეკითხვები ისეთივე ბუნებრივია, როგორც ჩვილის ღიმილი“.

კარლ სეიგანი

შეცდომები ყველას მოსდის და არც დიდი იდეების ავტორები არიან ამისგან დაზღვეული. მთავარია, ადამიანს შეეძლოს შეცდომის დანახვა, აღიარება, უკან დახევა და ახალი, სწორი, მართებული გზების ძიება.

„ერთხელ კოსმოსური ოკეანის ნაპირზე კარლ სეიგანთან ერთად აღმოვჩნდი“, – ამ სიტყვებით იწყება ამ წიგნის წინასიტყვაობა და მეც ასე დავიწყებ, რადგან ზუსტად ასეთი შეგრძნება მქონდა წიგნის კითხვისას.

სანამ ეს წიგნი შემხვდებოდა ცხოვრებაში, იმ მოსაწყენ ადამიანებს მივეკუთვნებოდი, რომლებიც კოსმოსის, პლანეტების, ასტრონომებისა და ასტრონავტების ხსენებისას ბუზღუნებენ და ვერ იგებენ, რით ვერ მორჩნენ ადამიანები ცაში ჭვრიტინს და რით ვერ ეტევიან დედამიწაზე. მოსაწყენი რომ ვიყავი ამ ჩემი ფიქრებით, ეგეც „კოსმოსის“ წაკითხვის შემდეგ აღმოვაჩინე, მანამდე არავის უთქვამს. წიგნი კი აღმომაჩენინა ჩემმა ყოფილმა მოსწავლემ, რომელიც მაინცდამაინც კოსმოსით გატაცებული არასოდეს ყოფილა, მაგრამ წიგნით ნამდვილად მოიხიბლა და ნანობდა, ნეტა მეცხრე კლასში წამეკითხაო.

მას შემდეგ შევიტანე კარლ სეიგანის „კოსმოსი“ იმ აუცილებლად წასაკითხ წიგნებს შორის, რომლებსაც მოზარდებს ვურჩევ ან ვჩუქნი ხოლმე.

საოცრება ისაა, რომ მართალია, წიგნი მუდმივად მზარდი და განვითარებადი სამეცნიერო სფეროსთვის საკმაოდ ხანდაზმულია (1980 წელს გამოიცა), მისი გამოსვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ამ სფეროში, რიგი ბუნდოვანი საკითხები ნათელი გახდა, ზოგიერთი კითხვის პასუხი უკვე ნაპოვნია – ის მაინც არ კარგავს პოპულარობას. ამის მიზეზი მხოლოდ ის არაა, რომ ძალიან მარტივი, გასაგები ენითაა ახსნილი ურთულესი მოვლენები; არც ის, რომ უბრალოდ ამბებია საინტერესო. ეს წიგნი არწმუნებს მკითხველს იმაში, რომ რაც უკვე იყო, არსად წასულა და რაც ახლა ხდება, ისიც არსად წავა და მომავალს მიემართება. ყველაფერი კანონზომიერია, შემთხვევით არ უკავშირდება ერთმანეთს და გვაჩვენებს, რომ მეცნიერების ყველა მიღწევა კაცობრიობის განვითარებას ემსახურება მისი გონივრულად და კეთილსინდისიერად გამოყენების შემთხვევაში. არასოდეს, არცერთ წიგნში ასეთი სიმძაფრით არ მიგრძნია, რა ერთიანია სამყარო, როგორი უწყვეტი და ყველა არსებულ ჯაჭვზე მტკიცეა კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპის ურთიერთმიმართება.

ყველა ფურცელზე იგრძნობა, როგორ ცდილობს ავტორი, ის ცოდნა-საუნჯე, რომელიც ასე ძვირფასია, ბოლომდე მიიტანოს მკითხველამდე. ერთი წუთითაც არ ავიწყდება: მიუხედავად იმისა, რომ ძალიან საინტერესო რამეები აქვს მოსაყოლ-ასახსნელი, ვინმესთვის მაინც შეიძლება იქცეს მოსაწყენად. ამიტომ სულ ფხიზლადაა: რუდუნებით არჩევს ეპიგრაფებს, თავების სათაურებს, დასაწყისებს, ღია დასასრულებს, თხრობის მანერას, ქრონოლოგიურ ხაზს... ამ წიგნში ძალიან კარგად ჩანს, როგორ გვეხმარება ერთი კონკრეტული ცოდნა, სამყაროს სხვა დახურული კარიც შევაღოთ. როგორ არის გადაჯაჭვული ერთმანეთზე მეცნიერების სხვადასხვა სფერო და როგორ სჭირდება ამ სფეროთა ურთიერთკავშირი კაცობრიობას განვითარებისთვის.

შეუძლებელია, სტატიაში, თუნდაც ჩამონათვალის სახით,

ჩავატიო ის სამეცნიერო საკითხები, რომლებსაც დაწვრილებით, პროფესიონალურად, მაგრამ ყველასთვის გასაგებად განიხილავს კარლ სეიგანი. მისი მიდგომის წყალობით, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი, მაგრამ ბუნდოვანი მოვლენა ჩემთვის სრულიად ცხადი და გასაგები გახდა. თუმცა გარდა სამეცნიერო ფაქტებისა, წიგნში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ადამიანების განცდებს, ვნებებს, ფიქრებს, ოცნებებს, ემოციებს. ეს ზოგჯერ თავად ავტორს ეხება, ზოგჯერ კი იმ ადამიანებს, რომლებზეც ნაწარმოებში საუბრობს. ბუნებრივადაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული პრაგმატული თუ ფილოსოფიური ფიქრები და ემოციები. მაგალითად, კაცობრიობას არ ასვენებს კითხვა: შეგვიძლია თუ არა, მარსზე გადავცხოვრდეთ საჭიროების შემთხვევაში ან ვაქციოთ ეს პლანეტა ჩვენს დასასვენებელ ადგილად. ამ კითხვებზეც ძალიან საინტერესო პასუხებს იპოვიან მოზარდები წიგნში. თავში „წითელი პლანეტის ბლუზი“ კარლ სეიგანი ისე ემოციურად აღწერს მარსიდან გამოგზავნილი პირველი ფოტოს ნახვას, რომ მკითხველის ინტერესს კიდევ უფრო ზრდის: *„მახსოვს, როგორ შემეკრა სუნთქვა, როცა მარსის ჰორიზონტის ფოტოსურათი პირველად დავინახე. მაშინვე გავიფიქრე, რომ ეს უცხო სამყარო არ არის. ასეთი ადგილები მინახავს კოლორადოში, არიზონაში, ნევადაში. აქ იყო ქვები, ქვიშის ბორცვები და შორეული მაღლობი, ისეთივე ბუნებრივი და*

ჩვეულებრივი, როგორიც დედამიწის ნებისმიერი ადგილის ლანდშაფტი. მარსიც ადგილი იყო. რა თქმა უნდა, ძალიან გამიკვირდებოდა, დიუნებზე მუქ ფერებში ჩაცმული მოგზაური რომ დამენახა, რომელიც თავის ჯორს მიუძღვებოდა, თუმცა, ამავე დროს ასეთი სურათის წარმოსახვა თითქოს მართებულიც კი ჩანდა“.

ამავე თავში აღწერს, რა ფორმით შეიძლება დავუკავშირდეთ დედამიწელები წითელ პლანეტას და ძალიან საინტერესო დასკვნასაც გვთავაზობს, როცა იხსენებს, როგორ ვარაუდობდნენ, რომ მარსზე გადაღებულ ფოტოზე ცოცხალი არსებების მიერ გაყვანილი არხები ჩანდა: *„როგორც ჩანს, ადამიანს თავის მოტყუების დიდი ნიჭი აქვს, როცა საქმეში გრძნობები ერთვება; მით უმეტეს, ისეთი ძლიერი ემოციები, როგორსაც მეზობელ პლანეტაზე გონიერი არსებების ცხოვრების იდეა აღძრავს. ლოუელის ვარაუდი, შესაძლოა, წინასწარმეტყველურიც კი აღმოჩნდეს. მისი დანახული არხები მარსელებმა ააგეს; მაგრამ, თუ პლანეტის ტერაფორმირება მოხერხდება, მაშინ არხებს ის ადამიანები გაიყვანენ, რომლებიც იქ სამუდამოდ დასახლდებიან და მარსს საკუთარ სახლად აქცევენ. მარსელები ჩვენ ვიქნებით“.*

კარლ სეიგანი ემოციურად თავადვე უახლოვდება იმ გარდამტეხ მოვლენებს, რომლებსაც განიხილავს; ცდილობს, მაქსიმალურად ჩართოს ფანტაზია და მაგალითად, წარმოიდგინოს ის დრო, როცა ადამიანმა ცეცხლი იპოვა; აღადგინოს ფიქრები, რომლებითაც შეპყრობილი იქნებოდა მაშინდელი ადამიანი. გთავაზობთ ფრაგმენტს ამ ვრცელი ფიქრებიდან: *„არ ვიცი, ცაში გაფანტული ვარსკვლავები მართლა კოცონებია თუ არა; ან ტყავში გაკეთებული ის ნახვრეტებია თუ არა, საიდანაც ცეცხლი გვიყურებს და გვაკვირდება. ზოგჯერ ერთი ფიქრი მომწონს, ზოგჯერ კი მეორეს ვემხრობი. თუ ვიფიქრე, რომ არანაირი კოცონები და ნახვრეტები არ არსებობს და ვარსკვლავები სულ სხვა რამეა, მერე ამის გაგება ძალიან მიჭირს.*

კისერი მორზე დაასვენე. თავი უკან გადასწიე. ასე მხოლოდ ცას დაინახავ. არანაირი მთები, არც ხეები, არც მონადირეები, არც კოცონი. მხოლოდ ცა. ზოგჯერ მგონია, ზევით, ცაში გადავვარდები. თუ ვარსკვლავები მართლაც კოცონებია, მაშინ ძალიან მინდა, იმ სხვა მონადირე ხალხებს ვესტუმრო, აი, იმათ, მომთაბარეები რომ არიან. ამ დროს ცაში გადავარდნაზე ფიქრი მომწონს. მაგრამ, თუ ვარსკვლავები ტყავში გაჭრილი ნახვრეტებია, მაშინ მათი მეშინია. არ მინდა, ნახვრეტში გავძვრე და იქიდან დიდ ცეცხლში მოვხვდე.

ძალიან მინდა ვიცოდე, რომელი ფიქრია სწორი. არ მომწონს, რომ არ ვიცი“.

მას შემდეგ, როცა აღწერს, როგორ გაჩნდა კოსმოსში მოგზაური რობოტების შექმნის იდეა და რამდენი რამ გავიგეთ კოსმოსის შესახებ „ვოიაჯერ 1-ისა“ და „ვოიაჯერ 2-ის“ დახმარებით, მწერალ-მეცნიერი მკითხველს სთავაზობს რობოტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადმოცემის უცნაურ ფორმას: *„ვოიაჯერს“ რომ ეკიპაჟი ჰყოლოდა, კაპიტანი ყოველდღიურად ხომალდის ჟურნალში ჩანაწერებს აწარმოებდა. „ვოიაჯერ-1-ისა“ და „ვოიაჯერ-2-ის“ მიერ მოთხრობილი ამბების გაერთიანების შემდეგ დაახლოებით ასეთი ტექსტის წაკითხვას შევძლებდით:*

დღე 1-ლი. უსაფრთხოების ზომებისა და ხელსაწყოებზე შფოთვის მიუხედავად, რომლებიც თითქოს გაუმართავი ჩანდა, მაინც წარმატებით ავფრინდით კანავერალის კონცხიდან და დავიწყეთ ხანგრძლივი მოგზაურობა პლანეტებისა და ვარსკვლავებისკენ...“.

ასე აგრძელებს დღეების მიხედვით და მკითხველისთვის კიდევ უფრო ცხადი, ნათელი და ემოციური ხდება, რამდენად მნიშვნელოვანი ინფორმაციები მიიღო კაცობრიობამ 1977 წელს გაშვებული ამ კოსმოსური ზონდებისაგან (ასე უწოდებენ ზოგადად), რომლებიც დღემდე ფუნქციონირებენ, ბოლომდე იქნებიან ადამიანების სამსახურში და არასოდეს დაბრუნდებიან უკან.

ეს წიგნი გამოირჩევა იმითაც, რომ ავტორი ამსხვრევს მეცნიერებასთან დაკავშირებულ იმ სტერეოტიპებს, რომლებიც მყარადაა ფესვგადგმული მოზარდის გონებაში (ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ხშირად არც ზრდასრულები გამოვიყურებით სტერეოტიპთა მძლეველი სუპერგმირებივით). მეცნიერებისადმი ადამიანთა დამოკიდებულება ძალიან კარგად ახსნა კარლ სეიგანმა ერთი ძალიან საინტერესო და თან სახალისო ამბის თხრობისას:

„კომეტებთან დაკავშირებული გაუგებრობები დღემდე გრძელდება. 1957 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზე ვსწავლობდი და იერსკის ობსერვატორიაში ვმუშაობდი. ერთ ღამესაც იქ მარტო ვიყავი და მესმოდა, როგორ განუწყვეტლივ რეკავდა ტელეფონი. როცა, საბოლოოდ, ვუპასუხე, კარგად შეზარხოშებულმა მამაკაცმა მთხოვა:

– აშტრონომი დამალაპარაკეთ.

– რით შემიძლია დაგეხმაროთ?

– იცით, უილმეტიდან გიღეკავთ, ბაღში დიდი წვეულება გვაქვს და ცაში რაღაც მოჩანს. საინტერესო ისაა, რომ, თუ პირდაპირ შეხედავთ, ქრება, მაგრამ თუ არ უყურებთ, ისევ იქაა.

თვალის ბადურის ყველაზე მგრძნობიარე ადგილი მხედველობის არეალის ცენტრში არ მდებარეობს. ადამიანს შეუძლია, ძალიან მკრთალი ვარსკვლავები და სხვა ციური სხეულები დაინახოს, თუ მათ თვალს ოდნავ მოაშორებს. ვიცოდი, რომ ხსენებულ მომენტში ჩვენს ცაზე იმ დროისთვის ახლად აღმოჩენილი, თვალისთვის თითქმის უხილავი კომეტა „არენდ-როლანდი“ მოძრაობდა. ამიტომ იმ კაცს ვუთხარი, რომ, სავარაუდოდ, კომეტას ხედავდა. ხანგრძლივ დუმილს შემდეგი კითხვა მოჰყვა:

– კომეტა რაღაა?

– კომეტა დიდი გუნდაა, ორიოდე კილომეტრის სიგანის. ამას კიდევ უფრო ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა, შემდეგ კი თანამოსაუბრის ბრძანება გავიგონე:

– ნამდვილი აშტრონომი დამალაპარაკეთ“.

კიდევ ერთ საკითხს გამოვარჩევდი, რომელიც მეცნიერებას ეხება და რომლის გააზრება, გასიგრძეგანება, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესია, მოზარდობის ასაკიდან დაიწყოს ადამიანმა – შეცდომები ყველას მოსდის და არც დიდი იდეების ავტორები არიან ამისგან დაზღვეული. მთავარია, ადამიანს შეეძლოს შეცდომის დანახვა, აღიარება, უკან დახევა და ახალი, სწორი, მართებული გზების ძიება: *„როგორც მეცნიერთა, ისე არამეცნიერთა მიერ წამოყენებული ბევრი ჰიპოთეზა მცდარია. თუმცა, მეცნიერება შეცდომების გასწორებას ეფუძნება. იმისთვის, რომ ახალი იდეა აღიარონ, მან დამამტკიცებელი ფაქტების შემოწმების უმკაცრეს სტანდარტებს უნდა გაუძლოს... მეცნიერება ემყარება მოსაზრებას, რომ ნებისმიერი ჰიპოთეზა, რაგინდ უცნაურადაც უნდა გვეჩვენებოდეს, ობიექტურ განხილვასა და შეფასებას იმსახურებს, თანაც, რაიმენაირი წინასწარი განწყობის გარეშე. უხერხულობის გამომწვევი იდეების უგულებელყოფა შეიძლება აუცილებლობად მიიჩნეოდეს რელიგიასა და პოლიტიკაში, მაგრამ ცოდნისკენ მიმავალ გზაზე ეს დაუშვებელია. ახალი მოსაზრებებისადმი ასეთ დამოკიდებულებას მეცნიერების მიზნებთან საერთო არაფერი აქვს. შეუძლებელია წინასწარ იმის ცოდნა, თუ ვინ აღმოაჩენს ფუნდამენტურად მნიშვნელოვან ახალ კანონებსა თუ ფაქტებს“.*

კარლ სეიგანი, ერთი მხრივ, პრაქტიკული მაგალითებით ხსნის, რა საჭიროა მეცნიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო, მეორე მხრივ, გვიზიარებს სხვა მოაზროვნეების შეხედულებებსაც, რათა კიდევ უფრო გაამყაროს თავისი დაკვირვების შედეგები. მაგალითად, მოჰყავს ნაწყვეტი არისტოტელეს „პოეტიკიდან“:

„[თალესს] მუდმივად საყვედურობდნენ სიღარიბის გამო და ასე მიანიშნებდნენ, რომ ფილოსოფიას არანაირი სარგებელი არ მოაქვს. გადმოცემის თანახმად, თალესმა ჯერ კიდევ ზამთარში იცოდა [ცაზე დაკვირვებების შედეგად], რომ მომდევნო წელს ზეთისხილის მოსავალი უხვი იქნებოდა; ამიტომ თავისი ცოტაოდენი ფული დააბანდა ქიოსისა და მილეტის ზეთსახდელებში, რომლებიც ძალიან იაფად დაიქირავა, რადგან მოცილე არავინ ჰყავდა. როცა მოსავლის აღების დრო მოვიდა და ყველას ზეთსახდელი დასჭირდა, თალესმა თავის მომსახურებას მაღალი ფასი დაადო და საკმაო ფულიც იშოვა. ამით მან მსოფლიოს აჩვენა, რომ, ფილოსოფოსებს, თუ თავად მოისურვებენ, გამდიდრება შეუძლიათ, მაგრამ მათ სულ სხვაგვარი ამბიციები ამოძრავებთ“, – ამ მონაკვეთში კარგად ჩანს მეცნიერული ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა, ის, რომ ეს ცოდნა ყოველდღიური ცხოვრებისგან განყენებული სულაც არაა და ისიც, რომ არ არის აუცილებელი, მეცნიერული ინტერესი ყოფით სარგებლობამდე დაიყვანებოდეს.

კარლ სეიგანი, ერთი მხრივ, პრაქტიკული მაგალითებით ხსნის, რა საჭიროა მეცნიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხოლო, მეორე მხრივ, გვიზიარებს სხვა მოაზროვნეების შეხედულებებსაც, რათა კიდევ უფრო გაამყაროს თავისი დაკვირვების შედეგები.

მწერალი ციცერონსაც ახსენებს თავის ნაწარმოებში და ვფიქრობ, სწორედ მოზარდებისთვის იქნება განსაკუთრებით საინტერესო ამ სიტყვების წაკითხვა: *„ციცერონი წერდა: კამათისას უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა ავტორიტეტის წონა, არამედ არგუმენტების სიძლიერე. მართლაც, იმ ადამიანის ავტორიტეტი, ვინც ასწავლის, ხშირად ნამდვილი დაბრკოლებაა მათთვის, ვისაც სწავლა სურს; ეს უკანასკნელნი დამოუკიდებელ აზროვნებაზე თანდათან უარს ამბობენ და უდავო ჭეშმარიტებად აღიქვამენ იმას, რასაც კონკრეტული კითხვის პასუხად მასწავლებელი სთავაზობს. ნამდვილად არ ვაპირებ მოვიწონო პრაქტიკა, რომელსაც, ტრადიციულად, პითაგორას შეგირდებს მიაწერენ; კითხვაზე, თუ რა უდევს საფუძვლად მათ მიერ დებატებში წამოყენებულ მოსაზრებას, როგორც წესი, ისინი პასუხობენ: „ოსტატმა ასე ბრძანა“. „ოსტატი“, ცხადია, პითაგორაა. მათთვის წინასწარ მიწოდებული მზა მოსაზრება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მისი ავტორის სახელი დამოუკიდებელ აზროვნებასა და შეპასუხებას სრულიად გამორიცხავდა“.* მოზარდები, როგორც წესი, ეძებენ დამოუკიდებლობას, მაგრამ ამასთან ერთად ხშირად ექცევიან სწორედ ავტორიტეტების გავლენის ქვეშ და ამიტომ ადვილად მოწყვლადებიც არიან. ზემოთ მოყვანილი სიტყვების გათავისება, ჩემი აზრით, მოზარდს შთააგონებს, რამდენად მნიშვნელოვანია, კრიტიკული აზროვნება შეინარჩუნოს ნებისმიერ სიტუაციაში, საჭირო დროს დააღწიოს თავი გავლენას და მტკიცედ დაადგეს არჩეულ გზას.

თავის წიგნში სეიგანი საუბრობს არაერთ დიდ მეცნიერზე, რომელთა აღმოჩენებმაც განსაზღვრა კაცობრიობის განვითარების გზა. საინტერესოა, რომ ის გვიყვება არა მხოლოდ კონკრეტულ ფაქტზე, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავად ადამიანზე – როგორ გარემოში ტრიალებდა ბავშვობასა თუ ზრდასრულობაში, რამ განაპირობა მისი ასეთ ადამიანად ჩამოყალიბება, რა განცდები და ვნებები ამოძრავებდა, რამ აღუძრა ფიქრები თუ კონკრეტული ფიქრი. აქ ორიოდე ნაწყვეტს მოვიყვან:

„XIX საუკუნის 90-იან წლებში ტოსკანის მინდვრებში, პავიასკენ მიმავალ გზაზე რომ გაგესეირნათ, სკოლის ფორმაში ჩაცმული ერთი გრძელთმიანი ყმაწვილი შემოგხვდებოდათ. როცა გერმანიაში ცხოვრობდა, ამ ბიჭს მასწავლებლებმა უთხრეს, რომ მისგან არაფერი გამოვიდოდა; რომ მის მიერ დასმული შეკითხვები კლასში აურზაურს იწვევდა და ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, თუ იგი სკოლიდან წავიდოდა. მანაც პედაგოგებს დაუჯერა და გადასახლდა ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც შეეძლო, ისეთ საკითხებზე ეფიქრა, რომლებიც პრუსიულ, მკაცრ დისციპლინას დაქვემდებარებულ სკოლაში თავსმოხვეული თემებისგან ძალიან განსხვავდებოდა. ყმაწვილს ალბერტ აინშტაინი ერქვა, მისმა აზრებმა კი მალე მსოფლიო შეცვალა“.

„სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე იგი წერდა: „არ ვიცი, როგორ ვჩანავარ სამყაროსთვის. მე კი საკუთარ თავში მხოლოდ ერთ პატარა ბიჭს ვხედავ, რომელიც ზღვის ნაპირზე თამაშობს, ერთობა და დროგამოშვებით სხვებზე უფრო გლუვ ან ლამაზ კენჭს პოულობს, მის წინ კი ჭეშმარიტების დიდი და სრულიად უცნობი ოკეანეა გადაშლილი“.

და ბოლოს, ეს არის წიგნი, რომელიც ადამიანებს მართლა შეაყვარებს დედამიწას. გააზრებინებს, რომ თავად არიან პასუხისმგებელნი ამ პლანეტის არსებობაზე, ბევრი რამის შეცვლა და გამოსწორებაა შესაძლებელი და ევალებათ კიდეც:

„რამდენიმე მილიონი წლის წინ, როცა დედამიწაზე პირველი ადამიანები გაჩნდნენ, ეს პლანეტა უკვე „ასაკოვანი“ იყო – „სიყმაწვილის ხანის“ კატასტროფებისა და კატაკლიზმებიდან 4,6 მილიონი წელი აშორებდა. მაგრამ ჩვენ, ადამიანები, პლანეტაზე ზეგავლენის ახალ და, შესაძლოა, გადამწყვეტ ფენომენს წარმოვადგენთ. ინტელექტი და ტექნოლოგიები კლიმატზე ზემოქმედების საშუალებას გვაძლევს. როგორ გამოვიყენებთ ამ ძალას? მზად ვართ თუ არა, ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებსაც მთელი კაცობრიობის ბედის განსაზღვრა შეუძლია, გულგრილობა და თვითკმაყოფილება გამოვავლინოთ? ნუთუ ხანმოკლე სარგებელს ვამჯობინებთ დედამიწის კეთილდღეობას? ან იქნებ უფრო შორსმჭვრეტელები გავხდებით, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალზე დავფიქრდებით, კარგად შევისწავლით და დავიცავთ მშობლიურ პლანეტას? დედამიწა პატარა, მგრძნობიარე სამყაროა. მას გაფრთხილება სჭირდება“.

თემურ სუყაშვილი

როგორ შევქმნათ დავალებები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით

მსოფლიო დიდი ცვლილებების პროცესშია. ტექნოლოგიური მიღწევები ელვის სისწრაფით იკიდებს ფეხს ჩვენს ყოველდღიურობაში. ხელოვნური ინტელექტი წარმატებული განათლების სისტემის მქონე ქვეყნებში სერიოზული დისკუსიის საგანია. აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა იმის შესახებ, როგორ შეიძლება ინტეგრირდეს განათლების სხვადასხვა საფეხურზე ხელოვნური ინტელექტი და მისი შესაძლებლობები. ერთი რამ ცხადია – AI-ს გამოჩენამ მთლიანად შეცვალა ჩვენი ცხოვრება. ის, რასაც წინათ საათები სჭირდებოდა, ახლა შეიძლება წამებში გაკეთდეს.

ბოლო ერთი თვეა, ვსწავლობ ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა პლატფორმას. ჩემი დაკვირვების ობიექტია მათი შესაძლებლობები საგანმანათლებლო მიმართულებით. ამ სტატიაში გაგიზიარებთ დავალებების, ტესტების, სიტუაციური ამოცანების, მაგალითების, სცენარების შექმნის პრაქტიკას პლატფორმების Claude AI და Chat GPT გამოყენებით.

სიტუაციური ამოცანებისა და დილემების შექმნა

ხელოვნური ინტელექტი განსაკუთრებით კარგია დილემებისა და სიტუაციური ამოცანების შექმნის თვალსაზრისით. ჩემი დაკვირვებით, ყველაზე ხარისხიან პროდუქტს სწორედ ამ მიმართულებით ქმნის.

როდესაც ვგეგმავდი პირველ სამუშაო კვირას, ადამიანის უფლებების განვითარების ძირითადი ეტაპების გასახსენებლად, ვთხოვე, შეექმნა ორი სიტუაციური ამოცანა შესაბამისი კითხვებით. ბრძანება: გთხოვ, მოიფიქრე ორი მაგალითი, სადაც პირველში ირღვევა მოქალაქის სამოქალაქო, ხოლო მეორეში – სოციალურ-ეკონომიკური უფლებები. ბოლოს დასვი ოთხი საგაზროვნო კითხვა.

Claude AI-მ რამდენიმე წამში შემდეგი სიტუაცია მოიფიქრა:

1. სამოქალაქო უფლების დარღვევის ქეისი:

ლუკა არის 18 წლის ახალგაზრდა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სამოქალაქო აქტივიზმში. მან გადაწყვიტა მშვიდობიანი დემონსტრაციის ორგანიზება ქალაქის ცენტრში გარემოსდაცვით საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ მან წინასწარ შეატყობინა ხელისუფლებას დემონსტრაციის შესახებ და მიიღო ნებართვა, პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა მშვიდობიანი შეკრება, დაკავა ლუკა და რამდენიმე მონაწილე. დაკავებისას მათ არ განუმარტეს უფლებები და არ მისცეს ადვოკატთან დაკავშირების საშუალება.

2. სოციალურ-ეკონომიკური უფლების დარღვევის ქეისი:

ნინო არის 45 წლის მარტოხელა დედა, რომელსაც ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე 10 წლის შვილი. ნინო მუშაობს დაბალანაზღაურებად სამსახურში და უჭირს შვილისთვის სათანადო განათლების მიცემა. მან მიმართა ადგილობრივ სკოლას შვილის ჩარიცხვის თხოვნით, მაგრამ სკოლამ უარი განაცხადა მოსწავლის მიღებაზე, რადგან არ აქვს შესაბამისი რესურსები და არ ჰყავს კვალიფიციური პერსონალი სპეციალური

მსოფლიო დიდი ცვლილებების პროცესშია. ტექნოლოგიური მიღწევები ელვის სისწრაფით იკიდებს ფეხს ჩვენს ყოველდღიურობაში. ხელოვნური ინტელექტი წარმატებული განათლების სისტემის მქონე ქვეყნებში სერიოზული დისკუსიის საგანია.

საჭიროებების მქონე ბავშვებთან სამუშაოდ. ნინომ დახმარებისთვის მიმართა განათლების სამინისტროს, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

- როგორ შეიძლება დაბალანსდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროება და მოქალაქეთა მშვიდობიანი შეკრების უფლება? რა მექანიზმები უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ლუკას შემთხვევის მსგავსი სიტუაციები?
- რა გავლენას ახდენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე გრძელვადიან პერსპექტივაში? როგორ შეიძლება მოაგვაროს ეს პრობლემა სახელმწიფომ?
- რა როლი აკისრია სამოქალაქო საზოგადოებას (არასამთავრობო ორგანიზაციებს, აქტივისტებს) ადამიანის უფლებების დაცვაში? როგორ შეუძლია მას, დაეხმაროს ლუკას და ნინოს თავიანთი უფლებების დაცვაში?
- როგორ უკავშირდება ერთმანეთს სამოქალაქო და სოციალურ-ეკონომიკური უფლებები? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ერთი ტიპის უფლების დარღვევა გავლენას ახდენს მეორეზე, და თუ კი – როგორ?

Chat GPT-ს მივეცი ასეთი ბრძანება:

მე-9 კლასში შევისწავლეთ ადამიანის უფლებები. გთხოვ, შექმენი მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი და მიეცი მას ცხრილის სახე. ამავე საკითხზე დააგენერირე ათი დახურულდაბოლოებიანი ტესტი ოთხი სავარაუდო პასუხით.

რამდენიმე წამში ხელოვნურმა ინტელექტმა შემდეგი სახის ცხრილი და ტესტები შექმნა:

1. ჩამოთვლილთაგან რომელი დოკუმენტია მიღებული XX საუკუნეში?
   ა. ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია;
   ბ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
   გ. ემანსიპაციის პროკლამაცია;
   დ. პეტიცია უფლებათა შესახებ.
2. უფლებათა რომელ კატეგორიას მიეკუთვნება სიტყვის თავისუფლება?
   ა. სოციალური უფლება;
   ბ. სამოქალაქო უფლება;
   გ. კულტურული უფლება;
   დ. ეკონომიკური უფლება.

Claude AI-ს მივეცი შემდეგი ტიპის ბრძანება: მე-11 კლასში ვასწავლი მეწარმეობას. პირველი თემის სათაურია: „რა არის მეწარმეობა?“ ქვესათაურებია:

- ვინ არის მეწარმე?
- რა არის საჭირო წარმატებული მეწარმეობისთვის?
- ინოვაციები და სტარტაპები.

გთხოვ, შექმენი მოსწავლის თვითშეფასების მარტივი რუბრიკა.

მეწარმეობის თვითშეფასების რუბრიკა

ინსტრუქცია: წაიკითხეთ თითოეული დებულება და შეაფასეთ საკუთარი თავი 1-დან 4-მდე სკალაზე: 1 – საჭიროებს გაუმჯობესებას, 2 – დამაკმაყოფილებელი, 3 – კარგი, 4 – ძალიან კარგი

კითხვა	სრულიად არ ვეთანხმები (1)	ნაწილობრივ არ ვეთანხმები (2)	ნაწილობრივ ვეთანხმები (3)	ვეთანხმები (4)	სრულიად ვეთანხმები (5)
1. მესმის, რას ნიშნავს ადამიანის უფლებები.					
2. შემიძლია ჩამოვთვალო ადამიანის უფლებები.					
3. შემიძლია განვმარტო განსხვავება უფლებებსა და პასუხისმგებლობებს შორის.					

1. **რა არის მეწარმეობა? ვინ არის მეწარმე?**

კრიტერიუმი	1	2	3	4
შემიძლია, განვმარტო მეწარმეობის ცნება;				
შემიძლია, აღვწერო მეწარმის ძირითადი მახასიათებლები;				
შემიძლია, მოვიყვანო რეალური მაგალითები წარმატებული მეწარმეებისა.				

2. **რა არის საჭირო წარმატებული მეწარმეობისთვის?**

კრიტერიუმი	1	2	3	4
შემიძლია, ჩამოვთვალო წარმატებული მეწარმეობისთვის საჭირო უნარები;				
შემიძლია, ავხსნა, რატომ არის მნიშვნელოვანი რისკების მართვა მეწარმეობაში;				
შემიძლია, განვასხვაო წარმატებული და წარუმატებელი ბიზნესსტრატეგიები.				

ფოტორეესურსის გამოყენება – ისტორია

2024-2025 სასწავლო წლის დაწყებამდე მარნეულის N2 და N5 საჯარო სკოლების მასწავლებლებთან ჩავატარე ორი სამუშაო შეხვედრა. შეხვედრებზე განვიხილეთ Claude AI პლატფორმის სასწავლო პროცესში გამოყენების გზები.

კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის დროს გადავუღეთ ფოტო ისტორიის წიგნში მოცემულ პოლტავის ბრძოლის სცენას და Claude-ს ვთხოვეთ, შეედგინა მცირე საინფორმაციო ტექსტი და დაესვა სამი საზროვნო კითხვა ბრძოლის მნიშვნელობაზე. ხელოვნურმა ინტელექტმა გვიპასუხა:

„პოლტავის ბრძოლა 1709 წლის 8 ივლისს გაიმართა და დიდი ჩრდილოეთის ომის ერთ-ერთი გადამწყვეტი შეტაკება იყო. ეს ბრძოლა რუსეთის იმპერიის აღმასვლის მნიშვნელოვან მომენტად ითვლება. პეტრე დიდის მეთაურობით რუსეთის არმიამ დაამარცხა შვედეთის მეფე კარლ XII-ის ჯარები, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა ბალანსი ჩრდილოეთ ევროპაში.

ამ გამარჯვებამ რუსეთს საშუალება მისცა, გაეფართოებინა თავისი გავლენა ბალტიისპირეთში და დაემკვიდრებინა თავი, როგორც ევროპის ერთ-ერთ წამყვან ძალას. შვედეთისთვის კი ეს მარცხი დიდი იმპერიის დასასრულის დასაწყისი აღმოჩნდა.

ბრძოლამ ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურ ლანდშაფტზე, განსაკუთრებით – პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობაზე, რომელიც ჩართული იყო ამ კონფლიქტში.

საზროვნო კითხვები პოლტავის ბრძოლის მნიშვნელობაზე:

1. როგორ შეცვალა პოლტავის ბრძოლის შედეგმა რუსეთის როლი ევროპულ პოლიტიკაში და რა გრძელვადიანი შედეგები მოჰყვა ამას მომდევნო საუკუნეებში?
2. რა გავლენა მოახდინა ამ ბრძოლის შედეგმა ბალტიისპირეთის ქვეყნების განვითარებაზე და როგორ შეიცვალა რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობა?

ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენება გვიმარტივებს საქმეს, გვეხმარება დროისა და ენერგიის დაზოგვაში. ვფიქრობ, სასკოლო პრაქტიკაში მისი დანერგვით მოსწავლეები მიიღებენ მრავალფეროვან რესურსებს, რაც აღუძრავს მათ ინტერესს და გაზრდის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

3. რამდენად განსაზღვრა პოლტავის ბრძოლამ რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური სტრატეგია მომავალში და როგორ აისახა ეს ქვეყნის შემდგომ ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე?“

ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები უსაზღვროა. მას შეუძლია სახელმძღვანელოში მოცემული თეორიული მასალისთვის გადაღებული ფოტოების წაკითხვა და ჩვენთვის სასურველი ოპერაციის შესრულება. მაგალითად:

მოთხრობებისა და ზღაპრების შედგენა

ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია, თქვენთვის სასურველი ფოტოს მიხედვით დაგიწეროთ პატარა მოთხრობა ან ზღაპარი. ამასთან ერთად, შეგიძლიათ მიაწოდოთ სიტუაციის განვითარების თქვენეული ვერსია და სთხოვოთ, ამის მიხედვით დაწეროს ამბავი.

ქვემოთ მოცემული სურათი დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოდანაა. სამუშაო შეხვედრაზე გადავიღეთ მობილური ტელეფონით ფოტო და ხელოვნურ ინტელექტს ვთხოვეთ:

„გთხოვ, მოცემული ნახატის მიხედვით დაწერე ათწინადადებიანი მოთხრობა. მოთხრობის ბოლოს დასვი სამი სააზროვნო კითხვა“.

„ერთ მშვენიერ დღეს ტყეში სეირნობდა ორი მეგობარი – დიდი მელია და პატარა მელია. დიდი მელია წითელ კაბაში იყო გამოწყობილი, ხოლო პატარა მელია მწვანე კაბით დაიარებოდა. ისინი მხიარულად საუბრობდნენ და იცინოდნენ, როცა უეცრად შეამჩნიეს, რომ ტყის ბილიკზე უამრავი სოკო ამოსულიყო. დიდმა მელიამ გაოცებით შეხედა პატარას და უთხრა: „შეხედე, რამდენი საჭმელია!“ პატარა მელია კი ფრთხილად მიუახლოვდა სოკოებს და დაკვირვებით დაიწყო მათი თვალიერება. დიდი მელია მოუთმენლად ელოდა, რომ სოკოების კრეფა დაეწყოთ, მაგრამ პატარამ გააფრთხილა: „ფრთხილად, ზოგიერთი მათგანი შეიძლება შხამიანი იყოს“. დიდმა მელიამ გაიღიმა და უთხრა: „მართალი ხარ, მოდი, ჯერ კარგად შევისწავლოთ, რომელი სოკოა საჭმელად ვარგისი“.

ასე გადაწყვიტეს მეგობრებმა, რომ ჯერ სოკოების გარჩევა ესწავლათ და მხოლოდ ამის შემდეგ დაეწყოთ მათი შეგროვება. ბოლოს ორივე მელია ბედნიერი იყო, რომ ერთად შეძლეს სწორი გადაწყვეტილების მიღება და უსაფრთხოდ გააგრძელეს სასიამოვნო სეირნობა ტყეში.

სააზროვნო კითხვები:



1. *რატომ არის მნიშვნელოვანი სიფრთხილის გამოჩენა უცნობი საკვების მიღებამდე?*
2. *როგორ შეიძლება დაგვეხმაროს მეგობრების რჩევები მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას?*
3. *რა შეიძლება მოჰყვეს იმპულსურ, დაუფიქრებელ გადაწყვეტილებებს და როგორ ავიცილოთ ისინი თავიდან?“*

ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია შექმნას: ცხრილები, დიაგრამები, მოსწავლის თვითრეფლექსიის მატრიცები, გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკები, ტესტები, დილემები და ა.შ. მნიშვნელოვანია, სწორად ჩამოვაყალიბოთ ბრძანება და მივაწოდოთ მას დეტალები. ამასთან ერთად, აუცილებელია, ყურადღებით გავეცნოთ ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილ პროდუქტს, შევიტანოთ მასში ცვლილებები. ხშირად AI-ს მიერ შექმნილი რესურსი რთული გასაგებია, ან მასში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები. საბოლოო გადაწყვეტილებას ჩვენ, მასწავლებლები ვიღებთ.

რჩევები სასწავლო რესურსის შექმნისას:

ენდეთ, მაგრამ შეამოწმეთ

მოერიდეთ ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი რესურსის პირდაპირ მოსწავლეებთან მიტანას. ყურადღებით დაამუშავეთ შექმნილი პროდუქტი. ხშირად AI აწყდება ენობრივ ბარიერს, იყენებს რთულ ტერმინებს და შეცდომებსაც უშვებს.

მიეცით მკაფიო ინსტრუქცია

ხელოვნურმა ინტელექტმა ზუსტად არ იცის, რა გინდათ თქვენ. რაც უფრო მეტად დაუკონკრეტებთ, მით უფრო კმაყოფილი დარჩებით.

გამოიყენეთ ჩასწორების ფუნქცია

თუ პირველადი ბრძანებით ვერ მიიღეთ სასურველი პასუხი, გამოიყენეთ ჩასწორების ფუნქცია, დაუზუსტეთ ბრძანება და სცადეთ ხელახლა.

შესთავაზეთ დამატებითი ტექსტები/ფოტოები

გამართული რესურსის მისაღებად სასაუბრო ველში ან დოკუმენტის მიმაგრების ფუნქციით მიაწოდეთ ტექსტი/ნახატი და ა.შ. დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე AI ზუსტად იმაზე შეგიდგენთ რესურსს, რაზეც გჭირდებათ.

ხელოვნური ინტელექტის ეთიკური გამოყენება გვიმარტივებს საქმეს, გვეხმარება დროისა და ენერგიის დაზოგვაში. ვფიქრობ, სასკოლო პრაქტიკაში მისი დანერგვით მოსწავლეები მიიღებენ მრავალფეროვან რესურსებს, რაც აღუძრავს მათ ინტერესს და გაზრდის სასწავლო პროცესში ჩართულობას.



ლელა კოტორაშვილი

სიტყვის ბარათები – უკუკავშირი საკლასო ჩანაწერებთან

ამ სტატიაში საშინაო დავალების რვეულების მხოლოდ ერთ კომპონენტზე გავამახვილებ ყურადღებას, კერძოდ, საკლასო სამუშაოს ერთ-ერთ ფორმაზე – ახალი სიტყვების შესწავლისას გაკეთებულ ჩანაწერებზე.

სიტყვის ბარათების დამზადების იდეა ამერიკიდან ჩამოტანილი მეორეული სათამაშოების მაღაზიაში ჩემი შვილებისთვის შეძენილმა სამაგიდო თამაშმა შთამაგონა.

მუყაოს კოლოფში ჩალაგებულია სხვადასხვა თემის მიხედვით აკინძული ბარათები, რომელთა ერთ მხარეს დატანილია სიტყვის გამომსახველი ფოტო, მეორეზე კი – განმარტება ლექსიკონიდან და ბარათზე გამოსახული სიტყვის გამოყენებით შედგენილი წინადადება. სიტყვის ბარათების დანიშნულებაა: ბავშვმა სიტყვა მარტივად წაიკითხოს, ვიზუალურად დაიმახსოვროს, განმარტებას გაეცნოს და წინადადებას დააკვირდეს. თამაშის პრინციპიც მარტივია: ვეუბნებით სიტყვას და ბავშვი განმარტებას ასახელებს ან პირიქით – განმარტების მიხედვით ხვდება გამოსაცნობ სიტყვას.

First grade vocabulary photo cards – ასე ჰქვია სიტყვის ბარათების კრებულს, რომელმაც სიტყვის რუკის სქემა და ინსტრუქცია გამახსენა. კარგი ხარისხის, მყარი ბარათების თვალიერებისას ვინატრე, ქართულ ენაზეც გვქონოდა მსგავსი თემატური სამაგიდო თამაში.

ამ ფიქრებმა გამახსენა მეშვიდეკლასელების საშინაო დავალების რვეულები, რომელთა შესახებ სტატიაც დავწერე. საშინაო დავალებების რვეულებზე მუშაობა ერთგვარ კვლევად იქცა და ფართო ჭრილში შემაძლებინა ჩემი პრაქტიკული მუშაობის დანახვა.

ახლა უკვე მერვე კლასში მყოფი მოსწავლეების რვეულებმა დამაფიქრა, ისეთი რა შეიძლება შემეთავაზებინა მათთვის, რაც მეშვიდე კლასში გაწეული შრომის პასუხად, ერთგვარ უკუკავშირად, გამომადგებოდა. ამგვარად, ფიქრებმა სიტყვის ბარათების დამზადების იდეამდე მიმიყვანა.

ამ სტატიაში საშინაო დავალების რვეულების მხოლოდ ერთ კომპონენტზე გავამახვილებ ყურადღებას, კერძოდ, საკლასო სამუშაოს ერთ-ერთ ფორმაზე – ახალი სიტყვების შესწავლისას გაკეთებულ ჩანაწერებზე.

კლასის ყველა მოსწავლეს (თუკი არ აქვს გაცდენილი სკოლა) რვეულში ჩანიშნული აქვს ახალი სიტყვების შესახებ დაფაზე გაკეთებული ჩანაწერები.

ამჯერად შევარჩიე ორი ტექსტი: „თავფარავნელი ჭაბუკი“ და „ეთერიანი“. გადავწყვიტე, გასულ წელს ამ ტექსტების შესწავლისას კლასში ჩანიშნული სიტყვებით ინგლისურენოვანი სამაგიდო თამაშის მსგავსად ბარათები დამემზადებინა.

ახალი ლექსიკური ერთეულების ახსნა-განმარტების გარეშე წარმოუდგენელია ტექსტის გაგება-გააზრება. სწორედ ამიტომ, დიდ ყურადღებას ვუთმობ ლექსიკურ მარაგზე მუშაობას ყოველი ტექსტის სწავლებისას. ვკითხულობთ ლექსს, ზღაპარსა თუ მოთხრობას, დაფაზე ვწერთ უცხო სიტყვებს, შემდეგ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვეძებთ განმარტებას და დაფაზე/რვეულებში ვინიშნავთ. განსაკუთრებით გვიყვარს მცენარეების, ფრინველების, ხეების, თევზების გასწვრივ აღმოჩენილი ლათინური სახელწოდებები.

როგორც წესი, რვეულში ჩანიშნული სიტყვები რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ ბავშვებს ავიწყდებათ და სწორედ მათი ცოდნის გააქტიურებისთვის გამოვიყენებ ჩემ მიერ დამზადებულ ბარათებს, რომლებიც ასე გამოიყურება:

ახალი ლექსიკური ერთეულების ახსნა-განმარტების გარეშე წარმოუდგენელია ტექსტის გაგება-გააზრება. სწორედ ამიტომ, დიდ ყურადღებას ვუთმობ ლექსიკურ მარაგზე მუშაობას ყოველი ტექსტის სწავლებისას.

1. **ბარათის ერთ მხარეს სიტყვის განმარტება და წინადადება დავწერე, ასევე, დავხატე სიტყვაც:**



2. **ბარათის მეორე მხარეს ნახატთან ერთად წერია სიტყვა:**



3. **ინგლისური სიტყვების მიხედვით აკინძული სამაგიდო თამაში:**

4. **მეშვიდეკლასელის საკლასო ჩანაწერი, რომლის მიხედვით სიტყვის ბარათები დავამზადე:**



როგორც უკვე ვახსენე, მოსწავლეების საკლასო ჩანაწერებიდან ამოვიწერე სიტყვები, რომლებზეც გარკვეულ დროს კლასში ვიმუშავეთ:

ორბი, ყორანი, მიჯნური, ხვინჭა, ჭოროხი, კომლი, ალვა, მკბენარი, ფეტვი, წყვდიადი, ბროლი, ჭიუხი, დალალი, მორევი, კელაპტარი, სარკმელი.

სქელი მუყაო დავჭერი თანაბარ ოთხკუთხედ ნაწილებად, ერთ მხარეს დავწერე სიტყვა და დავხატე, მეორე მხარეს კი განმარტება ამოვიწერე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან და შედარებით პატარა ნახატით გამოვსახე თითოეული სიტყვა.

მოვძებნე ლამაზი კოლოფი და ქისა, ჩავაწყვე უკვე დამზადებული სიტყვის ბარათები და დავფიქრდი, როგორ გამოვიყენებდი საგაკვეთილო პროცესისას:

1. **ამოვიღებ ერთ ბარათს და ვთხოვ სწრაფად მოძებნონ ბარათზე ამოკითხული სიტყვა;**
2. **წავიკითხავ მხოლოდ განმარტებას და თავად უნდა გამოიცნონ მნიშვნელობა;**
3. **დავურიგებ ბარათებს და რიგრიგობით ვთხოვ ლექსიკონში განმარტების მოძებნას;**
4. **ვითამაშებთ მინიშნებობანას, კერძოდ, ერთი მოსწავლე მთელ კლასს ბარათზე ამოკითხული სიტყვის შესახებ მინიშნებას ეტყვის და კლასი გამოცნობას შეეცდება;**
5. **ჯგუფებად დაყოფილი კლასი 4-5 ბარათზე ამოკითხული სიტყვების მიხედვით დაწერს თავისუფალ თემას;**
6. **ვთხოვ, სიტყვის ბარათების მიხედვით თავად მოიფიქრონ თამაშები;**
7. **ამ სიტყვების ბარათებს სასწავლო რესურსად გამოვიყენებ სხვა კლასთან.**

სიტყვის ბარათებით მიწოდებული უკუკავშირი მოსწავლეებს მოტივაციას აუმაღლებს და კიდევ უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდებიან საკლასო ჩანაწერებსა და ახალი სიტყვების შესწავლის პროცესს. ვფიქრობ, სიტყვის ბარათებით მშობლიური ენის სიტყვის მნიშვნელობისადმი სიყვარულსა და ინტერესს კიდევ უფრო მეტად გავაღვივებთ.

ინა იმედაშვილი

დედა მასწავლებლის ფიქრები

ჩვენ მასწავლებლები სანამ კლასში შევალთ, პალტოსავით ვიხდით ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ყოველდღიურობას, ჩვენს პრობლემებს, ვიცვამთ ემოციურ აბჯარს და გავდივართ სცენაზე, სადაც ჩვენი ფიქრებით, აზრებით, გონებით ვძერწავთ კარგ მოქალაქეებს, პატრიოტ და უბრალოდ კარგ ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ და ესაა ჩვენი მიზანი, როგორ გამოგვდის ამას დრო გვიჩვენებს.

მოდი გამოვტყდები, მე ქართულის მასწავლებელი ვარ და ჩემი შვილი ქართულს ვერ იტანს. ამის აღიარება, მართალი გითხრათ, ძალიან გამიჭირდა და შეიძლება ითქვას წლები დამჭირდა. დედები და ალბათ მამებიც, ხშირად ვადანაშაულებთ საკუთარ თავს, რომ ვერ ვართ იდეალური მშობელი, რომ ყველაფერი ისე ვერ გამოგვდის, როგორც წარმოგვიდგენია. რომ ჩვენი შვილი არ არის საკმარისად კარგი, საკმარისად ბეჯითი და აკადემიურად მაღალი მოსწრების მქონე. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მასწავლებლებს შვილებისთვის დრო თითქმის არ გვრჩება, ჩვენ მთელ ენერგიას და რესურსს სკოლაში ვტოვებთ, ბოლომდე ვიხარჯებით გაკვეთილებზე, თითოეული მოსწავლის წარმატებას თუ წარუმატებლობას საოცრად განვიცდით, გვიხარია, გვწყინს – დაუმსახურებელი თუ დამსახურებული შენიშვნები, მასწავლებლები ხომ სცენის შუაგულში ვდგავართ და მთელი „პუბლიკის“ მზერა ჩვენზეა მომართული, რომ არაფერი შეგვეშალოს, არ დაგვავიწყდეს, არ გამოგვრჩეს, თითოეულ მოსწავლეს სათანადო ყურადღება მივაქციოთ, ვიღაც არ დაგვეჩაგროს, ვიღაც არ დაგვავიწყდეს, მოკლედ – ვშრომობთ, არა მხოლოდ გონებრივად, უფრო მეტს – ემოციურად. და მოვდივართ სახლებში, გამოფიტულები, დაღლილები. ჰოდა, შვილს დახმარება რომ სჭირდება, ქართულის თემა აქვს დასაწერი, რაღაც ვერ გაიგო, რომ უამრავი კითხვა აქვთ, რომ სჭირდებათ უბრალოდ დედა გვერდით, რომელიც დაუჯდება, მოუსმენს, აუხსნის, საკუთარ პროფესიას ახლა შვილთან გამოიყენებს, ახლა შვილთან იქნება დედა-მასწავლებელი, თან უფრო მეტადაც, რომ აი, ყველაზე მეტად ხომ შვილს სჭირდები, მაგრამ ვერ გამოდის, შეუძლებელია მთელი დღე მომართული იყო, შეუძლებელია მთელი დღე ასწავლო, მთელი დღე ახსნა, მთელი დღე ისაუბრო, დააწერინო, გამოათვლევინო, წააკითხო, მოაძებნინო. ვერ გამოდის, სადღაც უნდა გაჩერდე, დაჯდე, ამოისუნთქო. სადღაც უნდა იპოვო თავისუფალი სივრცე, სადაც უბრალოდ რაღაცების დაზარებას შეძლებ, გადადებ, უბრალოდ დაჯდები, ტელეფონს ასქროლავ, თან ველურ ბუნებაზე დოკუმენტურ ფილმს უყურებ მონოტონური გახმოვანებით, უბრალოდ არაფერზე აღარ იფიქრებ, ყველაფერი მოსწრებული გაქვს, ჟურნალი შევსებულია, დავალებები ატვირთული და შვილი? შვილი მოიცდის, მერე რაა, აი, ხვალ დაუჯდები, შაბათ-კვირა მოდის, მომავალ კვირას მაინც აუცილებლად. ამასობაში გადის წლები და ერთხელაც აღმოაჩენ, რომ შენს შვილს თურმე თემების წერა უჭირს, თურმე ძალიან მნიშვნელოვანი ლიტერატურა გამოუტოვებია, ინანიშვილი არ წაუკითხავს, არ მოგწონს, როგორ წერს, არ იცავს გრამატიკულ წესებს, შეებმები ამ მოცემულობას, შეასკდები და პირში მოხლილ სიმართლესაც კარგად შეირგებ: შენ ჩემთვის

არასდროს გეცალა, შენი მოსწავლეები უფრო გიყვარს, ისინი უფრო მნიშვნელოვნები არიან! გაბრაზდები, ჯერ სკოლაზე, მერე შენი შვილის მასწავლებლებზე, ინანებ, რომ სკოლას მიენდე, მაგრამ საბოლოოდ მაინც აღიარებ, რომ შენი მოსწავლეების განათლება გინაცვალებია შვილის განათლებისთვის, რას იზამ, ეს ასეა, გინდ მარცხნიდან მოვაბათ ქოთანს ყური და გინდ მარჯვნიდან, უბრალოდ რეალობაა.

წელს დავიწყე ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი, ალბათ იმიტომ, რომ სხვა მასწავლებლებმაც გამანდეს, რომ ჩვენც ასე ვართო! ჩემი მეგობარი უცხო ენებს ასწავლის და მის შვილს იმდენად უჭირს, რომ სხვა მასწავლებელთან მიიყვანა სამეცადინოდ, მე ესეც ვერ შევძელი, ალბათ უფრო არ, იმიტომ, რომ მეგონა, ჩემნაირად ვერავინ ვერ ასწავლიდა, მე კი არასდროს არ მეცალა. როდესაც ჩემს კლასში მასწავლებლის შვილებს აღმოვაჩენ ხოლმე, ვცდილობ, განსაკუთრებით ყურადღებით მათ მიმართ ვიყო, განსაკუთრებით შევუწყო ხელი, დავალებების არქონაც ვაპატიო. არა იმიტომ, რომ ბავშვებს ვარჩევ და ისინი მეტად მიყვარს, არა, უბრალოდ მათი დედები თუ მამები მასწავლებლები არიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ შვილებისთვის უბრალოდ ენერგია, ემოცია აღარ რჩებათ და ეს გასაგებია, ძალიან გასაგები და ალბათ ძალიან ადამიანური, მასწავლებლური.

ჩვენ, მასწავლებლები, ზედმეტად გულჩვილი ხალხი ვართ, ადვილად გვწყინს და ადვილად გვიხარია, ადვილად გვადგება თვალზე ცრემლი, გულიანად გვიტირია კიდეც და გულიანად გვიცინია სულ პატარა შენიშვნაზე, უსამართლო საყვედურზე და უბრალოდ კარგ სიტყვაზე.

ჩვენ მასწავლებლები სანამ კლასში შევალთ, პალტოსავით ვიხდით ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ყოველდღიურობას, ჩვენს პრობლემებს, ვიცვამთ ემოციურ აბჯარს და გავდივართ სცენაზე, სადაც ჩვენი ფიქრებით, აზრებით, გონებით ვძერწავთ კარგ მოქალაქეებს, პატრიოტ და უბრალოდ კარგ ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ და ესაა ჩვენი მიზანი, როგორ გამოგვდის ამას დრო გვიჩვენებს.

ჩვენ, მასწავლებლები, უამრავი ადამიანის წინაშე ვართ პასუხისმგებლები, პირველ რიგში კი ჩვენი მოსწავლეების წინაშე. უზარმაზარი პასუხისმგებლობა გვაქვს აღებული და ვცდილობთ, არაფერი არ შეგვეშალოს, არ დაგვავიწყ-

ჩვენ, მასწავლებლები, უამრავი ადამიანის წინაშე ვართ პასუხისმგებლები, პირველ რიგში კი ჩვენი მოსწავლეების წინაშე. უზარმაზარი პასუხისმგებლობა გვაქვს აღებული და ვცდილობთ, არაფერი არ შეგვეშალოს, არ დაგვავიწყდეს, არ გამოგვრჩეს, ვიყოთ იდეალურები.



დეს, არ გამოგვრჩეს, ვიყოთ იდეალურები. ალბათ ყველაზე მეტი პერფექციონისტი სამყაროს მასწავლებლებს შორის ჰყავს, იმიტომ, რომ ჩვენ მიმართ ყველაზე დიდი მოთხოვნებია, იმიტომ, რომ შეცდომები ძნელად ან არ გვეპატიება. იმიტომ, რომ მასწავლებლები ვართ და აბა, როგორ!

გვეშინია, ძალიან გვეშინია, რომ ეს ჩვენი მონდომება, შეიძლება ითქვას, თავგანწირვაც კი უბრალოდ ვიღაცის ერთმა დაუფიქრებელმა ფრაზამ წყალში არ ჩაგვიყაროს, არ დაგვიწუნონ მასწავლებლობა, ამიტომ ვართ ასეთი გაფაციცებულები, ასეთი დაძაბულები, ამიტომაა, რომ სახლში მისულებს ენერგიის წვეთიც აღარ გვაქვს შერჩენილი და ამიტომაა, შვილებთან აღარ გამოგვდის სწავლება.

გვინდა, რომ გვენდონ, გვინდა, რომ დაგვიჯერონ, გვინდა, რომ ჩვენი მოსწავლეების სწავლება ჩვენ დავგეგმოთ, ჩვენ წარვმართოთ ჩვენი სწავლების პროცესი. გვინდა, რომ სპონტანურები ვიყოთ და როცა გარეთ გავიხედავთ და შემოდგომის პეიზაჟი დაგვაფიქრებს, ბავშვებს პოეზიაზე ვისაუბროთ, ან უბრალოდ დავხატოთ წვიმაში მდგომი შიშველი ხე, რომელიც გაზაფხულზე ოცნებობდა.

ჰო, ჩვენ შვილებს ვერ ვასწავლეთ. ჩემი შვილი ხშირად იგონებს ბავშვობის ამბებს, როგორ მთხოვდა დახმარებას, როგორ უჭირდა ქართული და დედას არ ეცალა, დაღლილი იყო, ვერ ეხმარებოდა. როგორ რცხვენოდა, რომ სწორად ქართული არ გამოსდიოდა საუკეთესოდ. თუმცა, ალბათ, გადავლახეთ ეს ამბავიც, რადგან საუბარი დავიწყეთ და რაზეც საუბრობ, ის უკვე გადახარშულია, ასე ამბობენ.

ჰოდა, მოვუფრთხილდეთ თავებს, შევიყვაროთ და გვეყოს დადანაშაულება, შეცდომების დაშვება ჩვეულებრივი ამბავია, ამაში ტრაგიკული არაფერია, რომ ერთი გულწრფელი აღიარება მოსწავლეებთან ყველაფერს თავის ადგილას დააყენებს, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და არა რობოტები, რომ საკუთარი თავები ცოტათი მაინც გადავინახოთ შვილებისთვის მაინც, რომ აბა ვკითხოთ კოლეგას ერთხელ, გულწრფელად, როგორ ხარ?

ვოცნებობ, ისეთი სივრცის შექმნაზე, სადაც შევიკრიბებით მასწავლებლები, ხალიჩაზე დავსხდებით წრეზე (როგორც ჩვენი მოსწავლეები), ჩავჭიდებთ ხელებს, მოვიკრებთ ძალებს და როგორც იქნა დავიწყებთ:

გამარჯობა, მე ვარ მასწავლებელი და მე არ ვარ იდეალური!

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge